DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Abramishvili, T. / აბრამიშვილი, თ. / Абрамишвили, Т. Я.
- Title: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი / Каталог Парфянских монет государственного музея Грузии
- Publication Date: 1974
- Publisher: Georgian National Academy Of Sciences, Georgian National Museum
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_5ab0e43dc1

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

თამარ აბრამიშვილი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი

Т. Я. АБРАМИШВИЛИ

Каталог парфянских монет государственного музея Грузии

„მეცნიერება„ 1974 „МЕЦНИЕРЕБА“

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ГОСУДАРСТВЕННЫЙ МУЗЕЙ ГРУЗИИ им. С. Н. ДЖАНАШИА

Т. Я. АБРАМИШВИЛИ

Каталог парфянских монет Государственного музея Грузии

Издательство „Мецниереба“
Тбилиси 1974

12275

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

თამარ აბრამიშვილი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ვართული მონეტების კატალოგი

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1974

902.9
737.1(356)
ა 186

მონოგრაფიაში ისტორიული მონაცემებისა და ნუმიზმატიკური მასალის შესწავლის საფუძველზე გამოკვლეულია საქართველოსა და პართიის სამეფოს შორის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი.

წიგნში ნაჩვენებია საქართველოში პართული მონეტების შემოსვლისა და გავრცელების გზები.

ნაშრომში აღრიცხული და შესწავლილია საქართველოს მუზეუმებში დაცული პართული მონეტები; აღწერილია ხუთასზე მეტი სამონეტო ტიპი და ვარიანტი. წიგნს ახლავს აღწერილი მონეტების ფოტორეპროდუქციის 30 ტაბულა, ამ მონეტების გავრცელების რუკა, ინდექსები და საძიებლები.

რედაქტორი აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი

A 10602 / M 607 (03)—74 160—73

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული პართული მონეტების დიდი ნაწილი არქეოლოგიური გათხრების დროს არის აღმოჩენილი, ნაწილი — სხვადასხვა ხასიათის მიწის სამუშაოების დროს, ზოგიერთი კი შემთხვევითი მონაპოვარია.

ჩვენში აღმოჩენილი პართული მონეტები ძირითადად მაინც სამარხეულია და მოიცავს ხანას ძვ. წ. II საუკ. I ნახევრიდან ახ. წ. II საუკ. I ნახევრამდე, ე. ი. დაწყებული მითრიდატე I-დან (171—138) დამთავრებული ვოლოგეზ I-ით (51—77) და მხოლოდ ორმოცდაათიოდე წლის შუალედის შემდეგ გვაქვს მითრიდატე IV-ის (130—147) დრაქმა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით მხოლოდ დრაქმებია აღმოჩენილი; ტეტრადრაქმებისა და სხვა ნომინალების პოვნა დღეისათვის არაა დადასტურებული, ხოლო სპილენძის მონეტის აღმოჩენის ერთადერთი შემთხვევაა ფიქსირებული.

საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული პართული მონეტებიდან ყველაზე ადრეულია: გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გორის მიდამოებში აღმოჩენილი ძვ. წ. III საუკ. II ნახევრისა და II საუკუნის დასაწყისის პართული მონეტები[1]; 1951 წელს ზნაურის რაიონის სოფ. სხლითში ნაპოვნი მითრიდატე II-ის დრაქმა; მცხეთაში ნაპოვნი მონეტებიდან ჯერჯერობით ყველაზე ადრეული არტაბან II-ის დრაქმებია.

ჩვენში პართული ნუმიზმატიკური ძეგლების მოპოვებისა და გავრცელების ცენტრად მცხეთა და მისი მიდამოები შეიძლება მივიჩნიოთ, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად გათხრილი აკლდამა, რომელშიც სხვა ძვირფას ინვენტარსა და მონეტებთან ერთად 47 პართული დრაქმა აღმოჩნდა, მათგან 43 ცალი მხოლოდ ოროდ I ეკუთვნის.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძები და იმ ფონდში დაცული პართული მონეტები, რომელთა მოპოვების გარემოება ცნობილი არაა; გამოყენებულია წლების განმავლობაში განყოფილებისა და ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობები და, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტების კარტოთეკა; განხილულია საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში დაცული მონეტები და სპეციალურ ლიტერატურაში მოცემული ცნობები.

ნაშრომის მომზადებისას ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ შეგვეჯამებინა ისტორიული წყაროები და ჩვენ მიერ დამუშავებული ნუმიზმატიკური ფაქტები: ამასთან, ვხელმძღვანელობდით საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევებით: ვიყენებდით საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ და ნუმიზმატიკურ მონაცემებს, რომლებიც საქართველოსა და პართიას შორის არსებულ ეკონომიური და პოლიტიკური კავშირის შესახებ მოღწეულ ძუნწ ისტორიულ ცნობებს გარკვეულად შეავსებს და შუქს მოჰფენს.

---

[1] I. Bartholomaei, Lettres numismatiques et archeologiques relatives á la Transcaucasie. StPb., 1859, გვ. 23; შესაძლებელია ამ განძიდანაა მითრიდატე I დრაქმა, რომელიც დაცულია გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. იხ. ქვემოთ.

შესწავლილი და დამუშავებულია 1000-მდე მონეტა, აღწერილია ძირითადი ტიპები და ვარიანტები 505 ცალი; ნაშრომს ახლავს პართული მონეტების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების ტოპოგრაფია, მონეტების სააღრიცხვო სია, მონეტების ფოტორეპროდუქციული ტაბულები, საძიებელი და რუკა.

ნაშრომთან დართული ფოტოები შეასრულეს ვ. თულაშვილმა და ი. პინაევმა, რუკა — მერი გაგუამ, მონოგრამები — ლილი ჯიქურაშვილმა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოში შემოსულ და გავრცელებულ უცხო საფასეთა შორის თავისი გარკვეული ადგილი უკავია პართულ მონეტებს ანუ არშაკიანთა ვერცხლს.

ისტორიული, პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიური ვითარება და, აგრეთვე, მთავარი სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალი, რომელიც საქართველოზე გადიოდა და აკავშირებდა ერთმანეთთან აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს, ქმნიდა პირობებს და ხელს უწყობდა საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის მონეტის შემოსვლას, შემოსული ფული მონაწილეობდა სავაჭრო მიმოქცევაში და შესაფერის პირობებში განძადაც იმარხებოდა. ასეთივე ვითარებაში უნდა იყოს შემოსული საქართველოში პართული ფულიც.

ამჯერად, ჩვენი მიზანია აღნიშნული პართული მონეტების შესწავლა — მათი საქართველოში შემოსვლისა და გავრცელების გზების შეძლებისდაგვარად გარკვევა.

სამწუხაროდ, როგორც თვით პართიის სამეფოს წარმოქმნის საკითხი, ისე პართული ნუმიზმატიკა სუსტად არის შესწავლილი. არშაკიანთა მონეტები იჭრებოდა როგორც ვერცხლისა, ისე სპილენძისაგან. ოქროს მონეტებს კი ისინი არ ჭრიდნენ[1]. ჩვენი მიზანია წინამდებარე ნაშრომში, ჩვენს ხელთ არსებული ნუმიზმატიკური მონაცემების საფუძველზე, წარმოვადგინოთ მეტნაკლებად სრული სურათი იმისა, თუ როგორი არეალი ჰქონდა საქართველოში მოპოვებულ არშაკიანთა მონეტებს.

აქვე განიხილება ყველა პართული მონეტა, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული; შესაძლებლობის ფარგლებში მოიხსენიება არშაკიანთა ის მონეტებიც, რომლებიც საქართველოს დანარჩენ მუზეუმებშია თავმოყრილი.

საქართველოს ტერიტორიაზე პართული მონეტების ხშირმა აღმოჩენამ, მათი გავრცელების არეალი გაზარდა. დღეისათვის მაინც მათი მოპოვება, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოზე — იბერიაზე მოდის, მცირე ნაწილი დასავლეთ საქართველოზე — კოლხეთზე, მაგრამ აღმოსავლეთი კოლხეთის ზოგი ადგილი იმდროისათვის იბერიაში შედიოდა და მის უკიდურეს დასავლეთს წარმოადგენდა. იბერიაში პართული მონეტების მეტი ნაწილი მცხეთაში და მის მიდამოებში ჩნდება.

მცხეთაში ხანგრძლივად წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ჩვენს საისტორიო მეცნიერებას სხვა ბევრ, მეტად მნიშვნელოვან ძეგლებთან ერთად, ნუმიზმატიკური მასალაც გამოუვლინა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულ ნუმიზმატიკურ მასალას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, მონეტები გვეხმარება აღმოჩენილი ნივთებისა და სამარხების დათარიღებაში (ზოგჯერ კი პირიქით, განათხარი ნივთები საშუალებას გვაძლევს მივუჩინოთ ადგილი და თარიღი უცნობ — ანონიმურ მონეტას); მონეტები ხშირად გვეხმარება რიგ საკითხთა გადაწყვეტაში და იმის ნათელყოფაშიც, რომ საქართველოს ნამდვილად ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა უცხო ქვეყნებთან. სწორედ „სავაჭრო ურთიერთობის უტყუარი და, შეიძლება ითქვას, პირდაპირი მაჩვენებელი, მცხეთაში აღმოჩენილი მონეტებია"[2].

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მტკიცედ მჟღავნდება მცხეთაში უცხოური მონეტების სიმრავლე, მაგრამ ძირითადი და წამყვანი, როგორც პროფ. ა. აფაქიძე აღნიშნავს, არის რომაული აურეუსები, დენარები და პართული დრაქმები[3], (გოტარზესა და ოროდ I-ის). მცხეთის ნიადაგში

---

[1] პართიის სამეფოს სამონეტო სისტემა ვერცხლზე იყო დამყარებული; ოქროსი — სამახსოვრო მონეტა, იჭრებოდა მხოლოდ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად.

[2] ა ნ. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა, ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბილისი, 1959, გვ. 104.

[3] ი ქ ვ ე.

პართიის სხვა მეფეთა მონეტებიც არის აღმოჩენილი, მაგრამ თითო-ოროლა ცალი.

ამრიგად, ცხადია, რომ ამ ორ, აღმოსავლეთისა (პართია) და დასავლეთის (რომი) ქვეყანასთან საქართველო ცხოველ სავაჭრო ურთიერთობაში ყოფილა.

სელევკიდების დიდმა სახელმწიფომ ძვ. წ. III საუკუნიდან დაშლა დაიწყო, ჩამოშორდა მთელი რიგი ქვეყნები და მათ საფუძველზე შეიქმნა ელინისტური ტიპის სახელმწიფო, ხოლო III საუკუნის ნახევრიდან მას გამოეყო ბაქტრია და პართია. ეს უკანასკნელი პირველ ხანებში კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ოლქს წარმოადგენდა, მაგრამ მალე, ადგილობრივი წარჩინებული გვარის მეთაურობით, პართელნი აუჯანყდნენ ბერძნულ მაკედონურ სახელმწიფოს და ძვ. წ. 247 წელს აჯანყების ბელადმა თავი მეფედ გამოაცხადა, მიიღო არშაკის სახელი, რომლისგანაც შემდგომ წარმოსდგა სამეფო დინასტია[4] — არშაკიანთა.

პართია ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს წინააზიის ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა — „პართიის ძლიერების ხანაში არშაკიანთა დინასტიის მეთაურობით, მისი მიწა-წყალი მდინარე ევფრატიდან მდინარე ინდუსამდე წვდებოდა“[5] და მისმა მეფეებმა მეფეთა-მეფის ტიტული მიიღეს[6].

არშაკიანთა პოლიტიკური ცენტრი იყო ქ. ნესა (ახლანდელი აშხაბადის მახლობლად). ძვ. წ. II საუკუნის დამლევიდან მათ კვლავ დაიპყრეს მთელი რიგი ადგილები: დასავლეთ ირანი, სომხეთი, მესოპოტამიის ნაწილი, ხოლო ძვ. წ. I საუკუნეში, სახელდობრ ოროდ I-ის (57—37), დროს პართია აღწევს თავისი ძლიერების უმაღლეს წერტილს[7].

სელევკიდებმა ბევრჯერ სცადეს თავიანთი ძალაუფლების აღდგენა, მაგრამ ძვ. წ. II საუკუნიდან ისინი თანდათან სუსტდებიან, ხოლო პართიის სამეფო თანდათან ძლიერდება, სელევკიდებს გაძლიერების გზაზე დამდგარი რომის სახელმწიფოც არ აძლევდა მოსვენებას — გამარჯვება პართიის სამეფოს დარჩა და ამ სამეფომ რამდენიმე საუკუნე გაუძლო რომთან ბრძოლას. ახ. წ. III საუკუნეში პართიის სამეფო სასანური ირანის სახელმწიფომ შეცვალა.

ს. ჯანაშია პართიის სახელმწიფოს პონტისა და სომხეთის სამეფოების გვერდით აყენებს და წერს, რომ ძვ. წ. I საუკუნის პირველი ნახევრიდან იყო „მესამე დიდი სახელმწიფო, რომელიც საქართველოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და სომხეთის უშუალო მეზობლად მდებარეობდა და, რომელმაც მითრიდატესა (პონტოელი) და ტიგრანის (სომხეთის მეფე) სახელმწიფოებზე დიდხანს შეინარჩუნა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და სიძლიერე, იყო პართია, სადაც არშაკიდების ცნობილი დინასტია მეფობდა“[8]. — იგი რომის მთავარი მოწინააღმდეგეა წინა აზიაში როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად[9].

ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევს პართიის სახელმწიფოს გ. კოშელენკო და წერს: რომ იგი (პართია) არის ძველი, მსოფლიოში ერთ-ერთი სახელმწიფო, რომელიც მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება რომის იმპერიას, მაგრამ მისი ისტორია შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი[10]. ასეთივე მდგომარეობაა პართული ნუმიზმატიკის მხრივაც, თუმცა როგორც პართიის სამეფოს ისტორიის, ისე მისი მონეტების შესახებ ლიტერატურა არსებობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პართული ნუმიზმატიკა შესწავლილად მაინც ვერ ჩაითვლება. ჩვენ შევეცდებით საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების საფუძველზე და საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პართული ნუმიზმატიკური ძეგლების მოშველიებით, ზოგად ხაზებში დავსახოთ საქართველოს სახელმწიფოსა და პართიის სამეფოს შორის არსებული ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობანი.

პართიის სამეფოს ისტორიის დასაწყისი თითქმის არაა ცნობილი. წერილობითი წყაროებიც ამ პერიოდში ძუნწად მოიპოვება; ნუმიზმატიკური მასალა კი მეფეთა თანამიმდევრობითი ქრონოლოგიის

---

[4] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 298; მათ მიერ მოჭრილ მონეტაზე *Арсáкоу* არის მოხსენებული.

[5] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 58.

[6] Н. В. Пигулевская и др., История Ирана с древнейших времен до конца XVIII века, 1958, გვ. 29.

[7] М. Е. Массон, Новые данные по истории Парфии, Вестник Древней Истории, № 3, М.-Л., 1950, გვ. 47.

[8] ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 177.

[9] იქვე.

[10] Г. А. Кошеленко, Культура Парфии, Москва, 1966, გვ. 5.

დადგენის საშუალებასაც არ იძლევა, რადგან არშაკიანთა თითქმის ყველა მონეტაზე მხოლოდ დინასტიის დამაარსებლის სახელია აღბეჭდილი, მონეტის მომჭრელი მეფის საკუთარი სახელი კი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) არ არის მოხსენებული და არც ისტორიულ საბუთებშია რაიმე ცნობები ამის შესახებ. პართულ მონეტებზე თარიღი სპორადულად ჩნდება, ისიც არა უადრეს ძვ. წ. II საუკუნის 30-იანი წლებისა[11]. მ. დიაკონოვის დაკვირვებას ნუმიზმატიკური ძეგლები ნაწილობრივ მაინც უჭერს მხარს, რადგან პართული მონეტების დიდი უმრავლესობა, შეიძლება ითქვას, ანონიმურია და ყველა მეფის ყველა ნომინალი დათარიღებულიც არ არის[12].

პართიის სამეფოში ძლიერი იყო ელინისტური კულტურის გავლენა და იდეოლოგია. პართიის მეფეები თავიანთ თავს „ელინოფილებად“ — ბერძენთა მეგობრად თვლიდნენ. არშაკიანები თავს მზისა და მთვარის შვილების შთამომავლებათაც მიიჩნევდნენ, ისინი, აგრეთვე თავიანთ თავს „ფილელენებსაც“[13], უწოდებდნენ. ესა და მსგავსი ტიტულები მათ მიერ მოჭრილი მონეტების ზედწერილებშიც აღიბეჭდა.

ამრიგად, ამ სახელმწიფოს ელინისტურმა ხასიათმა მკვეთრად იჩინა თავი მონეტებზე — (ბერძნული ზედწერილები), სადაც მოხსენებულია: მეფეთა მეფე არშაკი, ბერძენთა მეგობარი, ბერძენთა მოყვარული, ბერძენთა მამა და ძმა. ამასთან ერთად, მონეტის ზურგზე მოცემულია პართიის სამეფო დინასტიის დამაარსებლის არშაკის სქემატური გამოსახულება[14], ბერძნული ზედწერილით[15].

ამრიგად, ნუმიზმატიკური ფაქტები თავის მხრივ ამტკიცებს ისტორიულ მონაცემებს.

არშაკიანთა სამეფოში პართული ენისა და დამწერლობის პარალელურად იყენებდნენ ბერძნულ ენასა და დამწერლობას. ეს უკანასკნელი იხმარებოდა ოფიციალურ საქმეებში. ელინისტურ ქალაქებში ბერძნული ენა და დამწერლობა რომ მტკიცედ იყო დამკვიდრებული, ამას მონეტის ლეგენდებიც გვიდასტურებს.

პართული მონეტები პირველ ხანებში, როგორც წესი, იჭრებოდა ბერძნული ზედწერილობით, მხოლოდ ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან, სახელდობრ ვოლოგეზ I-ის (51—77) დროიდან, პართიის სამეფო წყობაში ცვლილებები შეიმჩნევა და მისი მონეტების ბერძნულ ლეგენდებში ფალაური ასოები შემოერია[16].

ვოლოგეზ I-ის (51—77/78) დრაქმის შუბლზე (წინა პირი) ბიუსტის უკან ორი ფალაური ასოთი (—ვოლოგეზ მეფე[17]), ზედწერილში ბერძნულ-ფალაური ანბანია შერეული.

ვოლოგეზ II-ის (77/78—146/47) დრაქმის შუბლზე, ასევე, რამდენიმე ფალაური ასოთია აღბეჭდილი — ვოლოგეზ მეფე[18].

მითრიდატე IV-ის (130—147) დრაქმის ზურგზე (უკანა მხარე) ორი სიტყვა „მითრიდატე მეფე“ ფალაურია, ბერძნულად კი ასეა: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΝ, მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ, ქვემოთ — ΕΥΕΡΓΕΤΟΥ | ΔΙΚΑΙΟΥ მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ, მაგრამ წარწერა დამახინჯებულია[19].

ვოლოგეზ III-ის (147/48—191) დრაქმის ზურგზე აგრეთვე ორი სიტყვაა ფალაურით[20] შესრულებული.

ვოლოგეზ III-ის სპილენძის მონეტის ზურგზე მხოლოდ ფალაური ზედწერილია მოცემული — ვოლოგეზ არშაკი მეფეთა მეფე[21].

---

[11] М. М. Дьяконов, Очерки истории Древнего Ирана, Москва, 1961, стр. 180.

[12] W. Wroth, Catalogue of the coins of Parthia, London, 1903. შემდეგ ყველგან — BMC, Parthia.

[13] პირველად ეს ტიტული მითრიდატე I-ის მონეტის ლეგენდაშია მოხსენებული.

[14] 1946 წ. ძველი ნესის არქეოლოგიური გათხრების დროს, ქალაქის საზეიმო შესასვლელთან აღმოჩნდა თიხის ფრაგმენტი მჯდომარე მამაკაცის ქანდაკებისა, რომელსაც მარჯვენა ფეხი წინ ისე აქვს წაზიდული, როგორც პართული მონეტების ზურგზე მოთავსებულ არშაკს. იხ. М. Е. Массон, Новые данные..., გვ. 52.

[15] ზედწერილები მონეტის ზურგზეა მოთავსებული. შემდეგ, შუბლზე მეფის სახელის აღმნიშვნელი თითო-ოროლა ნიშანი ჩნდება — თუმცა ზოგჯერ ეს სახელი მთლიანადაც არის.

[16] М. Е. Массон, Новые данные. . ., გვ. 49.

[17] BMC, Parthia, გვ. 182, № 37, ტაბ. XXVIII, 16; გვ. 183; № 38, 39, 40, XXIX, 1; Gardner, The Parthian coinage, London, 1877, ტაბ. V, 30.

[18] А. К. Марков, Неизданные Арсакидские монеты, Санкт-Петербург, 1892, გვ. 25, ტაბ. IV, 23; BMC, Parthia, გვ. 214, № 38, 39, ტაბ. XXXII, 12.

[19] BMC, Parthia, გვ. 219, № 25, ტაბ. XXXIII, 11.

[20] BMC, Parthia, გვ. 230, № 54, ტაბ. XXXIV, 5.

[21] BMC, Parthia, გვ. 236, № 96—99, ტაბ. XXXV, 3—6.

ვოლოგეზ IV-ის (191—207/08?) დრაქმაზე ორი სიტყვა — „ვოლოგეზ მეფე“ — ფალაური დამწერლობითაა მოცემული[22] ისე, როგორც ვოლოგეზ III-ის დრაქმებზე.

ვოლოგეზ V-ის (207/08—221/222) დრაქმის შუბლზე ფალაურითაა „ვოლ“[23], ზურგზე კი ორი სიტყვაა[24] — „ვოლოგეზ მეფე“.

არტაბან V-ის (213—227) დრაქმის ზურგზე ფალაურით არის „არტაბან მეფე“[25].

დაბოლოს არტავაზდის (227/228) მონეტის (დრაქმის) შუბლზეც კვლავ აღბეჭდილია ორი ფალაური ნიშნით „არტავაზდ მეფე“, ზურგზე კი რამდენიმე ფალაურივე ასოთი ისევ აწერია „არტავაზდ მეფე“, ბერძნულით მხოლოდ ერთი სიტყვაა — ΒΑΣΙΛΕΩΝ — მოცემული და ისიც დამახინჯებული ასოებითა და შეცდომებით[26].

სავარაუდოა, რომ ჯერ კიდევ, არტაბან III-ის (10—40) დროიდან დაიწყო ელინიზმისადმი ზურგის შექცევა, რადგან ამ დროიდან პართულ მონეტებზე ბერძნულით შესრულებული ზედწერილები დამახინჯებულია და უკვე მისწრაფებაა ბერძნული ლეგენდების ფალაურით შეცვლისა. „А с Вологеза I греческие легенды вообще начинают заменяться надписями арамейского алфавита“[27].

პართული მონეტებისათვის დამახასიათებელი მონოგრამები კვლავ ბერძნული[28] ანბანიდან აღებული ნიშნებით არის შედგენილი და მოთავსებულია მონეტების ზურგზე დინასტიის დამაარსებლის არშაკის წინ, გაწვდილ ხელში მიცემულ მშვილდის ქვემოთ, იშვიათად — მშვილდის ზემოთ (იხ. ოროდ I-ის მონეტები).

მონოგრამა ერთი, ან ზოგჯერ ორი და მეტი ასო-ნიშნით ერთად შეწიაღებულადაა ამოკვეთილი. მონოგრამები პართულ მონეტებზე პირველად ძვ. წ. II საუკუნიდან სახელდობრ მითრიდატე I-ის (171—138)[29] მონეტებზე გვხვდება და შემდეგ თითქმის ყველა პართელ მეფეთა მონეტებზეა წარმოდგენილი, თუმცა აქაც შეიმჩნევა ხარვეზი. მონოგრამათა შორის ყველაზე ხშირია A სხვადასხვა ვარიანტით. სხვადასხვა სახის მონოგრამები, რომლებიც გვხვდება არშაკიანთა მონეტებზე, ზოგიერთი ნუმიზმატის აზრით, ამა თუ იმ ზარაფხანის აღმნიშვნელი უნდა იყოს, მაგრამ მონოგრამების შემცირება და ბოლოს მხოლოდ A-ს შენარჩუნება, ზარაფხანის სახელზე ლაპარაკის საშუალებას უკვე აღარ გვაძლევს[30].

მონოგრამა A პირველად ფრაატ III-ის (70—57) დრაქმის ზურგზე[31] არშაკის გაწვდილ ხელის ქვემოთ არის აღბეჭდილი.

ადრეული ხანის არშაკიანთა მონეტების სახე, მაღალმხატვრული გარეგნობისა იყო. შემდეგ მოჭრის ტექნიკა თანდათან ქვეითდება. გოტარზედან მოყოლებული პართიაში მონეტებმა წონა და ზომა თითქმის შეინარჩუნეს. სამაგიეროდ გარეგანი სახე, შუბლზე მეფის ბიუსტის გამოსახულება, ძლიერ დაკნინდა; სქემატური გახდა ზურგზე დინასტიის დამაარსებლის არშაკის გამოსახულებაც, რომელიც უსწორმასწორო ხაზებად იქცა; ძლიერ დამახინჯდა ის ლამაზი ბერძნული ასოებით ამოკვეთილი ლეგენდებიც, რომლებიც ადრეულ მონეტებს ამკობდა.

გვიანდელი მონეტების ზედწერილებში, როგორც ზემოთ ითქვა, ფალაური ასოები შემოერია. ამ უკანასკნელში მეფეთა სახელებია მოხსენებული — ზედწერილები შერეულია ბერძნულ-ფალაური — მერე კი თანდათან ბერძნულის ადგილს უკვე ფალაური იკავებს, რაც შექმნილი პოლიტიკური ვითარების ანარეკლია.

გოტარზეს დროს პართული დრაქმა ჯერ კიდევ ახერხებს თავისი მნიშვნელობის შენარჩუნებას მეზობელი და შორეული ქვეყნების ბაზარზე, ხოლო მისი მემკვიდრეების დროს, პართული ვერცხლის მონეტების ლითონის გაუარესებასთან დაკავშირე-

---

[22] BMC, Parthia, გვ. 239, № 17, ტაბ. XXXV, 9.
[23] BMC, Parthia, გვ. 243, № 20, ტაბ. XXXVI, 3.
[24] BMC, Parthia, გვ. 243, 244, ტაბ. XXXVI, 1, 2, 3, 4.
[25] BMC, Parthia, გვ. 247, № 1, ტაბ. XXXVI, 8.
[26] BMC, Parthia, გვ. 251, № 1, ტაბ. XXXVI, 14.
[27] М. Е. Массон, Новые данные. . ., стр. 49.
[28] BMC, Parthia, გვ. 247, № 1, ტაბ. XXXVI, 8.
[29] А. К. Марков, დასახ. ნაშრომი, გვ. 12—13, № 11, 12, ტაბ. IV, 11, 12, თუმცა საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში დაცულ მითრიდატე I-ის დრაქმებზე (5 ცალი) მონოგრამა არცერთ მათგანზე არაა აღბეჭდილი.
[30] Е. А. Пахомов, Монеты Азербайджана, I, Баку, 1959, გვ. 10.
[31] BMC, Parthia, გვ. 45, № 2, ტაბ. X, 9 და შემდეგ.

ბით, მონეტების გასვლა თითქმის შეწყვეტილია პართიის სამეფოს გარეთ[32]. გოტარზეს შემდეგ საქართველოში აღმოჩენილია მხოლოდ ვოლოგეზ I-ისა და მითრიდატე IV-ის დრაქმები. დანარჩენ მეფეთა მონეტებიდან ძირითად ფონდში თითქმის ყველა დრაქმაა დაცული. მ. მასონის გამოთქმულ მოსაზრებას ნუმიზმატიკური მასალა ვერ უპერს მხარს.

პართები, გარდა ოქროს სამახსოვრო მონეტისა, გამარჯვების ნიშნად ვერცხლის მონეტებსაც ჭრიდნენ, მაგ., მითრიდატე II-ის დროს, საკებთან გამარჯვების აღსანიშნავი მონეტები მოჭრეს. ამ კატეგორიის ზოგიერთ ცალზე ზედწერილში ნახმარია სიტყვა „Καταστράτεια“, ე. ი. სალაშქრო; ეს მონეტები მიეკუთვნება ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს — მითრიდატე II-ის მმართველობის დროს, და იმდროინდელ ისტორიულ ვითარებას შეესაბამება[33].

პართიის მეფეებმა თავიანთი ტიტულები Μεγάλος (დიდი) და Βασιλεύς Βασιλέων (მეფეთა მეფე) მათ მიერ მოჭრილი მონეტების ლეგენდებში მოათავსეს. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრით, ტიტული — Βασιλεύς Βασιλέων — თითქოს მითრიდატე I-ს უკვე ჰქონდა, სინამდვილეში კი იგი პირველად მითრიდატე II-ემ მიიღო[34]. ამას ნუმიზმატიკური მონაცემებიც უპერს მხარს. მის მიერ მოჭრილ მონეტის შუბლზე, მეფის ბიუსტია, ზურგზე არშაკი — მჯდომარე მშვილდ-ისრით ხელში — ოთხივე მხარეს შემოწერილია Βασιλέως Βασιλέων Μεγάλου, Αρσάκου Επιφανοῦς.

პართული დრაქმების შუბლზე მეფის ბიუსტი, პროფილში მარცხნივ, იშვიათად მარჯვნივ და პირდაპირ; შეიძლება ზოგიერთ მონეტაზე პორტრეტული გამოსახულებაც იყოს — მეფე წარმოდგენილია ხან მოკლე, ხან გრძელი წვერ-ულვაშით; თმა თითქმის ყველას გრძელი აქვს, ზოგს კისრამდე, ზოგს მხრებამდე დაფენილი; ყველა მონეტაზე მეფე გამოსახულია დიადემით, იშვიათად მუზარადითაც, მაგრამ ასეთ შემთხვევაში დიადემა მუზარადზეა შემოხვეული. მითრიდატე I-ის დრომდე და შემდეგაც (სინათრუქი, ფრაატ III, ვარდან II, პაკორ II, ვოლოგეზ II, ვოლოგეზ III და სხვა) — დიადემა უკან, კეფასთანაა შეკრული და ბაფთები ხან აფრიალებულია, ხან დაბლა არის დაშვებული.

პართული მონეტების ზურგზე არშაკის, დინასტიის დამაარსებლის სქემატური გამოსახულება — ომფალოზე მჯდომარე — (მითრიდატე II-მდე, ნაწილობრივ მის დროსაც). შემდეგ ტახტზე მჯდომარე (ზოგ მონეტაზე ღუზა არშაკის უკან) მარჯვნივ მოქომული მშვილდ-ისრით, ბერძნული ზედწერილით.

ზედწერილები არშაკის მიმართ ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად არის ამოკვეთილი ზოგჯერ თითო, ზოგჯერ ორ-ორ სტრიქონად.

ე. პახომოვის ცნობით, ტეტრადრაქმები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არ გვხვდება[35], მაგრამ ახლა ამ დებულებას შეიძლება დავუპირისპიროთ ა. ზოგრაფის ცნობა — ლენინაკანში ფრაატ IV-ის ტეტრადრაქმების აღმოჩენა[36]. საქართველოში პართული ტეტრადრაქმების აღმოჩენა ჯერჯერობით არაა ფიქსირებული.

პართიის ძლიერი სამეფო თავის საომარ მოქმედებას კიდევ მეტად აფართოებს, ისე, რომ მის აგრესიულ მოქმედებას კავკასიის ხალხმაც ვერ აარიდა თავი.

ამავე დროს მსოფლიო სარბიელზე გამოსული რომი სამხრეთ-დასავლეთიდან უახლოვდება ამ ქვეყნებს, მაგრამ წინააზიაში რომის მთავარი მოწინააღმდეგეა ეკონომიურად და პოლიტიკურად ძლიერი და გაბატონებული პართია[37].

რომი თავის ექსპანსიის დასაწყისში პართიას არ აქცევს ყურადღებას. მისი მთავარი მიზანია

---

[32] М. М. Массон, Новые данные. . . , გვ. 49.

[33] მ ი ს ი ვ ე, Некоторые моменты политической жизни парфянского государства в связи с историей областей Южного Туркменистана, Труды Южно-Туркменистанской Археологической комплексной экспедиции, том V, Ашхабад, 1955, გვ. 12, სქოლიო 2; მ ი ს ი ვ ე, Новые данные . . . , გვ. 47. შდრ. М. М. Д ь я к о н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 190, 192.

[34] М. Е. Массон, Некоторые моменты. . , გვ. 13, სქ. 3.

[35] Е. А. П а х о м о в, Монеты Азербайджана, вып. I, Баку, 1959, გვ. 9; მ ი ს ი ვ ე, Монетные клады Азербайджана и Закавказья, вып. I, Баку, 1926, (შემდეგ ყველგან Пахомов), გვ. 18.

[36] А. Н. З о г р а ф, Распространение находок античных монет на Кавказе, Труды отдела нумизматики Государственного Эрмитажа, том. I, Ленинград, 1946, გვ. 66/67, № 97.

[37] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები II, გვ. 177.

სწრაფმზარდი პონტის სამეფოს მოსპობა, რომელიც რომის სახელმწიფოს კონკურენტიც კი ხდება — გამარჯვება რომს დარჩა ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში „მეორე საუკუნის დამდეგს რომაელთა ციხოვანი ჯარი მდგარა ქ. ფაზისსა (ფოთში) და სებასტოპოლში (სოხუმში)“[38]. ამას კი რომის სახელმწიფოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მას ამიერკავკასიაში ძლიერ საშიში მტერი ჰყავდა პართიის სამეფოს სახით.

რომსა და პართიას შორის ბრძოლა პირველობისათვის ძირითადად სომხეთში ხდებოდა, ზოგჯერ ეს ბრძოლა საქართველომდეც წვდებოდა. ამ უკანასკნელს რომი იყენებდა თავისი მიზნებისათვის და სომხეთის ტახტს სთავაზობდა მას.

სომხეთი რომისა და პართიას შორის ბრძოლის ასპარეზად იყო ქცეული, იბერია კი, როგორც რომის მოკავშირე სამეფო, დამხმარე ძალად გამოდიოდა. რომი ცდილობდა იბერია გამოეყენებია საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. რომის პოლიტიკის შედეგი იყო იბერიის მეფის ფარსმან I-ის შეჭრა სომხეთში და იქ თავისი ძმის მითრიდატეს გამეფება. შემდეგაც იბერია რომის საიმედო დასაყრდენი იყო აღმოსავლეთში. რომსა და პართიას შორის ბრძოლაში იბერიელთა მონაწილეობის მაჩვენებელია იბერიის მეფის მითრიდატეს ძმის ამაზასპის სამარხის წარწერა, რომელიც გვაცნობს, რომ იგი დაღუპულია რომსა და პართიას შორის მოწყობილ ბრძოლაში[39]. რომისათვის იბერიის მნიშვნელობას ისიც ზრდიდა, რომ მის ტერიტორიაზე გადიოდა ის მნიშვნელოვანი გზები (დარიალის ხეობა და სხვა), რომლის საშუალებით მას ყოველთვის შეეძლო ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარე ტომების (აღებულ ხანაში ალანების) დაქირავება და თავის ნება-სურვილის მიხედვით, სამხედრო საჭიროებისათვის გამოყენება[40].

ტაციტისა და იოსებ ფლავიუსის ცნობით, ფარსმან I-მა 35-36 წლებში ჩრდილოეთში დაქირავებული რაზმი გადმოიყვანა პართიის წინააღმდეგ საბრძოლველად[41].

ახ. წ. I საუკუნეში სომხეთში იბერიის მეფის ვაჟის გამეფება რომის დახმარებით, პართიის მეფე არტაბანთან შედავებაა[42]. იბერიის უფლისწულის მეფედ დასმას სომხეთში ომიც მოჰყვა, მაგრამ ვითარება შეიცვალა და პართიამ კვლავ დაიუფლა სომხეთი[43].

მიუხედავად ამისა, იბერიის მეფეს ფარსმანს ფარხმალი არ დაუყრია და შემდეგ უკვე მოისურვა თავისი ვაჟის რადამისტის გამეფება, თუმცა სამეფო ტახტი მის ძმას მითრიდატეს ეჭირა. ფარსმანს ორივესი, (ძმისა და შვილის) მოშორება სწადდა. მართალია, რადამისტმა მიზანს მიაღწია, მაგრამ მისი შეცვლა აუცილებელი გახდა. ამით ისარგებლა პართიამ და სომხეთის ტახტი დაიბრუნა[44]. ამრიგად, სომხეთში მომხდარი ცვლილებებისა და ახალი ვითარების გამო, რადამისტი სომხეთიდან გააძევეს, ხოლო ვოლოგეზ I-ის ძმა ტირიდატი დაამტკიცეს მეფედ.

რომისა და პართიის ჭიშპობას ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ირანზე გადიოდა იმდროისათვის უდიდესი მნიშვნელობის სავაჭრო გზა „აბრეშუმის გზა“. იგი რომს აკავშირებდა აღმოსავლეთის ქვეყნებთან (ჩინეთთან, ინდოეთთან, შუა აზიასთან). ამ გზით ხდებოდა ძვირფასი საქონლის გაზიდვა და ცხადია, ვის ხელშიაც იქნებოდა იგი, მას დიდი ეკონომიური სარგებლობაც ექნებოდა[45].

სწორედ პართია იყო შუამავალი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის და „აბრეშუმის ვაჭრობის მონოპოლია პართიის სამეფოს

---

[38] ს. ჯანაშია, ადრინდელი ფეოდალიზაციის პროცესი, შრომები I, 1949, გვ. 192.

[39] А. И. Амиранашвили, Иберия и Римская экспансия в Азии, Вестник Древней истории, № 4, 1938, გვ. 162.

Г. В. Церетели, Эпиграфические находки в Мцхета древней столице Грузии. Доклады на общем собрании АН СССР. Общее собрание АН СССР посвященное 30-летию Великой Октябрьской Социалистической Революции, М. Л. 1948.

[40] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 183, 184.

[41] გ. ინაძე, იბერიისა და რომის ურთიერთობა, II საუკ. პირველ ნახევარში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1955, გვ. 315.

[42] Г. Меликишвили, К истории . . . , стр. 53.

[43] Т. Моммзен, История Рима, том V, 1949, გვ. 344, შენიშვნა 1.

[44] Н. В. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье, М.-Л., 1956, გვ. 75, 76.

[45] ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1962, გვ. 73.

ხელთ იყო, ხოლო „აბრეშუმის გზის“ მარშრუტები — საიდუმლოდ დაცული[46].

შუამავლის როლში მყოფ პართიას პლინიუსით რომი ყოველწლიურად 100 მილიონ სესტერცს უხდიდა აღმოსავლეთიდან შეტანილ საქონელში, რომლის უდიდესი ნაწილი აბრეშუმი იყო — სწორედ ამის გამო, შემდეგ, რომსა და პართიას შორის ხანგრძლივი ომი წარმოებდა — განსაკუთრებით მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე გაბატონებისათვის.

რომის იმპერიისა და პართიის სამეფოს შორის ბრძოლის მთავარი მიზეზი იყო სავაჭრო მონოპოლია აღმოსავლეთში — ინდოეთსა და ჩინეთში, დასავლეთით კი — ტიგროსისა და ევფრატის ხეობით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე.

ინდოეთიდან წამოსული მსოფლიო მნიშვნელობის დიდ სავაჭრო-სატრანზიტო გზას მცხეთაზე უნდა გაევლო. სტრაბონის თქმით „მდინარე ოქსით — ამუდარიით — მრავალი ინდური საქონელი ჩააქვთო ჰირკანიის ზღვაში (კასპიის ზღვაში), აქედან ალბანეთში გადააქვთო და შემდეგ მდ. მტკვრით და მის იქით მდებარე ადგილებით ჩააქვთო ევქსინში (ე. ი. შავ ზღვაში, შავი ზღვის ნავსადგურებში“)[47]. გარდა ამისა, მცხეთა სტრატეგიული მნიშვნელობითაც გამოირჩეოდა „აქ თავს იყრიდა მეზობელი მხარეებიდან მომავალი გზები“[48] სტრაბონის ცნობით იბერიაში ხომ ოთხი შესასვლელი იყო — სავარაუდოა ეს გზები თავს იყრიდნენ მცხეთის მიდამოებში, ერთი — დასავლეთიდან „კოლხეთიდან სარაპანის (შორაპანის) ციხე-სიმაგრის და მის მეზობლად მდებარე ხეობის (სურამის უღელტეხილი) გზით, მეორე — „ჩრდილოეთის მომთაბარეთაგან“ — ე. ი. ჩრდილოეთ კავკასიიდან: სამდღიანი ძნელი აღმართი, შემდეგ კი ოთხდღიანი გადასასვლელი მდ. არაგვის ვიწრო ველით (თანამედროვე საქართველოს სამხედრო გზა), მესამე გზა მოდის ალბანეთიდან (თანამედროვე აზერბაიჯანი) და მეოთხე — არმენიიდან[49].

ამრიგად, მცხეთა — ოთხი მხრიდან მომავალი გზის შესაყარს წარმოადგენდა. აქვე გადიოდა ინდოეთიდან მომავალი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც შავი ზღვის ნავსადგურისაკენ — ფაზისისაკენ მიიმართებოდა. მცხეთაში ამ გზას ჰკვეთდა მეორე დიდი მნიშვნელობის გზა, რომელიც ჩრდილოეთიდან მდინარე არაგვის ხეობით სამხრეთისაკენ მიემართებოდა. ეს გზა მარტო ჩრდილო მომთაბარეთა და მათი რაზმების შემოსევისათვის, ან კიდევ სამხრეთის მესვეურთ მიერ მოწინააღმდეგეებთან საბრძოლველად შემოსასვლელი კი არ იყო, — „არამედ ამ გზით ხორციელდებოდა სავაჭრო ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტომებთან“[50]. ეს ის გზა უნდა იყოს, რომლითაც ალ. ზოგრაფი გოტარზეს მონეტების გადასვლას ვარაუდობს ჩრდილოეთში[51].

„არაგვის გზისა და დარიალის კონტროლი მთლიანად ქართველების ხელში იმყოფებოდა.

ტაციტი „ანალებში“ მოგვითხრობს, რომ I საუკუნის (ახ. წ.) ოცდაათიან წლებში ამტყდარ ქართველ-პართელთა ომში ორივე მხარე ცდილობდა ქირის ჯარი ეშოვნა სარმატებთან. ამ საქმეში ქართველებმა დაასწრეს პართებს, იმიტომ, რომ „იბერებმა, რომელნიც ამ ადგილების მფლობელნი იყვნენ, სწრაფად შემოუშვეს სარმატები კასპიის გზით არმენიელების წინააღმდეგ, ის სარმატები, კი რომელნიც პართების დასახმარებლად მოდიოდნენ, ადვილად შეჩერებულნი იყვნენ, რადგანაც მოწინააღმდეგეებმა (ე. ი. ქართველებმა და მათმა მოკავშირეებმა ს. ჯ.) დაკეტა ყველა სხვა გასავალი, ერთადერთი დარჩენილი კი, ზღვასა და ალბანიის მთების ბოლოს შორის ზაფხულში გასავლელი იყო“-ო[52].

სავაჭრო გზების გარჩევისას მიმოვიხილეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გზა, რომე-

[46] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სასანური ირანის სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 19.

[47] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1958, XI, 7, 3; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბილისი, 1955, გვ. 138.

[48] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი. . . , გვ.138.

[49] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, 1958, XI, 3, 4—5; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი. . . , გვ. 138.

[50] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი. . . , გვ. 162.

[51] А. Н. З о г р а ф, Распространение находок античных монет на Кавказе. Труды отдела нумизматики Государственного Эрмитажа, том I, Ленинград, 1945, გვ. 42.

[52] ტაციტი, ციტირებულია ს. ჯანაშიას იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი, III, № 7, 1942, გვ. 725.

ლიც ძირითადად მტკვრის ხეობას მიჰყვება; გასათვალისწინებელია აგრეთვე ალაზნის მაგისტრალიც, რადგან პართული მონეტების აღმოჩენის შემთხვევები ფიქსირებულია სოფლებში: ახალდაბაში (ახმეტის რაიონი), გრემში (ყვარლის რაიონი), შრომაში (გურჯაანის რაიონი), ყარაღაჯში (სიღნაღის რაიონი).

რომი და პართია ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული ამიერკავკასიით და ყოველ პოლიტიკურ ვითარებას თითოეული მათგანი იყენებს თავის სასარგებლოდ.

ჩვენი ქვეყანა ამ ორ მოჭიშპე სახელმწიფოს არეშია მოქცეული, რომლებიც ცდილობენ მის ხელში ჩაგდებას.

რომის იმპერიასა და პართიის სამეფოს შორის პირველი შეიარაღებული ბრძოლა ძვ. წ. 65 წელს მოხდა[53]. ეს იყო დასაწყისი ამ სახელმწიფოთა შორის ხანგრძლივი ომებისა „Апогея успехов своего оружия Парфия достигла в середине I в. до н. э. при Ороде I (57—38/37)“[54] რომმა კარგად იცოდა, რომ მას ბრძოლა უხდებოდა იმდროინდელ სამყაროს მეორე უძლიერეს სახელმწიფოსთან — პართიასთან[55].

იბერია კი საერთოდ ორივე მოძალადისაგან განთავისუფლებას ცდილობდა. შესაფერ მომენტში ქართველები იარაღსაც იღებდნენ მტრის გასადევნად, ასე მოხდა ძვ. წ. 36 წელს, მაგრამ იბერიელთა მარცხით დამთავრდა.

ამ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში მყოფმა იბერიის მეფემ რომთან კვლავ მორიგება და მეგობრული ურთიერთობის აღდგენა განიზრახა და ავგუსტი კეისარს ელჩებიც კი გაუგზავნა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, იბერია „ფაქტიურად რომისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას დაადგა“[56].

როგორც ზემოთ ითქვა, პართიის მეფემ არტაბან III-მ ახ. წ. 35 წელს რომაელთა მფლობელობაში მყოფ სომხეთში მათ დაუკითხავად თავისი ვაჟი არშაკი დასვა მეფედ. მაშინ, რომის კარნახით, იბერიის მეფე ფარსმანმა, ჯერ მოტყუებით, ხოლო შემდეგ უკვე იარაღით, მოახერხა არშაკიანთა წარმომადგენლის მოშორება, მაგრამ არტაბანმა მეორე შვილი ოროდი გამოგზავნა — ფარსმანს პირისპირ მოუხდა მასთან ბრძოლა და კვლავ გაიმარჯვა. ამის შემდეგ მას თვით არტაბანი შეებრძოლა მთელი თავისი ჯარით, მაგრამ ქართველებმა კვლავ სძლიეს.

ქართლის აქტიურობა ახ. წ. I საუკუნეში საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობაში სავაჭრო გზების სიახლოვით იყო გამოწვეული. ქართლის სამეფოს ძლიერება I—II საუკუნეებში და მისი სომხეთის შინაურ საქმეებში ჩარევის ცდები კი იმით იყო გაპირობებული, რომ — მახლობელ აღმოსავლეთის უდიდესი სავაჭრო მაგისტრალი სომხეთზე — ქ. არტაშატთან გადიოდა და აქედან იბერიის მეფეთა ენერგიული ჩარევა და სომხეთზე თავიანთი უფლებების გავრცელება იქით მიდიოდა, რომ ამ გზის კონტროლსაც ვარაუდობდნენ[57]. ამ გზის ერთი შტო მცხეთამდე აღწევდა და ალბათ ჩრდილოეთითაც გრძელდებოდა; ადვილი შესაძლებელია, პართული მონეტები სწორედ ამ გზით იყოს შესული ნიჩბისში, ცხინვალში, მის პერიფერიებზე და თიანეთის რაიონის სოფ. მაგრანეთსა და თრანშიც.

საფიქრებელია საქართველოში აღმოჩენილი პართული დრაქმების გარკვეული ნაწილი ეკუთვნოდეს საქართველოს ისტორიის იმ ხანას, როცა იბერიის სამეფო მოქცეული იყო რომის იმპერიასა და პართიის სამეფოს შორის.

იბერია იმხანად იმდენად გაძლიერებულია, რომ მას რომის იმპერიაც ანგარიშს უწევს. ამის ნიშანდობლივი და საყურადღებო საბუთია რომის მთავრობის მიერ მცხეთის ზღუდის გამაგრება (ამით პართიას იბერიაში შემოსასვლელი გზა ეხშობა) და, სამახსოვროდ, იქ დიდი სანიშნო ქვის აღმართვა — ვესპასიანეს ცნობილი წარწერით. ამ წარწერაში იბერიის მეფე და ხალხი რომაელთა

---

[53] М. Е. Массон, Некоторые моменты..., გვ. 13.

[54] იქვე, უახლესი კვლევა-ძიებით დადასტურდა, რომ ოროდ I, ფრაატ III-ის ვაჟი ოროდი, არ იყო პირველი, მას ჰყავდა თანამოსახელე, წინამორბედი, რომელიც მოხსენებულია ერთ-ერთ თიხის ტაბულაზე ძვ. წ. 80 წ., რომელსაც, როგორც ჩანს, მოკლე ხანს უმეფია, რადგან 76/75 წწ. მოხსენებულია უკვე სხვა მეფე—(გვ. 13, სქ. 4) ოროდის მონეტებს, ვ. როსის განსაზღვრის მიხედვით, კვლავ ოროდ I-ად ვიხსენიებთ.

[55] ლ.-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ..., გვ. 72.

[56] საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 66.

[57] Г. А. Меликишвили, К истории . . . , გვ. 444.

მეგობრად იყვნენ გამოცხადებული[58]. ეს წარწერა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ ძეგლს ახ. წ. დამდეგის საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარების გასათვალისწინებლად[59].

II საუკუნეში კი გაძლიერებული იბერიის სამეფოს ავტორიტეტი მეზობელ ქვეყნებსა და თვით რომშიც კიდევ უფრო გაიზარდა და იბერიის მეფეებს რომთან ურთიერთობაში თავი დამოუკიდებლად ეჭირათ. რომის იმპერატორები ცდილობდნენ იბერიის მეფე ფარსმან II მათი პოლიტიკური ერთგული ყოფილიყო და უსაზღვროდ ასაჩუქრებდნენ მას. ბოლოს, ფარსმანი რომში მიიწვიეს და დიდ საჩუქრებთან ერთად, რომის ტაძარში — კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვის უფლება მისცეს, რაც უცხოელისათვის დიდ პატივისცემად ითვლებოდა. ფარსმან მეფემ და მისმა მხლებლებმა უჩვენეს ეროვნული სამხედრო ვარჯიში ცხენით[60]. ამით მასპინძლებს თავი კიდევ უფრო მეტად მოაწონეს, სწორედ ამის გამო, იმპერატორის ბრძანებით ფარსმანის ცხენოსანი ქანდაკება გააკეთეს და მარსის მოედანზე დადგეს. ყველაფერი ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ რომის მთავრობას ესაჭიროებოდა იბერიის მეფის გულის მოგება პართიასთან მდგომარეობის გამწვავების გამო[61], მაგრამ მაინც ჩვენი ქვეყნის მესვეურებმა ჯერ ფარსმან I-მა, ხოლო შემდეგ — ფარსმან II-ემ მოხერხებულად გამოიყენეს იმდროინდელი ორი დიდი სახელმწიფოს რომისა და პართიის ჭიშპობა, აგრეთვე რომის ძლიერების თანდათან დაქვეითება და რომის მეგობრობისა და მოკავშირეობის გარეგნულ საფარქვეშ ფაქტიურად დამოუკიდებელი „—აქტიური პოლიტიკის წარმოებას შეუდგნენ“[62].

საქართველო როგორც პლაცდარმი და მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე მდებარე სახელმწიფო, ამ ორ მოქიშპე ქვეყნის საომარი ობიექტიც იყო. ამის მიზეზითა და ამ სახელმწიფოებთან სავაჭრო ურთიერთობის შედეგად, ჩვენში, ერთი მხრივ, პართული მონეტები შემოსულა და გავრცელებულა, მეორე მხრივ კი, მის პარალელურად — რომაული მონეტები. სავაჭრო ურთიერთობა ამ შემთხვევაში საქართველოსა და პართიას შორის ხორციელდებოდა იმ გზით, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა და რომელიც ამიერკავკასიის ქვეყნებზე და მათ შორის საქართველოზე გავლით, ამიერკავკასიას შუააზიასა და ინდოეთთან აკავშირებდა[63].

პართული მონეტების შემოსვლის გზა მტკვრის დინებით უნდა ვივარაუდოთ — სწორედ ამ გზის გაყოლებით, სადაც განლაგებული იყვნენ ქალაქები და დასახლებული პუნქტები: თბილისი, ავჭალა, მცხეთა, სამთავრო, არმაზციხე, არმაზისხევი, კასპი, უფლისციხე, კავთისხევი, გორი, ურბნისი, ზღუდერი და სხვა. შემდეგ კი სურამის უღელტეხილის გადასვლის მერე ყვირილა-რიონის მაგისტრალით — ბორი, კლდეეთი, ქუთაისი, ვანი და სხვა, სადაც პართული მონეტებია აღმოჩენილი. თუ მხოლოდ აქ აღმოჩენილი ნუმიზმატიკური ფაქტებით ვიმსჯელებთ, საქართველოსა და პართიას შორის ურთიერთობა არც ისე ხანგრძლივი ყოფილა.

დღესდღეობით ჩვენში პართული დრაქმები არშაკიანთა დინასტიის თორმეტი წარმომადგენლის მონეტების აღმოჩენით განისაზღვრება, რომლებიც არქეოლოგიური გათხრებისა თუ მიწის სხვა ხასიათის სამუშაოების შედეგადაა აღმოჩენილი.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პართული ნუმიზმატიკური ძეგლები შემდეგ პართელ მეფეებს განეკუთვნებიან:

მითრიდატე I-ის	(171—138)...	1 დრაქმა
მითრიდატე II-ის	(123— 88)...	4 დრაქმა
არტაბან II-ის	(88— 77)...	7 დრაქმა

[58] А. И. Амирана швили, Греческие надписи музея Грузии. Вестник музея Грузии, IV, 1928, გვ. 193; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, 1951 გვ. 236—237; გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი..., გვ. 169, 173; საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 67; გ. წერეთელი, მცხეთის ბერძნული წარწერები ვესპასიანეს ხანისა, თბილისი, 1958, გვ. 5; მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 319, 320; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 172.

[59] მცხეთა I, გვ. 63.

[60] დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა, თბილისი, 1966, გვ. 83.

[61] ალ. გამყრელიძე, ახლად აღმოჩენილი ლათინური წარწერა ფარსმან მეფისა, ჟურნალი „ცისკარი“, № 9, 1959, გვ. 139.

[62] იქვე, გვ. 137.

[63] ო. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, საქ. მეც. აკად. მოამბე, XIX, № 3, 1957; მისივე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო იბერია, თბილისი, 1968, გვ. 54.

სინათრუქის	(77—70)	—	6 დრაქმა
ფრაატ III-ის	(70—57)	—	7 დრაქმა
მითრიდატე III-ის	(57—54)	—	4 დრაქმა
ოროდ I-ის	(57—37)	—	76 დრაქმა
ფრაატ IV-ის	(37 — 2)	—	10 დრაქმა
არტაბან III-ის	(10—40)	—	1 დრაქმა
გოტარზეს	(40/41—51)	—	150 დრაქმა 1 სპილენძი
ვოლოგეზ I-ის	(51—77)	—	5 დრაქმა
მითრიდატე IV-ის	(130—147)	—	2 დრაქმა

როგორც წარმოდგენილი სიიდან ჩანს, საქართველოში აღმოჩენილი პართული მონეტების დიდი ნაწილი გოტარზესა (136 ც.) და ოროდ I-ისაა (76 ც.), ხოლო დანარჩენებისა — თითო-ოროლა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი პართული მონეტები საუკუნეების მიხედვით ასე ნაწილდებოდა:

ძვ. წ. II საუკუნის 5 მონეტა
ძვ. წ. I საუკუნის 110 „
ახ. წ. I საუკუნის 157 „
ახ. წ. II საუკუნის 2 „

სისტემატური არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, მრავლდება ძვ. წ. I საუკ. მონეტების[64] აღმოჩენის შემთხვევები, მაგრამ მათი რაოდენობა ახ. წ. I საუკუნის მონეტების რაოდენობას ვერ უსწორდება.

ჩვენ ხელთ არსებული ცნობების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე პართული მონეტების აღმოჩენის 55 ადგილი და 141 შემთხვევაა ფიქსირებული. აქედან, სამარხიდან ამოღების 94 შემთხვევაა, მიწის სამუშაოებისას — 44, ხოლო განძისა — 3.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენის 46 ადგილია აღრიცხული 129 შემთხვევით. აქედან, სამარხიდან ამოღების — 86, მიწის სამუშაოების დროს — 41, ხოლო განძის პოვნის ორი შემთხვევა.

დასავლეთში აღმოჩენის 9 ადგილი[65] და 12 შემთხვევაა აღრიცხული. აქედან, 8 შემთხვევა სამარხეულია, 3 — სხვადასხვა სახის მიწის სამუშაოების დროს არის ნაპოვნი, ერთიც — განძია[66].

როგორც დავინახეთ, დასავლეთ საქართველოში პართული მონეტები იშვიათად ჩნდება, აღმოჩენის 12 (აქ ერთი ართვინშია) შემთხვევიდან სოფ. ბორის გამოკლებით 11 გვრჩება. ეს უკანასკნელი პუნქტი დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით დასავლეთ საქართველოს საზღვრებშია, მაგრამ ჩვენთვის საკვლევ პერიოდში ის იბერიაში შედიოდა და მისი დასავლეთის სასაზღვრო საპიტიახშო იყო. „ბორის პიტიახში ერთ-ერთი ამათთაგანია“[67]. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სოფ. კლდეეთში 1941—1942 წლების არქეოლოგიური აღმოჩენები ბორის ანალოგიურია[68] და იქაც ნაპოვნია პართული მონეტები, მაშინ დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებში დღევანდელი მონაცემებით პართული მონეტების პოვნა იშვიათია.

ამრიგად, პართული მონეტების გავრცელებისა და აღმოჩენის დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოში მცხეთის, ხოლო დასავლეთში ბორისა და კლდეეთის მიდამოებით ისაზღვრება. დანარჩენ ადგილებში აღმოჩენის შემთხვევები თითო-ოროლაა.

შესწავლილი და აღწერილი პართული მონატები ძირითადად საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდებშია დაცული.

ჩვენ მიერ შესწავლილი პართული ნუმიზმატიკური ფაქტები მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტებით არ შემოფარგლულა. ყურადღების გარეშე არ დაგვიტოვებია სა-

---

[64] აქ არ არის მოხსენებული გორსა და დიღომში აღმოჩენილი მონეტები, რადგან მათი კუთვნილება ცნობილი არ არის.

[65] აღსანიშნავია, რომ კ. გოლენკოს თავის ნაშრომში («Денежное обращение Колхиды в Римское время» Ленинград, 1964) მონეტათა აღმოჩენის ჩამოთვლის დროს, სოფ. დიდო-ლალო ორჯერ აქვს მოხსნებული: ერთ შემთხვევაში მაიაკოვსკის რაიონში (გვ. 83, № 68), მეორედ — ზესტაფონის რაიონში (გვ. 87, № 84). დასახელებული სოფელი წიგნში და დართულ რუკაზედაც—«Находки монет Римского времени Западной Грузии» (схема) არის აღნიშნული. კ. გოლენკოს საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი სოფელი საქართველოში საერთოდ არ არსებობს, შესაძლებელია მას აღრევა მოუხდა გარდაბნის რაიონის სოფ. დიდ ლილოსთან, მაგრამ ავტორი ხომ დასავლეთ საქართველოს იხილავს!? ამიტომ მისი ტოპოგრაფია გაურკვეველი რჩება!. . .

[66] 1971 წ. ცხაკაიას რაიონის სოფ. ეკში რომაული მონეტების განძში ოროდ I-ის ერთადერთი დრაქმა იყო.

[67] გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1955.

[68] ი ქ ვ ე, გვ. 309. გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში, თბილისი, 1945, გვ. 52; მ ი ს ი ვ ე, კლდეეთის მდიდრული სამაროვანი, თბილისი, 1956.

ქართველოს მუზეუმში დაცული ის მონეტებიც რომელთა მოპოვების გარემოება ცნობილი არაა — მათ სათანადო ადგილი აქვთ დათმობილი მონეტათა აღწერის დროს.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ პართელ მეფეთა სამონეტო ნიშნების ნაწილი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ნაწილი კი — საქართველოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პართული მონეტების შემოსვლა სისტემატური თანამიმდევრობით წარმოებს მითრიდატე I-დან (171—138) მოკიდებული ვიდრე ფრაატ IV-ის (37—2) ჩათვლით; ამის შემდეგ ამ დრაქმების შემოსვლა ერთხანს წყდება და კვლავ განახლებას იწყებს არტაბან III-ის (10—40), გოტარზეს (40—51) და ვოლოგეზ I-ის (51—77) დროს, ხოლო მთელი 70-წლიანი „შესვენების“ შემდეგ ხელახლა ჩნდება არშაკიანთა დრაქმა მითრიდატე IV-ის (130—147). ამის შემდეგ პართიის დანარჩენ მეფეთა მონეტების აღმოჩენები საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერჯერობით ფიქსირებული არ არის.

საქართველოში მოპოვებული არშაკიანთა დრაქმების რაოდენობიდან, როგორც დავინახეთ, პირველი ადგილი გოტარზეს მონეტებს უჭირავს, შემდეგ კი ოროდ I-ისა, ე. ი. ძვ. წ. I საუკუნისა და ახ. წ. I საუკუნის შუა წლებით იფარგლება.

ჩვენ ხელთ არსებული ისტორიული მონაცემებით, საქართველოსა და პართიას შორის, ზემო დასახელებული ორი მეფის (ოროდ I-ის და გოტარზეს) დროს, რაიმე განსაკუთრებული დამოკიდებულება არ შეინიშნება.

ნუმიზმატიკური მასალა კი გვავარაუდებინებს და მიგვითითებს ოროდ I-ისა და გოტარზეს დროს გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ხშირია პართულ დრაქმებთან ერთად რომაული დენარების აღმოჩენა, განსაკუთრებით (ავგუსტისა და გოტარზეს) მცხეთაში, თრანში, მაგრანეთში, ზღუდერში, კლდეეთში და ა. შ. ამ გარემოებას ხელს უწყობდა სავაჭრო გზა, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა და საქართველოზე გადიოდა. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ მცხეთა მდებარეობდა გზაჯვარედინზე. მცხეთაზე გადიოდა სავაჭრო-სატრანზიტო გზა და იგი წარმოადგენდა სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს[69]. ეს უწყობდა ხელს ვაჭრობის განვითარებას და უცხოური მონეტების შემოსვლა-გავრცელებას მცხეთაში. „დიდი რაოდენობის რომაული და პართული ფულები მსხვილ მეურნეობათა და სახელოსნოთა ნაწარმოშია დახარჯული“[70].

ავგუსტისა და გოტარზეს მონეტების ერთდროული მოქმედება გვავარაუდებინებს რომისა და პართიის ერთდროულ ექსპანსიას საქართველოში, განსაკუთრებით იბერიაში. გვიანდელ სამარხებში მათი მონეტების აღმოჩენა კი მათი ბრუნვის უნარიანობას არ უნდა მეტყველებდეს. სამარხში აღმოჩენილი მონეტები არც ვ. კროპოტკინს მიაჩნია ხანგრძლივობის საბუთად[71]. გარდა ამისა, ერთად თავმოყრილი პართული და რომაული მონეტების განძის აღმოჩენის[72] შემთხვევა ჯერჯერობით ფიქსირებული არ არის, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო მათი მოქმედების დროის არაპირდაპირი მაჩვენებელი.

ჩვენი დაკვირვებით გოტარზესი და ავგუსტის მონეტების ურთიერთმეტოქეობა არ შეიმჩნევა. დ. კაპანაძეს კი მიაჩნია, რომ ამ ორი ქვეყნის მონეტები მეტოქეობას უწევენ ერთიმეორეს[73]. ჩვენი აზრით, ერთდროულად მიმოქცევა მეტოქეობას არ უნდა ნიშნავდეს, რადგან ამ მონეტების მიერ ურთიერთის განდევნის კვალი არა ჩანს, პირიქით, ისინი თითქმის ერთობლივად მოქმედებენ, რაც არქეოლოგიური მონაცემებითაც მტკიცდება. მცხეთაში უცხოური მონეტების სიმრავლეა, მაგრამ ძირითადი და წამყვანი, როგორც პროფ. ან. აფაქიძე აღნიშნავს, არის „რომაული აურეუსები და დენარები და პართული დრაქმები“[74]. (ოროდ I-ისა და გოტარზესი).

ამრიგად ცხადია, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებთან საქართველო ცხოველ სა-

---

[69] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოში კლასობრივი. . ., გვ. 162.

[70] ან. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბილისი, 1959, გვ. 102. მ ი ს ი ვ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი, 1963, გვ. 235.

[71] В. В. К р о п о т к и н, Клады римских монет на территории СССР, Москва, 1961, გვ. 20.

[72] 1971 წ. ცხაკაიას რაიონის სოფ. ეკში აღმოჩენილ რომაული მონეტების განძში ოროდ I-ის ერთადერთი დრაქმა იყო.

[73] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937—1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის ტ. I, 1955, გვ. 80.

[74] ან. ა ფ ა ქ ი ძ ე, მცხეთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, გვ. 104.

ვაჭრო ურთიერთობაში ყოფილა. პროფ. ან. აფაქიძის აზრით, მონეტები უმთავრესად შეძლებულთა სამარხების ატრიბუტია, „გამონაკლის გარეშე ასეა აურეუსები მაინც“[75]. პატივცემული მკვლევრის ეს მოსაზრება, როგორც თვითონაც შენიშნავს, რომაულ დენარებზე და პართულ დრაქმებზე არ გავრცელდება, რადგან ეს უკანასკნელი არამდიდრულ სამარხებშიც გვხვდება.

მოხსენებულ ქვეყნებთან ურთიერთობის შესასწავლად აგრეთვე ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს წერილობით ძეგლებს (ბერძნული და არამეული წარწერები), რომლებიც მცხეთაშია აღმოჩენილი და, რომელთა წყალობით, „უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგება ქართლის დედაქალაქის როლი საგარეო ასპარეზზე“[76].

სპეციალურ ლიტერატურაში მოცემული ცნობით, საქართველოს ტერიტორიაზე პართული დრაქმების განძად აღმოჩენის ორი შემთხვევაა ფიქსირებული[77] — ორივე გორში. ერთი გასული საუკუნის 50-იან წლებში[78], მეორე კი ჩვენი საუკუნის დასაწყისში[79]. ეს უკანასკნელი აღმოჩენა, როგორც ჩანს, ს. მაკალათიამაც განძად მიიჩნია, რადგან 1940 წ. გორში გოტარზეს მონეტის აღმოჩენა საფლავში პირველ შემთხვევად აღიარა[80].

გამორიცხული არ არის ის გარემოება, რომ გორში, ჯარის ბანაკისათვის მიწის თხრის დროს, სწორედ ორმოსამარხები იყო შეუმჩნევლად აღმოჩენილი და შეუმჩნევლადვე დაზიანებული; რადგან 1900-იან წლებში აღმოჩენილი „განძის“ კომპლექსში (გარდა ლისიმაქის ოქროს სტატერის მინაბაძისა, კლეოპატრას ვერცხლის მონეტისა, ავგუსტის დენარებისა, ოროდ I-ისა და გოტარზეს დრაქმებისა) ნაპოვნი იყო ლაგამი და ფიალა, ვფიქრობთ, პატივცემულ მკვლევრებს ამან ავარაუდებინათ დასახელებული აღმოჩენა განძად ჩაეთვალათ. ორმოსამარხებისათვის კი ეს ინვენტარი ჩვეულებრივია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პართული დრაქმების დიდი ნაწილი არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი სამარხებიდან არის, ნაწილი კი მიწის სამუშაოების დროს არის მიკვლეული. შესაძლებელია აქაც ნიადაგისეულ ორმოსამარხებთან გვქონდეს საქმე.

დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე პართული მონეტების აღმოჩენის 141 შემთხვევიდან 3 — განძია[81], 94 — სამარხისეული; 44 კი მიწის სამუშაოების დროს არის ნაპოვნი.

პართული სპილენძის მონეტების შესახებ ე. პახომოვი 1910 წლის გამოკვლევაში — Монеты Грузии — წერს, რომ „Нужда в дробной монете заставила усилить выпуски меди, которая особенно в I в. н. э., находится в Грузии в массах, преимущественно в восточной части[82]“. ე. პახომოვის გამოთქმულ მოსაზრებას ნუმიზმატიკური მონაცემები ჯერჯერობით ვერ უპერს მხარს. იგი კვლავ წერს „Медных мелких монет аршакидского времени, битых как от именами самих аршакидов, так и подчиненных им мелких государств, здесь не встречается вовсе“[83] ასევე პართული სპილენძის მონეტების შესახებ კ. გოლენკო წერს: რომ „Парфянская медь в Закавказье отсутствует“[84]. ე. პახომოვისა და კ. გოლენკოს მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით სპილენძის მონეტის აღმოჩენის მხოლოდ ერთი შემთხვევაა გორში[85].

---

[75] ან. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

[76] იქვე, გვ. 105; მისივე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბილისი, 1963, გვ. 237.

[77] არის სპილენძის მონეტების განძის აღმოჩენის ბუნდოვანი ცნობები.

[78] იხ. Bartholomaei, Lettres numismatiques et archéologiques relatives á la Transcaucasice, St Pb., 1859, გვ. 23.

[79] Е. А. Пахомов, Монетные клады . . ., вып. I, გვ. 41, № 40, ამ აღმოჩენას ე. პახომოვი განძად თვლის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ ორმოსამარხია.

[80] ს. მაკალათია, გორში აღმოჩენილი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, ბარათაშვილის სახ. გორის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, II, 1947, გვ. 102.

[81] არის აგრეთვე ცნობა კასპის რაიონის სოფ. კოდისწყაროში ნაპოვნი პართული მონეტების განძის შესახებ. ამ განძიდან (თუ ეს განძი იყო და არა სამარხი(?) ჩვენამდე მოაღწია ბუნდოვანმა სავარაუდო ცნობამ და ოროდ I-ის (57—37), ფრაატ IV-ის (37—2) და არტაბან III-ის (10—40) თითო-თითო დრაქმამ. მონეტები დაცულია კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[82] Е. А. Пахомов, Монеты Грузии, გვ. 10.

[83] მისივე, Монеты Азербайджана, вып. I, Баку, 1959, გვ. 7.

[84] К. В. Голенко, Аршакидское серебро, Денежное обращение Колхиды в Римское время, Ленинград, 1964, გვ. 52, სქოლიო 3.

[85] გორში აღმოჩენილი პართული სპილენძის მონეტები ბუნდოვანი ცნობით თითქოს განძი უნდა ყოფილიყო. აქედანვეა

მართალია, სპილენძის მონეტები არც თუ ისე უხვადაა, მაგრამ მაინც არის ცნობილი და საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების იმ ფონდებშია, რომელთაც მოპოვების შესახებ არავითარი ცნობები არ გააჩნიათ — ან შეიძლება თავის დროზე არ არის ფიქსირებული.

სავარაუდოა, რომ ეს მონეტები ადგილობრივ მონაპოვარია, რადგან, როგორც ცნობილია, სპილენძის მონეტა თავისი პოვნის ადგილიდან შორს არ მიდის[86].

პროფ. ე. პახომოვის დასკვნა ამიერკავკასიაში პართული სპილენძის მონეტების აღმოჩენათა შემთხვევების უქონლობის შესახებ, ირღვევა იმითაც, რომ პართული სპილენძის მონეტების აღმოჩენის შემთხვევა ცნობილია სომხეთშიც.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ, თუმცა საქართველოში პართული ტეტრადრაქმების აღმოჩენები არაა ცნობილი, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის იმ ფონდში, რომელთაც მოპოვების ცნობები არ გააჩნიათ, დაცულია 4 პართული ტეტრადრაქმა[87].

ამრიგად, დღეისათვის არსებული მონაცემებით ტეტრადრაქმები თითქოს არა ჩანს მიმოქცევაში, მაგრამ ვარაუდი იმისა, რომ ეს მონეტები არ იყო ბრუნვაში საქართველოში, მოკლებულია რეალურ საფუძველს.

აქ უფრო რეალური იქნება ვივარაუდოთ, რომ დღეისათვის გაშლილი ფართო არქეოლოგიური გათხრები დადებით პასუხს გაგვცემენ საქართველოს ტერიტორიაზე პართული მონეტის ყველა სახეობათა ბრუნვის შესახებ, რასაკვირველია, მათი ისტორიულ გარემოსთან მეტნაკლებად შეფარდებით.

პართიის სამეფო გარესამყაროსთან ბრძოლის გარდა შინაურმა აჯანყებებმა და ძმათა შორის შუღლმა და გაუტანლობამ დიდ გასაჭირში ჩააგდო. ბრძოლა ძმების მითრიდატე III-ისა (57—54) და ოროდ I-ის (57—37) შორის ოროდის გამარჯვებით დამთავრდა და ეს უკანასკნელი შეიქმნა ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი, თუმცა ეს ორი ძმა ოთხიოდე წლის მანძილზე მართავენ სახელმწიფოს და იბრძვიან ტახტისათვის. აგრეთვე ორივე მათგანი ჭრის მონეტებს. ამ ისტორიულ სიტუაციას ნუმიზმატიკური მასალა სავსებით ასახავს.

ასევე ხშირი იყო წინააღმდეგობა და ბრძოლაც მამაშვილთა შორის — ოროდ I დაიღუპა თავისი მემკვიდრის ფრაატ IV-ის (37—2) ხელით. თავის მხრივ ფრაატი (IV) გაუსწორდა ძმებს, რომელთაც პრეტენზია ჰქონდათ სამეფო ტახტზე.

არტაბან III-ის (10—40) გარდაცვალების შემდეგ პართიის სამეფოში კვლავ დაიწყო დინასტიური შუღლი და არეულობა. მისი მემკვიდრეები ვარდან I და გოტარზე ერთმანეთს სამეფო ტახტს ეცილებოდნენ; გოტარზემ თავისი მამობილის (არტაბან III) შვილები, რიგრიგობით მოიშორა. პართიის სამეფო ტახტზე ერთხანს ვხედავთ ვარდან I (41/42—45), მან მონეტების მოჭრაც კი მოასწრო[88], მაგრამ გოტარზემ მისი მოშორებაც მოახერხა — მოაკვლევინა იგი. თუმცა გოტარზეს გამეფებას შინაგანი წინააღმდეგობა და არეულობა მაინც მოჰყვა. მაგრამ მან მოახერხა აჯანყების ჩაქრობა, გარეშე მტრებზეც გაიმარჯვა და მიუხედავად მისი დიდი სიმკაცრისა, პართელებმა რომაელთა ბატონობას გოტარზეს მეფობა ამჯობინეს.

გოტარზეს ერთ-ერთ დიდ გამარჯვებას 49-50 წწ. მიაწერენ. ამ გამარჯვების აღსანიშნავად ბესიუტინის კლდეზე ამოკვეთილია წარწერა და უხეშად გამოყვანილი ცხენოსანი გოტარზეს რელიეფური გამოსახულება; მის ზემოთ წარმოდგენილია ფრთაგაშლილი გამარჯვების ქალღმერთი ნიკე; მტრები გოტარზეს ფეხქვეშ არიან გართხმულნი; რელიეფის ახლოს ბერძნული წარწერაა — „Γωθαρσης γεοπουρος, ე. ი. გოტარზე ძე ღვთისა (გოტარზე-ძეო გეოსი (გევსოსი)".

სპილენძის ერთადერთი მონეტა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის განძების ფონდშია დაცული. საინვ. № 730. ეს ერთადერთი სპილენძის მონეტა იმდენად არის გაცვეთილი, რომ დაბეჭდითებით რომელიმე პართელი მეფისათვის მიკუთვნება ძნელია, მაგრამ ზოგიერთი შერჩენილი დეტალის წყალობით, მაინც ყველაზე მეტად იგი გოტარზეს სპილენძის მონეტას უახლოვდება, შუბლზე — ადამიანის თავი პროფილში მარცხნივ, ზურგზე — მარჯვნივ მიმავალი რომელიღაც ფრინველი, იხ. აღწერილობა.

[86] თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 300. ვფიქრობთ, გამოთქმული მოსაზრება ამჯერად ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვისაც გამოდგება.

[87] ძველი ერანის ძირითადი ფონდი № 77, 418, 488, 495.

[88] BMC, Parthia, გვ. 153—160.

ამ წარწერას უნდა დაუპირისპირდეს გოტარზეს მონეტის იშვიათი ნიმუში აგრეთვე ბერძნული ზედწერილით: Γωτέρζης Βασιλεὺς Βασιλέων — Ἀρσανῶν Υἱὸς κεκαλουμένος Ἀρταβάνου — ე. ი. გოტარზე მეფეთა მეფე არიების (ირანის) ძე წოდებული არტაბანისა[89] (ამ წარწერით გოტარზე თავის თავს არშაკიანთა დინასტიის წარმომადგენლად აცხადებს). იქნებ საჭირო იყოს, წერს ნ. პიგულევსკაია — წავიკითხოთ არა Ἀρσανῶν, როგორც მოცემული აქვს ჰერცფელდს, არამედ ისე, როგორც თვით წარწერაშია Ἀρσανον, და მაშინ თარგმანი ირანის (არეანის) შაჰინშაჰი (მეფეთა მეფე) უფრო გამართლებული იქნება. სიტყვა Κεκαλουμένος (სიტყვასიტყვით) ითარგმნება „წოდებული" და მიუთითებს იმაზე, რომ თუმცა გოტარზე ძეა გეოსი, მაგრამ იგი თავის თავს სთვლიდა არტაბან III-ის ძე-შვილობილად. ამდენად, მუდმივ კავშირში იყო არშაკიანთა დინასტიასთან და თავი მათ მემკვიდრედ მიაჩნდა.

გამარჯვებული გოტარზე იმტკიცებს სამეფო ტახტს. მაგრამ 51 წ. გოტარზე გარდაიცვალა, როგორც ჩანს, ძალდატანებითი სიკვდილით[90].

გოტარზეს სიკვდილის შემდეგ ერთხანს ვონონესი მართავს სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ ტახტზე ადის გოტარზეს მემკვიდრე ვოლოგეზ I.

ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ გოტარზეს მონეტებზე ΑΡΣΑΚΟΥ-ს ნაცვლად ზოგჯერ ამოკვეთილია ΑΡΙΑΝΟΥ. შესაძლოა გოტარზე ამით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ, მართალია, იგი არ არის არშაკიანთა გვარის ან დინასტიის უშუალო წარმომადგენელი, მაგრამ აღიარებულია არტაბანის ძე-შაჰინშაჰად ირანისა.

პართულ მონეტებზე საუბრის დროს არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სუბარშაკიანთა მონეტები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. მაგრამ წინამდებარე ნაშრომში, ტექნიკური მიზეზების გამო, ზემოაღნიშნული მონეტების ფოტორეპროდუქციული მასალის მოთავსებით დავკმაყოფილდით, (იხ. ტაბ. XXIX, XXX) თანაც ამ ჯგუფის მონეტებზე გამოკვლევას ავტორი მომავლისათვის ამზადებს.

არშაკიანთა დინასტია გარეშე ქვეყნებთან ბრძოლის გარდა, შინაურმა აჯანყებებმა და ძმათა შორის შუღლმა დიდ გასაჭირში ჩააგდო.

გაუთავებელმა ომებმა პართიის სახელმწიფო დაშლისა და დაცემის გზაზე დააყენა. ამ პროცესის შეჩერება ვეღარ შესძლეს მისმა მეფეებმა და III საუკუნის 20-იან წლებში, სახელდობრ 224 წელს, არშაკიანთა სახელმწიფოს მაგიერ ისტორიულ სარბიელზე გამოდის უფრო ძლიერი და ორგანიზებული — სასანიანთა სახელმწიფო, როგორც გ. მელიქიშვილი წერს — „Сасанидский Иран был более сильным централизованным государством, чем Аршакидская Парфия"[91].

ამრიგად, ახ. წ. III საუკუნის I ნახევარში არშაკიანთა დინასტია საკმაოდ დაუძლურდა. პართიის სამეფოს „ბოლო მოუღეს სასანიანებმა (224 წ.)... ფეოდალიზაციის გზაზე შემდგარ ირანში დაგმეს არშაკიდების ელინისტური მისწრაფებანი, დაუბრუნეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ცეცხლთაყვანისმცემლობას"[92]. პართიის უკანასკნელი მეფეების მონეტებზე უკვე შეიმჩნევა სასანიანთა გავლენა. ძალიან მახინჯდება ბერძნული ზედწერილები, ხოლო მეფის სახელი უკვე ფალაურით აღიბეჭდება.

224 წ. არდაშირმა დაამარცხა არშაკიანნი, დაიპყრო ქტეზიფონი და პართიის სხვა სამფლობელოებიც და 226 წ. წარმოიქმნა სასანური ირანის სახელმწიფო[93]. „სასანური ირანის პოლიტიკური ორგანიზაცია პართიის სახელმწიფოს ეკონომიური განვითარების ნაყოფი იყო"[94].

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ პართული მონეტების შესწავლა-დამუშავებას და მის მონოგრაფიულად გამოცემას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და პართიის სახელმწიფოების პოლიტიკურ-ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის ისტორიის საკითხების შესწავლა-გარკვევისათვის.

---

[89] Н. В. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье, М.-Л., 1956, გვ. 75, ასეთი მონეტა არ შეგვხვედრია.

[90] Н. В. Пигулевская, Города Ирана. . ., стр. 75.

[91] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии . . , გვ. 391.

[92] საქართველოს ისტორია, 1958 წ., გვ. 87.

[93] ვ. გაბაშვილი, სასანური ირანის წარმოშობის დრო და პირობები, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 23.

[94] იქვე, გვ. 18.

№№ რიგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			ფრაათ I (176—171)*	
			ვერცხლი, დრაჰმა**	
1	ძვ. ერ. ძ[1]. 450	4.32 20/21	მეფის ბიუსტი მარცხნივ: წოპიანი მუზარადითა (მომთაბარის სახისა) და დიადემით (დიადემა თვლებით არის შემკული, ირჩევა სამი თვალი). დიადემის ბოლოები თავის უკან დაბლა არის დაშვებული: ყურზე ერთრკალიანი საყურე: სამოსელის საყელოს ორი ზოლი მოჩანს: გარშემო წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ არის შემონახული[2].	არშაკი[3] (დინასტიის დამწყები) ზის ომფალოზე მარჯვნივ: გაწვდილ ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს: მშვილდი მარჯვნივ ვერტიკალურად განლაგებულ ზედწერილს ორ ნაწილად ჰყოფს; ზედწერილი სამი მხრიდან თითო პწკარად ასეა განლაგებული: მარცხნივ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; ზემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ე. ი. მეფისა დიდისა არშაკისა[4]. ასოთა კიდურები წერტილებით ბოლოვდება[5]. ტაბ. I, 1[6].
2	ძვ. ერ. ძ. 466	3.92 20	როგორც № 1[7], მხოლოდ ცხვირის ნესტოსთან დიდი მეშეჭი: წვრილი წერტილების რკალი ისეა განლაგებული, თითქოს თითოეული წერტილიდან სხივები გამოდის. ამ რკალის ნაწილია შემონახული.	როგორც № 1, მხოლოდ სიჭა ოდნავ არის ჩაზნექილი; ზედწერილის ასოთა კონტურებია შერჩენილი[8]. ტაბ. I, 2.
3	ძვ. ერ. ძ. 533	4.21 19/20	როგორც № 2, მხოლოდ ცხვირთან უფრო დიდი მეშეჭი; ნაწილობრივ გაცვეთილია.	როგორც № 2, მხოლოდ ზედწერილი სრულად[9] არის შემონახული: მარცხნივ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; ზევით — ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ[10]. ტაბ. I, 3.

* მეფის სახელის გვერდით ფრჩხილებში მოთავსებული ციფრები აღნიშნავს მათი მეფობის წლებს.

** დრაქმა—პართული სამონეტო სისტემის ძირითადი ერთეული (იგივე დრამა).

1 ძვ. ერ. ძ. აქ და შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ძველი ერანის ძირითადი ფონდის მაგიერ.

2 მონეტის არე დატალღულია, გარშემოვლებული რკალის წერტილები გაცურებულია.

3 ზურგი ჩაღრმავებულია.

4 W. Wroth, Catalegue of the coins of Parthia London, 1903 (შემდეგ, BMC, Parthia), გვ. 3, № ტაბ. 1, 8; S. Petrowicz Arsaciden—Münzen, Catalogue Wien, 1904, გვ. 18, ტაბ. II, 5 Г. А. Кошеленко. Некоторые вопросы истории ранней Парфии, ВДИ, I, 1968, ტაბ. I, 8, დაახლოებით ასეთია ჩვენი მონეტა; მონეტათა განსაზღვრისას ძირითადად ვეყრდნობოდით ვ. როსს.

5 ასოები შებრუნებულად არის შესრულებული.

6 ტაბულაზე მოთავსებული მონეტის ფოტორეპროდუქციის ნომრები შეესატყვისება აღწერილობის ნომრებს.

7 მსგავსება რიგითი ნომრითაა მითითებული.

8 BMC, Parthia, გვ. 4, № 24, ტაბ. I, 10.

9 ზურგის არე ოდნავ ჩაღრმავებულია.

10 ომიკრონი(O), კაპას (K) კიდურებს შორის ზის.

№№ რიგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
4	ძვ. ერ. ძ. 449	3.97 20	როგორც № 2, მხოლოდ წერტილოვანი რკალი გაცურებული თუ სხივისებრია, ოდნავ გაცვეთილი, ერთგან გახვრეტილია.	როგორც № 2, მხოლოდ ზედწერილი[11] ოდნავ განსხვავებული მანერით არის შესრულებული[12]. ტაბ. I, 4.
5	ძვ. ერ. ძ. 579	3.49 20	როგორც № 2, მხოლოდ ცხვირის ნესტოსთან მეჩეჩი; წვრილი წერტილების რკალი მონეტის არეზე ნაწილობრივ არის მოხვედრილი.	როგორც № 2, მხოლოდ მუზარადიანი თავი ოდნავ წინწაზიდულია[13], ზედწერილი მთლიანად არის შერჩენილი. ტაბ. I, 5.

მითრიდატე I (171—138)

ვერცხლი. დრაჭმა

6	ძვ. ერ. ძ. 314	3.77 20	მეფის ბიუსტი მარცხნივ; სახეს გრძელი, ხვეული წვერ-ულვაში უმშვენებს; თვლებით შემკული დიადემით, რომლის ბოლოები თავის უკან, განასკული, დაბლა ეშვება; ყელსაბამი, ორი სფერული სამაგრით; ბექთარის მხოლოდ საყელო მოჩანს; რკალი ხაზოვანია, ხაზებშორის ორ-ორი წერტილია (იქნებ დაფნის გვირგვინია).	არშაკი ზის ომფალოზე, მარჯვნივ; გაწვდილ მარჯვენა ხელში მშვილდი უჭირავს[15]. ზედწერილი თითო სწკარად არის შემოწერილი: მარცხნივ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; ზევით — ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ. ტაბ. I, 6.
7	ძვ. ერ. ძ. 580[16]	4.09 18/19	როგორც № 6, მხოლოდ ყელსაბამი ერთსფეროიდული სამაგრით; სამოსელის სამხრეები ნაკეცებიანია; შემორკალულია დაფნის გვირგვინით; პუნქტირების რკალი სანახევროდ ჩანს.	როგორც № 6, მხოლოდ უფრო მეტად ჩაღრმავებულია; შტამპი თითქოს დაკვრის დროს გაცურებულა[17]. ტაბ. I, 7.
8	ძვ. ერ. ძ. 582	3.88 19	როგორც № 6. იხ. № 29.	როგორც № 6[18]. იხ. № 29. ტაბ. I, 8.
9	ძვ. ერ. ძ. 4	4.06 18	როგორც № 7.	როგორც № 6, მხოლოდ ზედწერილის ასოთა კიდურები წერტილებით მთავრდება. ტაბ. I, 9.

[11] ზურგი ჩაღრმავებულია.

[12] ზედწერილი პირველ აღწერილ მონეტას ახლავს, განსხვავებული, — დამახინჯებული და ნაკლოვანი ზედწერილი საჭიროების შემთხვევაში მოცემულია აღდგენილ-შევსებული. პალეოგრაფიული სიზუსტით ზედწერილების მოცემა ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

[13] ზურგზე ნაკაწრებია.

[14] ერთგან გახვრეტილია, შუბლზე ნაკაწრები, ზურგი ოდნავ ჩაღრმავებულია.

[15] BMC, Parthia, გვ. 6, № 2; Г. А. Кошеленко, Монетное дело Парфии при Митридате I, Нумизматика и эпиграфика, том X, 1972, таб. I, 5 (ჰეკატომპილეს ზარაფხანის გამოშვება უნდა იყოს).

[16] ნაწილობრივ გაცვეთილია.

[17] BMC, Parthia, გვ. 10, № 31, ტაბ. III, 3.

[18] BMC, Parthia, გვ. 11, № 35, ტაბ. III, 4.

№№ ორდ.	ფოსფი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			ოგოლი	
10	ძვ. ერ. ძ. 452[19]	0,59 10/12	მეფის ბიუსტი გრძელი წვერ-ულვაშით მარჯვნივ; დიადემით; ყელ-ყურის არეში სამოსელის ორი ზოლი ირჩევა.	გრძელწვერიანი (მეფის ?) ბიუსტი მარჯვნივ; მუზარადით თუ ყაბალახით; ზედწერილიდან იკითხება ΑΡΣΑΚΟΥ და ზოგიერთი ასოს კიდურები ირჩევა[20]. ტაბ. I. 10.
			ფრაატ II (138—128/7)	
			ვერცხლი. დრაჰმა	
11	ძვ. ერ. ძ. 5[21]	4.29 19	მეფის ბიუსტი ხვეული წვერით, მარცხნივ; დიადემით, რომლის ბოლოები თავის უკან დაბლა ეშვება; სამოსელის საყელო ჩანს; გარშემოვლებული წერტილოვანი რკალი სანახევროდ არის შემონახული.	არშაკი ზის ომფალოზე მარჯვნივ, მშვილდ-ისრით; ზედწერილი ორ-ორ პწკარად არის განლაგებული: მარჯვნივ — ΒΑΣΙΛΕΩΣ | ΜΕΓΑΛΟΥ; მარცხნივ[22] — ΑΡΣΑΚΟΥ || ΘΕΟΠΑΤΟΡΟΣ[23] ე. ი. მეფისა დიდებულისა არშაკისა-მამაღმერთისა. ტაბ. I, 11.
12	ძვ. ერ. ძ. 7	3.72 18	როგორც № 11, მხოლოდ ხვეული წვერი კულულებად არის დალაგებული; თავის უკან TAM; წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ არის მოხვედრილი მონეტის არეზე[24].	როგორც № 11, მხოლოდ ზედწერილის ასოები წერტილებით ბოლოვდება: სტრიქონებს შორის სწორი ხაზი გადის და ქვევით მონაკვეთს უერთდება[25]. ტაბ. I, 12.
13	ძვ. ერ. ძ. 6[26]	2.96 18	როგორც № 12, მხოლოდ თავის უკან TA; მსხვილი წერტილების რკალი თავის ზევით და მარცხნივ არის შემორჩენილი.	როგორც № 12. ტაბ. II, 13.
14	ძვ. ერ. ძ. 411	3.36 19	როგორც № 12.	როგორც № 12. ტაბ. II, 14.
15	ძვ. ერ. ძ. 534	4.13 20/21	როგორც № 12, თავის უკან ისეთივე სამი TAM ასო.	როგორც № 12[27], ტაბ. II, 15.

[19] გაცვეთილია.

[20] BMC, Parthia, გვ. 7, № 3, ტაბ. II, 3. Georges Le Rider, Suse sous les Séleucides et les Parthes, Paris, 1965, გვ. 342, ტაბ. XIX, 9; Г. К. Кошеленко, Монетное дело Парфии при Митрадате I, Нумизматика и эпиграфика, X, Москва, 1972, стр. 102, таб. № 15.

[21] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.

[22] ზედწერილს დაემატა *ΘΕΟΠΑΤΟΡΟΣ* O-მიკრონი ზოგი პატარაა, ზოგი კი დიდი.

[23] BMC, Parthia გვ. 16, № 5, ტაბ. IV, 3.

[24] BMC, Parthia, გვ. 17, № 15, ტაბ. IV, 7.

[25] ზურგის არე ჩაღრმავებულია.

[26] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია, ნაპირი ორგან გახეთქილი; ზურგი დაკაწრულიც არის.

[27] ჩაღრმავებულ ზურგის არეზე ორჯერ არის შტამპი დაკრული.

№№ ოქ.	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
16	ქვ. ერ. ძ. 535[28]	3.22 19/20	როგორც № 12, მხოლოდ თავის უკან NI... შეიძლება აქაც TAM იყოს ოღონდ არ ირჩევა. რკალი თავის ზევით არის შემონახული[29].	როგორც № 12. ტაბ. II, 16.

არტაბან I (128/7—123)
ვერცხლი, დრაჭმა

17	ძვ. ერ. ძ. 412	2.82 18/19	მეფის ბიუსტი გრძელი ხვეული წვერ-ულვაშით და თმით, მარცხნივ; წერტილებით შედგენილი თმის კულულები წრიულად არის დალაგებული; დიადემით, რომლის ორი ბოლო უკან, დაბლა ეშვება; სამოსის საყელოზე ხუთი, ხოლო მხარზე ერთი თვალი ინიშნება; ყელსაბამი; წვრილი წერტილების რკალი სანახევროდ არის შემონახული[31].	არშაკი ზის ომფალოზე მარჯვნივ; ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული; ზედწერილიდან[30] ირჩევა... ΑΣ... ΑΕ...|... ΕΓΑΛΟΥ. უნდა იყოს მარჯვნივ ΒΑΣΙ-ΛΕΩΣ | ΜΕΓΑΛΟΥ; მარცხნივ ΑΡΣΑ-ΚΟΥ | ΦΙΛΑΔΕΛΦΟΥ — ე. ი. მეფისა დიდისა არშაკისა, ძმათა მოყვარულისა. ტაბ. II, 17.
18	ძვ. ერ. ძ. 10	3.10 18	როგორც № 13[32].	როგორც № 17[33] ტაბ. II, 18.

მითრიდატე II (123—88)
ვერცხლი, დრაჭმა

I ჯგუფი

ა) მეფე დიადემითა და წარწერით ΒΑΣΙΛΕΩΣ

19	ძვ. ერ. ძ. 15	4.19 20	მეფის წვერულვაშიანი ბიუსტი მარცხნივ; დიადემით, რომელიც უკან არის განასკული და ორი ბოლო დაბლა ეშვება; სამოსის საყელო და სამხრე თვლებით არის მოოჭვილი; სამკეცი ყელსაბამის ერთი თავი სფეროსებრი ორნამენტით არის შემკული; საყურით; წვრილი წერტილების რკალი[34].	ომფალოზე მჯდარი არშაკი მარჯვნივ; ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული; შემოწერილია თითო სწკარად: მარცხნივ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; ზემოთ — ΜΕ-ΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; მონაკვეთის ქვემოთ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ, ე. ი. მეფისა დიდისა არშაკისა, დამხმარისა. წარწერა წვრილი ასოებით არის

[28] შუბლზე და ზურგზე ნაკაწრებია; ზურგზე შტამპი თითქოს ორჯერ არის დაკრული?
[29] BMC, Parthia, გვ. 17, № 12(?)
[30] BMC, Parthia, გვ. 21, № 4, ტაბ. V, 4.
[31] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილი, ნაპირდაზიანებული — დაბილული.
[32] შუბლი გაცვეთილია.
[33] ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ. № 8, ორივე მხარე გაცვეთილი; ზურგზე ისევ ამოგლეჯილი, თითქოს გახვრეტაა ნაცადი. მარცხნივ განლაგებულია ზედწერილი *ΑΡΣΑΚΟΥ | ΦΙΛΑΔΕΛΦΟΥ* კარგად ირჩევა.
[34] BMC, Parthia, გვ. 26, № 12, ტაბ. VI, 6, 7.

№№ ნიმუშებზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
				შესრულებული, ზედწერილი მონაკვეთის ქვევით პირველად მითრიდატე II-ის მონეტაზე[35]. ჩნდება. ტაბ. II, 19.
20	ძვ. ერ. ძ. 413	4.27 19/20	როგორც № 19, მხოლოდ ყელსაბამის ბოლო ქვეწარმავლისთავიანი ორნამენტი უნდა იყოს[36].	როგორც № 19, მხოლოდ ...ΕΓΑ-ΛΟΥ. ტაბ. II, 20.
21	ძვ. ერ. ძ. 20	3.90 20	როგორც № 19.	როგორც № 19. მხოლოდ ზედწერილი მსხვილი წერტილებით არის გადმოცემული. ტაბ. II, 21.
22	ძვ. ერ. ძ. 11	3.74 19	როგორც № 19.	როგორც № 19. ტაბ. II, 22.
			ბ) მეფე გრძელი წვერით, ისევ დიადემითა და ზოგი განსხვავებული ზედწერილით	
23	ძვ. ერ. ძ. 12	3.80 20	მეფის ბიუსტი მარცხნივ გრძელი წვერითა და ულვაშით, წვერი დატალღული ხაზებით არის წარმოდგენილი; დიადემით, რომლის ორი ბოლო თავის უკან არის განასკული და დაბლა ეშვება; საყურით; ორწყება ყელსაბამის ბოლო სფეროსებრი ორნამენტით გვირგვინდება; სამოსელის საყელო და მხრები მოოქვილი უნდა იყოს; გულის არეში, მარჯვნივ ვარსკვლავის მსგავსი სამკაული; წერტილების რკალის ნაწილი მონეტის არეზეა მოხვედრილი.	არმაკი ზის ზურგიან სამეფო ტახტზე მარჯვნივ; გაწვდილ ხელში მშვილდ-ისარი აქვს მომარჯვებული; ზედწერილი: თითო ბწკარად არის შემოწერილი მარცხნივ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; ზემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ[37]; მარცხნივ მონეტის კიდეზე Π (იქნებ ჯვარია). ტაბ. II, 23.
24	ძვ. ერ. ძ. 13	3.94 20	როგორც № 23, მხოლოდ მოოქვილი სამოსის ზედა ნაწილი კარგად ირჩევა.	როგორც № 23, მხოლოდ ნიშნები გაურკვეველია[38]. ტაბ. II, 24.
25	ძვ. ერ. ძ. 646	3.88 19/21	როგორც № 23, მხოლოდ სამოსელის საყელოზე 10 თვალია განლაგებული, მხარზე კი 8 თვალით არის მოოქვილი; მარჯვენა იღლიასთან თვლებით შემკული ვარდულა; ყელსაბამის	როგორც № 23. ტაბ. III, 25.

35 ზედწერილში A ზოგჯერ ასეა A.

36 BMC, Parthia, გვ. 26, № 18, ტაბ. VI, 7, მხოლოდ ჩვენ მონეტაზე ყელსაბამს ქვეწარმავლისთავიანი ორნამენტი აქვს; ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 1, 9.

37 BMC, Parthia, გვ. 26, № 21, ტაბ. VI, 8, მხოლოდ ჩვენ მიერ აღწერილ მონეტაზე Ⱥ — არ არის.

38 ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 8, 14, (ორივე გახვრეტილია) და № 15 (ყუნწიანია).

№№ ორგ.	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			ბოლო, ცხენისთავიანი ორნამენტით; სახის წინ რამდენიმე წერტილია; წერტილების რკალის პატარა ნაწილია შერჩენილი[39].	
26	ძვ. ერ. ძ. 14	3.92 18	მეფის ბიუსტი მარცხნივ; მოკლე-მოკლე პარალელური ხაზებით შედგენილი გრძელი წვერით; დიადემით; სპირალური ყელსაბამით; ცხენის (თუ რაღაც სხვა ცხოველის) თავიანი ორნამენტით; საყურით; თვლებით მოოქვილი სამოსელით.	არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ. გაწვდილ ხელში მშვილდ-ისარი აქვს მომარჯვებული; შემოწერილია; ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; მარჯვნივ — ΒΑΣΙΛΕΩΝ; ქვემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ; მარცხნივ — ΑΡΣΑΚΟΥ | ΕΠΙΦΑΝΟΥΣ[40]; ე. ი. მეფეთა მეფისა, დიდისა არშაკისა დამხმარისა. ტაბ. III, 26.
27	ძვ. ერ. ძ. 16	3.78 19	როგორც № 26.	როგორც № 26. ტაბ. III, 27.
28	ძვ. ერ. ძ. 468	4.11 20/21	როგორც № 26[41].	როგორც № 26. ტაბ. III, 28.
29	ძვ. ერ. ძ. 582	3.88 19	როგორც № 26. იხ. № 8.	როგორც № 26. იხ. № 8.
30	ძვ. ერ. დ[42] 3	3.78 18	როგორც № 26, მხოლოდ ყელსაბამის ორნამენტი რაღაც ცხოველის პირღია თავს წარმოადგენს.	როგორც № 26, მხოლოდ ზედწერილი უფრო მსხვილი წერტილებითა და ხაზებით არის შესრულებული[43].
31	ძვ. ერ. ძ. 1941	4.21 23/26	როგორც № 26, მხოლოდ ყელსაბამის ორნამენტი რაღაც ფრინველს მოგვაგონებს.	როგორც № 26. ტაბ. III, 31.
32	ძვ. ერ. ძ. 536	3.71 20/22	როგორც № 26, მხოლოდ გულმკერდის არეში სფეროსებრი ნიშანი.	როგორც № 26, მხოლოდ არშაკის უკან სფეროს მსგავსი ნიშანი. ტაბ. III, 32.
			სპილენძის მონეტები	
33	ძვ. ერ. ძ. 12245	7.70 21	მეფის ბიუსტი მარცხნივ; სახეს უმშვენებს წვერ-ულვაში; დიადემით; დიადემის უკან გაკრული ორი ბოლო დაბლა ეშვება; საყურით; სამკეცა	ცხენი მარჯვნივ არის მიმართული, მარცხენა წინა ფეხი მოხრილია ისე, თითქოს რაღაცაზე დადგმას აპირებს ფრთხილად; მარცხნივ ზედწერილი არ

[39] BMC, Parthia, გვ. 26, № 21, ტაბ. VI, 8, მხოლოდ ჩვენი მონეტის ზურგზე, უკან არავითარი ნიშანი არ არის.

[40] BMC, Parthia, გვ. 30, № 66, ტაბ. VII, 6.

[41] ასეთია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ძველი ერანის დუბლეტების ფონდის № 2, 6 (№ 6 ორგან გახვრეტილია).

[42] ძვ. ერ. დ. — აქ და შემდეგ აღნიშნავს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების ძველი ერანის დუბლეტების ფონდს.

[43] ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 4, 5, 7, 10, 18, 21 (№ 7 ერთგან გახვრეტილია).

[44] ორივე მხარე ოდნავ დაზიანებულია.

[45] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.

№№ ნიმუშის	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			ყულსაბამით: სიმოსის საყელო (შემკულობა არ უჩანს): უკან  წერტილების რკალი მონეტის არეზე ნაწილობრივ არის მოხვედრილი[45].	ირჩევა; ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; მარჯვნივ — ΜΕΓΑΛΟΥ; ქვემოთ — ΑΡΣΑΚΟΥ ΕΠΙΦΑΝΟΥΣ[47]. ტაბ. III, 33.
34	ძვ. ერ. ძ. 134	6.15 21/22	როგორც № 33, მხოლოდ თავის უკან არ ირჩევა ნიშანი.	როგორც № 33, მხოლოდ ცხენის ზურგის ზემოთ MP; მარცხნივ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; ზევით — ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ[48]; — ქვევით — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ[49]; ტაბ. III, 34.
35	ძვ. ერ. ძ. 124	3.91 17	როგორც № 33, მხოლოდ თვლებით მოოჭვილი სამოსის საყელო გარკვევით ირჩევა; თავის უკან M; წვრილი წერტილების რკალი სანახევროდ არის მონეტის არეზე მოხვედრილი.	ცხენის თავი მარჯვნივ; შემოწერილია მარცხნივ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; ზემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ[50]; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ[51]. ტაბ. III, 35.
36	ძვ. ერ. ძ. 424[52]	2.90 16/17	როგორც № 35, მხოლოდ თავის უკან;  [53].	როგორც № 35, მხოლოდ ზედწერილი სწორკუთხედშია ჩაწერილი. ტაბ. III, 36.
37	ძვ. ერ. ძ. 583	4.24 18/19	როგორც № 35, მხოლოდ თავის უკან  გარშემოვლებული რკალი ნაწილობრივ არის შემონახული[54].	როგორც № 35, მხოლოდ ზედწერილიდან ირჩევა ΒΑΣΙΛΕΩΣ, ΜΕΓΑΛΟΥ, ΑΡΣΑΚΟΥ. ტაბ. III, 37.
38	ძვ. ერ. ძ. 129	1.80 12	როგორც № 35, მხოლოდ თავის უკან M თუ N(?); წერტილოვანი რკალის ნაწილი მოხვედრილია მონეტის არეზე[55].	კაპარჭი ისრებით; შემოწერილია მარცხნივ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; ზემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΕΠΙΦΑΝΟΥ[56]. ტაბ. III, 38.

[46] BMC, Parthia, გვ. 28, № 45, ტაბ. VII, 1.

[47] ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 218.

[48] ზოგჯერ A ასეა აღბეჭდილი — .

[49] BMC, Parthia გვ. 28, № 44, მხოლოდ აღწერილი მონეტის შუბლზე ჩანს გაურკვეველი კონტურები.

[50] O-მიკრონი წერტილივით არის ამოკვეთილი.

[51] BMC, Parthia, გვ. 29, № 56, ტაბ. VII, 2, მხოლოდ თავის უკან M არ არის ამოკვეთილი.

[52] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილი, ერთგან გახეთქილია.

[53] BMC, Parthia, გვ. 29, № 52.

[54] ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ. № 126, 135, 471, მხოლოდ შუბლზე, თავის უკან ნიშნები არაა ამოკვეთილი; დ. ფ. № 216, 221 (№ 221 მონეტის შუბლზე თავის უკან გაურკვეველი ფრინველი)?

[55] ნაწილობრივ გაცვეთილია.

[56] BMC, Parthia, გვ. 29, № 58, ტაბ. VII, 4.

№№ ნიმუშებ.	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
39	ძვ. ერ. ძ. 131	1.75 15	როგორც № 35, მხოლოდ წვერთან რაღაც გაურკვეველი ნიშანი თუ საგანი; გარშემოვლებული რკალი შემონახული არაა.	როგორც № 38, მხოლოდ მარცხნივ, განლაგებულ ზედწერილიდან ირჩევა ...A...; ...ΓΑΛ... ტაბ. IV, 39.
40	ძვ. ერ. დ. 268	1.80 14 15	როგორც № 15, მხოლოდ თავის უკან აღბეჭდილი საგანი არ ირჩევა[57].	როგორც № 38.
41	ძვ. ერ. ძ. 123	2.94 18	როგორც № 35, მხოლოდ მეფე უფრო გრძელწვერიანია; თავის უკან MI(?); სახის წინ კი რაღაც გაურკვეველი საგანი; წერტილოვანი რკალი მონეტის არეზე ნაწილობრივ არის შემონახული[58].	ცხენის თავი მარჯვნივ. შემოწერილია: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; მარჯვნივ — ΒΑΣΙΛΕΩΝ; ქვემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ; მარცხნივ — ΑΡΣΑΚΟΥ | ΕΠΙΦΑΝΟΥΣ[59]. ტაბ. IV, 41.
42	ძვ. ერ. ძ. 652	3.79 17	როგორც № 41, მხოლოდ თავის უკან M და რაღაც გაურკვეველი ასოთა თუ ნიშანთა კონტურები[60].	როგორც № 41, მხოლოდ მარცხნივ — ...ΙΛ. ქვემოთ[61]... — ΓΑ... ტაბ. IV, 42.
43	ძვ. ერ. ძ. 127	3.07 15	როგორც № 41, მხოლოდ თავის უკან არავითარი ნიშანი არ არის შემონახული[62].	ფრთოსანი ცხენი (პეგასი)[63] მარჯვნივ: შემოწერილია: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; მარჯვნივ — ΒΑΣΙΛΕΩΝ; ქვემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ; მარცხნივ ΑΡΣΑΚΟΥ | ΕΠΙΦΑΝΟΥΣ. ტაბ. IV, 43.
44	ძვ. ერ. ძ. 128[64]	2.15 15	როგორც № 43.	კაპარჭი ისრებით; შემოწერილია ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; მარჯვნივ — ΒΑΣΙΛΕΩΝ; ქვემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ; მარცხნივ — ΑΡΣΑΚΟΥ | ΕΠΙΦΑΝΟΥΣ[65]. ტაბ. IV, 44.
45	ძვ. ერ. ძ. 121	1.92 17	როგორც № 43, მხოლოდ თავის უკან გაურკვეველი ნიშნები; ყველაფერი ეს ჩასმულია ოვალურ ჩარჩოში.	როგორც № 43, მხოლოდ ზედწერილი მკრთალად ირჩევა.

[57] მონეტის ორივე მხარე გაცვეთილია.

[58] მონეტის ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილი, ერთგან გახეთქილია.

[59] BMC, Parthia, გვ. 32, № 83, ტაბ. VII, 11.

[60] მონეტის ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.

[61] დაახლოვებით ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 269, ოღონდ შუბლზე, თავის უკან არავითარი ნიშანი.

[62] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია და ამიტომაც ზედწერილი ძალიან მკრთალად ირჩევა.

[63] BMC, Parthia, გვ. 33, № 93, ტაბ. VII, 12.

[64] ორივე მხარე გაცვეთილია, ზურგზე ნაბზარიც არის.

[65] BMC, Parthia, გვ. 33, № 94, ტაბ. VII, 13, მხოლოდ ჩვენი მონეტის შუბლზე ასოები და ნიშნები გარკვევით არა ჩანს.

№№ რიგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			ვერცხლი, დრაქმა II ჯგუფი მ ე ფ ე მ უ ზ ა რ ა დ ი თ	
46	ძვ. ერ. ძ. 446	4.01 19/20	მეფის ბიუსტი მარცხნივ ტალღოვანი გრძელი წვერით; დიადემიანი მუზარადი, შემკული სამი, ნახევაროკალისებურად განლაგებული თვლებით, ცენტრში თვლებითვე მოოჭვილი ვარსკვლავისებრი ორნამენტით; დიადემის ორი ბოლო თავის უკან დაბლა ეშვება; სამკეცა ყელსაბამი მსხვილი ბურთულით მთავრდება; სამოსის (კირასის) საყელო და სამხრე თვლებითაა მოოჭვილი; პუნქტირების რკალი მონეტის არეზე სანახევროდ არის მოხვედრილი.	არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ; გაწვდილ მარჯვენა ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული; შემოწერილია: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; მარჯვნივ — ΒΑΣΙΛΕΩΝ[66]; ქვემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ; მარცხნივ — ΑΡΣΑΚΟΥ | ΕΠΙΦΑΝΟΥΣ[67]; ე. ი. მეფეთა მეფისა დიდისა არშაკისა დამხმარისა. ტაბ. IV, 46.
47	ძვ. ერ. ძ. 18	4.00 20	როგორც № 46, მხოლოდ მუზარადზე განლაგებული თვლები ერთიმეორესთან მიჯრით არიან დალაგებული, გარშემოვლებული რკალი შემონახული არაა.	როგორც № 46, მხოლოდ ზედწერილის ასოები ოდნავ უფრო მსხვილი წერტილებით არის წარმოდგენილი. ტაბ. IV, 47.
48	ძვ. ერ. ძ. 473	3.52 20	როგორც № 46.	როგორც № 46, მხოლოდ მარჯვნივ განლაგებული ზედწერილიდან ...ΣΙΛΕ... ირჩევა[68]. ტაბ. IV, 48.
49	ძვ. ერ. ძ. 17	3.47 20	როგორც № 46, მხოლოდ მუზარადი შედარებით დაბალია[69].	როგორც № 46, მხოლოდ მონაკვეთის ქვევით განლაგებული ზედწერილის ზოგი ასო არ ირჩევა. ტაბ IV, 49.
50	ძვ. ერ. ძ. 467	3.73 19 21	როგორც № 49, მხოლოდ მუზარადის შემკულობის რკალებს შორის დაემატა ახალი მთვარისებურად მოოჭვილი ორნამენტები.	როგორც № 46, მხოლოდ მარცხნივ და ქვემოთ განლაგებული ზედწერილი ასონაკლებია[70]. ტაბ. IV, 50.

[66] BMC, Parthia, გვ. 34, № 106, ტაბ. VIII, 2; ჩვენ მონეტაზე მარჯვნივ განლაგებული ზედწერილი მშვილდით ასეა გაყოფილი *ΒΑΣΙΛΕΩΝ*.

[67] ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ. № 22, 472, ხოლო დ. ფ. № 11, 17, 19, 20.

[68] ნაპირი ამოტეხილია.

[69] გადაჭედილია თუ შტამპია ორჯერ დაკრული?

[70] BMC, Parthia, გვ. 35, № 114, ტაბ. VIII, 3.

№№ იგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
51	ძვ. ერ. ძ. 541	3.72 21/22	როგორც № 50.	როგორც № 50, მხოლოდ ზემოთ— ΒΑΣΙΛΕΩΣ; მარჯვნივ — ΒΑΣΙΛΕΩΝ; ქვემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ; მარცხნივ — ΑΡΣΑΚΟΥ | ΕΠΙΦΑΝΟΥΣ[71]. ტაბ. IV, 51.
52	ძვ. ერ. დ. 12	3.90 20	როგორც № 46, მხოლოდ მუზარადის ტოტები მხრებამდეა დაშვებული.	როგორც № 46, მხოლოდ ზედწერილი კარგად არ ირჩევა.
53	ძვ. ერ. ძ. 21	3.54 16	როგორც № 46.	როგორც № 46, მხოლოდ ზედწერილს ზევით ბოლო ასო Σ აკლია; მარჯვნივ განლაგებულისა კონტურებიღა ირჩევა; ქვემოთ კი წინა M-ს ერთი კიდური აკლია. ტაბ. IV, 53.
			სპილენძის მონეტები	
54	ძვ. ერ. ძ. 133	1.20 12	მეფის ბიუსტი მარცხნივ: გრძელწვერულვაშიანი; მუზარადი და დიადემა, როგორც № 46; ორკეცა ყელსაბამით; თვლებით შემკული სამოსის საყელო ჩანს; რკალის პატარა ნაწილია შერჩენილი[72].	მარჯვნივ მიმავალი ნიკე; მარჯვენა ხელში გვირგვინი უპირავს, მარცხენაში პალმის ტოტი; ზემოთ განლაგებული ზედწერილიდან ირჩევა — ΒΑΣΙΛΕΩ(Σ); მარჯვნივ — ΒΑΣΙΛ(ΕΩΝ); ქვემოთ — ΜΕΓΑΛΟΥ; მარცხნივ — ΑΡΣΑΚΟΥ | ΕΠΙΦΑΝΟΥΣ[73]; ე. ი. მეფეთა მეფისა დიდისა არშაკისა, დამხმარისა. ტაბ. V, 54.
55	ძვ. ერ. ძ. 132	1.80 12	როგორც № 54.	როგორც № 54. ტაბ. V, 55.
56	ძვ. ერ. ძ. 130[74]	2.51 12	როგორც № 54.	ცენტრში ყალყზე შემდგარი ფრთოსანი ცხენი — პეგასი მარჯვნივ; კვადრატული ჩარჩოს მსგავსად შემოწერილიდან ზევით ირჩევა[75]. ...ΙΛΕΩ...; მარჯვნივ — ...ΑΣΙΛΕΩ...; ქვემოთ — ...ΕΓΑΛ...; ΑΡΣΑΚΟΥ | ...ΑΗ... ტაბ V, 56.

[71] ოდნავ გაცვეთილი, ერთგან გაბზარული, ზურგი ჩაღრმავებულია.
[72] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.
[73] BMC, Parthia, გვ. 36, № 121, ტაბ. VIII, 6.
[74] ორივე მხარე გაცვეთილია, ორგან კიდე ამოგლეჯილი.
[75] BMC, Parthia, გვ. 37, № 135, ტაბ. VIII, 8.

№№ ორგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
57	ძვ. ერ. დ. 275[76]	1.82 14	როგორც № 56.	როგორც № 56.
			არტაბან II (88—77)	
			ვერცხლი, დრაჰმა	
58	გ[77] 996[78]	3.74 19/21	მეფის ბიუსტი მარცხნივ; მოკლე პარალელურ ხაზებად დაშვებული წვერულვაშით; დიადემით, რომელიც თავის უკან არის გამონასკული და ორი ბოლო დაბლა ეშვება; ნასკვთან თვალია; ოთხწყება ყელსაბამი სფეროს მსგავსი სამაგრიანი ორნამენტით; სამოსელის საყელო და მხრები მოჭედილია თვლებით; წერტილოვანი რკალის პატარა ნაწილია მონეტის არეზე მოხვედრილი[79].	არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ; გაწვდილ ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული; მშვილდი მარჯვნივ განლაგებულ ზედწერილს ორად ყოფს; შემოწერილია: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; მარჯვნივ — ΜΕΓΑΛΟΥ[80]; ქვემოთ — ΑΡΣΑΚΟΥ; მარცხნივ ორ პწკარად ΘΕΟΠΑΤΟΡΟΣ | ΕΥΕΡΓΕΤΟΥ[81]. ე. ი. მეფის დიდისა არშაკისა, ღვთისმოსავისა ან ღვთისმოყვარულისა, კეთილმოქმედისა. ტაბ V, 58.
59	ძვ. ერ. ძ. 470	3.87 20/22	როგორც № 58.	როგორც № 58. ტაბ. V, 59.
60	გ. 921[82]	2.69 19/21	როგორც № 58.	როგორც № 58, მხოლოდ მარცხნივ განლაგებულ ზედწერილს ბოლო ასოები აკლია[83]. ტაბ. V, 60.
61	გ. 926[84]	3.37 20	როგორც № 58.	როგორც № 58, მხოლოდ ზედწერილის ზოგი ასოს კონტურებიღა ჩანს[85].
62	ძვ. ერ. ძ. 584	3.94 20	როგორც № 58.	როგორც № 58, მხოლოდ მარჯვნივ ΜΕ ΓΑΛ..., ქვემოთ — ...ΕΥΕΡΓΕΤΟΥ. ტაბ. V, 62.

[76] გაცვეთილი, ალაგ-ალაგ თითქოს ამონაგლეჯებია.

[77] გ—აქ და შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძებისა და ცალკეულ აღმოჩენათა ფონდს აღნიშნავს.

[78] 1938 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამთავროს სამხრეთ უბანზე კულტურულ ფენაშია აღმოჩენილი. დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937—1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955, გვ. 85, ცხრილი, II; მისივე, Монетные находки мцхетской экспедиции (1937—1948 и 1951 гг.), ВДИ, № 1, 1955; Пахомов, VII, 1742.

[79] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.

[80] ზედწერილში O მიკრონი წერტილით არის აღბეჭდილი, ხოლო წარწერის ასოების კიდურები წერტილებით მთავრდება.

[81] BMC, Parthia, გვ. 39, № 8, ტაბ. IX, 2; ჩვენ მონეტაზე მშვილდით ასეა ΜΕΓ ΑΛΟΥ გაყოფილი.

[82] 1951 წ. მცხეთის აკლდამაშია აღმოჩენილი.

[83] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილი, ერთგან გახეთქილია.

[84] 1951 წ. მცხეთის სადგურთან გათხრილ აკლდამაშია აღმოჩენილი.

[85] ორივე მხარე გაცვეთილი, დასერილი (უფრო მეტად შუბლი).

№№ რიგ.	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
63	ძვ. ერ. ძ. 23	4.04 19	როგორც № 58, მხოლოდ ყელსაბამის ბოლო ცხენის თავიანი ორნამენტით[86].	როგორც № 58.
64	ძვ. ერ. ძ. 469[87]	3.82 21	როგორც № 58, მხოლოდ ყელსაბამის ბოლოს რაღაც ფრინველის გამოსახულებაა.	როგორც № 58, მხოლოდ ΒΑΣΙ-ΛΕΩΣ[88];... ΕΓ ΛΛΟΥ; ΑΡΣΑΚΟ..., ... ΕΟΠΑΤΟΡΟΣ | ΕΥΕΡΓΕΤΟΥ[89]. ტაბ. V, 64.
65	ძვ. ერ. ძ. 585[90]	3.96 19/20	როგორც № 58	როგორც № 58. ტაბ. V, 65.
66	ძვ. ერ. ძ. 249[91]	3.95 19	როგორც № 58, მაგრამ თმა უფრო მომსხო კულულებად აყრია.	როგორც № 58.

სანათრუქი (77—70)

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ, ᲓᲠᲐᲭᲛᲐ

67	ძვ. ერ. ძ. 27	4.01 20	მოკლეწვერიანი მეფის ბიუსტი მარცხნივ, თავზე მაღალი ყურებიანი ტიარა (სამეფო თავსაბურავი) სამ წყებად განლაგებული თვლებით, გვერდზე ვარსკვლავითა და უკან გაკრული დიადემით, რომლის ორი ბოლო დაბლა ეშვება; ორწყება ყელსაბამი სფეროიდული ორნამენტით; სამოსის საყელო და სამხრეები თვლებითაა მოოჭვილი; გარშემო წერტილოვანი რკალი ნახევრად არის შემორჩენილი[92].	არშაკი ზის ზურგიან ტახტზე მარჯვნივ; მარჯვენა ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული; შემოწერილია დამახინჯებული ბერძნული ასოებით[93]: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; მარჯვნივ — ΜΕ-ΓΑΛΟΥ | ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΑΥ-ΤΟΚΡΑΤΟΡΟΣ | ΦΙΛΟΠΑΤΟΡΟΣ; მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ΦΙΛΕΛ-ΛΗΝΟΣ[94] ე. ი. მეფისა დიდისა არშაკისა ხელისუფალისა, მამის მოყვარულისა, დამხმარისა ბერძენთა მოყვარულისა. ტაბ. V, 67.
68	ძვ. ერ. ძ. 28	4.07 18	როგორც № 67.	როგორც № 67, მხოლოდ ქვემოთ[95] ,... | ... ΛΠΑ... ΤΟΡ. ტაბ. V, 68.

[86] მხოლოდ ზედწერილში O მიკრონი ხან წერტილით არის წარმოდგენილი, Σ კი ⵊ

[87] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.

[88] ზოგჯერ Σ ასეა Ɛ ; ამ ასოს ქვედა კიდურია შერჩენილი.

[89] O მიკრონი აქ წერტილით არის წარმოდგენილი, ხოლო V შებრუნებულადაა — Λ აღბეჭდილი.

[90] ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 398.

[91] ორივე მხარე გაცვეთილი, დასერილი და უკანა მხარი გასაწმენდიცაა.

[92] ნაწილობრივ გაცვეთილია, ნაპირები უსწორმასწორო, დაჟეჟილი.

[93] ზედწერილის ასოთა კიდურები წერტილებით ბოლოვდება, O — მიკრონის მაგიერ წერტილია აღბეჭდილი.

[94] BMC, Parthia, გვ. 42, ტაბ. X, 2; S. Petrowicz, Arsaciden—Münzen, Wien 1904. გვ. 45, № 3, ტაბ. VII, 5. G. Rider, დასახ. ნაშრომი. გვ. 95.

[95] ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ. № 29, 538, 588 (№ 588 მონეტა ერთგან გახვრეტილი არის), ხოლო დ. ფ. № 22, 24, 28.

№№ ნიგნში	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
69	ძვ. ერ. ძ. 414	3.85 19/20	როგორც № 67, მხოლოდ ყელსაბამი ცხენის თავის ორნამენტით; რკალი უფრო მსხვილი წერტილებისაგან[96].	როგორც № 67, მხოლოდ ზედწერილი: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩ... | ΜΕΓΑΛΟΥ მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΑΥΤΟΚΡΑΤΟΡΟΣ | ΦΙΛΟΠΑΤΟΡΟΣ; მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ[97]. ტაბ. V, 69.
70	ძვ. ერ. ძ. 586	3.93 17/20	როგორც № 67, მხოლოდ ყელსაბამის ორნამენტი გაურკვეველი ცხოველის მსგავსია.	როგორც № 69.
71	ძვ. ერ. ძ. 26	3.39 18	როგორც № 67.	როგორც № 67.
72	ძვ. ერ. ძ. 25	3.90 20	როგორც № 67, მხოლოდ ყელსაბამის ხუთი წყება ირჩევა[98].	როგორც № 67. ტაბ. VI, 72.
73	ძვ. ერ. ძ. 475	3.86 18/20	როგორც № 67.	როგორც № 67.
74	ძვ. ერ. ძ. 474	3.92 19/20	როგორც № 67, მხოლოდ ყელსაბამის ხაზები ერთმანეთზე შეგრეხილია[99].	როგორც № 67, მხოლოდ ასო Φ ჯვარის სახით არის წარმოდგენილი.
75	გ. 10030[100]	3.67 20,22	როგორც № 68, მხოლოდ ყელსაბამი ოთხწყებაა, რკალი ხაზოვანი უნდა იყოს.	როგორც № 67, მხოლოდ მონაკვეთის ქვემო ზედწერილის მესამე ხაზი ნოსალოდნელი არ იყო, ვფიქრობთ. ეს შეცდომა დაშვებულია შტამპის დამზადებისას. ტაბ. VI, 75.
76	გ. 10075[101]	3.21 18/20	როგორც № 68, მხოლოდ ყელსაბამი სამხაზოვანია.	როგორც № 67, მხოლოდ ზედწერილის სტრიქონებს ბოლო ასოები აკლია. ტაბ. VI, 76.
77	გ. 9220[102]	3.16 18,20	როგორც № 68.	როგორც № 67.
78	გ. 9348[103]	3.40 19/20	როგორც № 68[104].	როგორც № 67.

[96] ნაწილობრივ გაცვეთილია.

[97] Σ — ხან ასეა აღბეჭდილი, ხან კი ასე — Ε

[98] ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ. № 539, 587, ხოლო დ. ფ. № 23, 26, 27, 207.

[99] ნაწილობრივ გაცვეთილი და ნაპირებდაკბილულია.

[100] 1940 წ. მცხეთაში, სამთავროს № 202 ქვევრსამარხშია აღმოჩენილი.

[101] 1951 წ. სოფ. არკნეთში, სამხრეთ-ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ № 2 ორმოსამარხში აღმოაჩინა; ასეთივეა აქვე აღმოჩენილი № 10076, გაცვეთილია.

[102] 1951 წ. მცხეთის აკლდამიდანაა. იხ. გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე და ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ახალაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქართველოს სსრ, მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი XIII, № 10, 1951, გვ. 646.

[103] დიღომშია აღმოჩენილი იხ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, 1920—1924, საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, ტფილისი, 1928.

[104] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია, წინა პირი დასერილიც არის.

№№ რიგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
79	გ. 11126[105]	3.51 19/20	როგორც № 68.	როგორც № 67, მხოლოდ ქვემო ზედწერილის მეორე ხაზი — ნაწილობრივ ირკვევა[106].
			სპილენძის მონეტები	
80	ძვ. ერ. ძ. 653[107]	3.57 17	მეფის ბიუსტი მარცხნივ; თვლებით შემკული მაღალი ყურებიანი ტიარა (სამეფო თავსაბურავი); ყელზე ორწყებად ყელსაბამი; ხაზოვანი რკალი ნაწილობრივ არის შემორჩენილი.	ცხენის გამოსახულება (თითქოს გადახტომას აპირებს) მარჯვნივ; ზედწერილიდან მხოლოდ ასოთა კონტურებიღა ჩანს. ტაბ. VI, 80.
81	ძვ. ერ. ძ. 654	3.03 14/15	როგორც № 80, მხოლოდ სამოსის მხარზე ვარსკვლავი თუ ჯვარია[108].	ცენტრში ცხენის თავი მარჯვნივ; დამახინჯებული ზედწერილი; ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ | ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΑΥΤΟΚΡΑΤΟΡΟΣ | ΦΙΛΟΠΑΤΟΡΟΣ; მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ[109]. ტაბ, VI, 81.
82	ძვ. ერ. დ. 262	1.72 12/14	როგორც № 81.	როგორც № 81, მხოლოდ ზედწერილი ნაწილობრივ ირკვევა. ტაბ. VI, 82.
			ფრაატ III (70—57), დიადემით ვერცხლი, დრაჭმა	
83	გ. 10586[110]	3.58 18/19	მეფის ბიუსტი მარცხნივ, გრძელი ხვეული თმითა და წვერით; თავზე დიადემა, რომლის ორი ბოლო თავის უკან, დაბლა ეშვება; ყელზე სამწყება ყელსაბამი ცხენის თავიანი ორნამენტით; ბეჭთარის (სამოსელი) თვლებით მოოჭვილი საყელო ჩანს; სხივისებრი წერტილების რკალი ნაწილობრივ ირკვევა[111].	არშაკი ზის მაღალზურგიან ტახტზე მარჯვნივ; მარჯვენა ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული; წინ მშვილდის ქვემოთ — Α შემოწერილია; ზემოთ ΒΑΣΙΛΕΩΣ | ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΕΥΕΡΓΕΤΟΥ; მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | (Φ)ΙΛΕΛΛΗΝΟΣ[112], ე. ი. მეფისა დიდისა არშაკისა მოქმედისა — ბერძენთა მოყვარული. ტაბ. VI, 83.

[105] 1958 წ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ არის აღმოჩენილი.
[106] მონეტა გაფხეკილია.
[107] ორივე მხარე გაცვეთილი — უკანა მხარე თითქოს გაკაწრულია. BMC, Parthia, გვ. 43, № 16, ტაბ. X, 5.
[108] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.
[109] BMC, Parthia..., გვ. 44 № 21, ტაბ. X, 6.
[110] ნაპოვნია ქარელის რაიონში, სოფ. აბისის მახლობლად.
[111] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.
[112] BMC, Parthia..., გვ. 45, № 2, ტაბ. X, 9. G. Rider, დასახ. ნაშრ., გვ. 97.

№№ რიგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
84	ძვ. ერ. ძ. 589[113]	2.97 20	როგორც № 83, მხოლოდ ყელსაბამი სფეროიდული ორნამენტით[114].	როგორც № 83, მხოლოდ შვილდის ქვემოთ  ზემოთ — ... ΑΣΙΛΕΩ... | ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΕΥΕΡΓ...; მარცხნივ — ...ΠΙ... | ...ΛΛΗΝΟΣ[115]. ტაბ. VI, 84.
85	ძვ. ერ. დ. 399	3.93 19.20	როგორც № 84, მხოლოდ ბეგთარზე ვარსკვლავია ამოჭარგული; გარშემო წერტილების რკალს პატარა ნაწილი აკლია[116].	როგორც № 83, მხოლოდ ზედწერილი ძალიან სტილიზებული და დამახინჯებულია, წინ გაურკვეველი ნიშანი თუ მონოგრამაა.
86	გ. 9221[117]	2.92 18.20	როგორც № 84, მხოლოდ ყელსაბამი ოთხწყებაა[118].	როგორც № 83, მხოლოდ მშვილდის ქვემოთ[119]  ზედწერილი: ΒΑΣΙΛΕΩ ΜΕΓΑΛΟΥ; ΑΡΣΑΚΟΥ; ΕΥΕΡΓΕΤΟΥ; ...ΠΙΦΑΝΟΥ | ...ΛΛΗΝΟΣ. ტაბ. VI, 86.
87	ძვ. ერ. ძ. 39	3.82 18	როგორც № 86, მხოლოდ გარშემოვლებული წერტილების რკალი თმის ხაზებს ეხება.	როგორც № 86, მხოლოდ წინ  ზედწერილი წერტილებით არის ამოკვეთილი[120]. ტაბ. VI, 87.
88	ძვ. ერ. ძ. 40	3.70 18	როგორც № 86.	როგორც № 87, მაგრამ ოდნავ განსხვავებული  მონოგრამა[121], ზედწერილის ზოგი ასო შებრუნებულად არის ამოკვეთილი — ...ΕΛΛΗΝΟΥ[122]. ტაბ. VI, 88.
			სპილენძის მონეტები	
89	ძვ. ერ. ძ. 137[123]	3.99 16	მეფის ისეთივე ბიუსტი, მარცხნივ[124]; როგორც № 80.	ცხენი მარჯვნივ, თითქოს გადახტომას აპირებს; ზედწერილიდან იკითხე-

[113] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.
[114] BMC, Parthia, გვ. 46, № 8, ტაბ. X, 10.
[115] უკანა მხარე დაჟანგული; ნაპირჩამოტეხილი.
[116] ორივე მხარე გაცვეთილი და ყუნწიანია.
[117] 1951 წ. მცხეთის აკლდამიდანაა; გ. ლომთათიძე და ირ. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 646.
[118] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.
[119] BMC, Parthia, გვ. 46, № 10, ტაბ. X, 11.
[120] BMC, Parthia, გვ. 46, № 12, ტაბ. X, 12.
[121] BMC, Parthia, გვ. 46, № 13.
[122] საფიქრებელია, ბეჭდის მჭრელმა სიჩქარისა თუ დაუდევრობის გამო, ამოკვეთა Ε, V, Γ შებრუნებულად.
[123] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.
[124] ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 224.

№№ ნიმუშ.	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
				ბა: ΒΑΣΙΛΕΩ...; ΜΕΓΑΛΟΥ; ΑΡΣΑΚΟΥ, დანარჩენი არ იკითხება[125]. ტაბ. VI, 89.
90	ძვ. ერ. დ. 269	1.53 11/12	მეფის ისეთივე ბიუსტი როგორც № 80, მარცხნივ; დიადემით, ბექთარითა და გრძელი წვერით[126].	ცხენის თავის გამოსახულება მარჯვნივ; ზედწერილის ასოთა კონტურები-ღა ირჩევა[127]. ტაბ. VII, 90.
			ფრაატ III, მუზარადით ვერცხლი, დრაჭმა	
91	ძვ. ერ. ძ. 655	4.14 19	მეფის ბიუსტი, მარცხნივ; მოგრძო ხვეული წვერითა და ულვაშით; თავზე მაღალი ტიარა, თვლებით, ჯიხვის ქანდაკებითა და რჭისებური ორნამენტით შემკული; შუბლზე დიადემა, რომლის უკან შეკრული ორი ბოლო დაბლა ეშვება; ყურზე საყურე; ყელზე ორწყება ყელსაბამი სფეროსებრი ორნამენტით; თვლებით მოოქვილი ბექთარის საყელოღა ჩანს; წერტილოვანი რკალის უმნიშვნელო ნაწილი ირჩევა.	არშაკი ზის მაღალზურგიან სამეფო ტახტზე მარჯვნივ მიბრუნებული; ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული; გაწვდილი ხელის ქვეშ 𐡀 შემოწერილია; ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ | ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; მონაკვეთის, ქვემოთ — ΕΥΕΡΓΕΤΟΥ; მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΥ | ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ[128]. ტაბ. VII, 91.
92	ძვ. ერ. ძ. 591[129]	3.46 17/19	როგორც № 91.	როგორც № 91. ტაბ. VII, 92.
93	გ. 9978[130]	3.53 18, 20	როგორც № 91, მხოლოდ თავსაბურავზე ჯიხვის ქანდაკებები უფრო მკვეთრად არის ამოძერწილი.	როგორც № 91, მხოლოდ ზედწერილი უფრო მომცრო ასოებით არის ამოკვეთილი[131]. ტაბ. VII, 93.
94	გ. 9989[132]	3.68 19/21	როგორც № 93, მხოლოდ თავსაბურავზე ჯიხვის ორნამენტები უფრო მოზრდილია; წვრილი წერტილების რკალი ნახევრად ირჩევა.	როგორც № 93, მხოლოდ გაწვდილი ხელის[133] ქვემოთ[134]. 𐡌 ტაბ. VII, 94.

125 BMC, Parthia, გვ. 51, № 49, ტაბ. XI, 6.
126 BMC, Parthia, გვ. 47, № 15, ტაბ. X, 13.
127 ორივე მხარე, გაცვეთილი; ნაპირჩამოტეხილია.
128 BMC, Parthia, გვ. 48, № 27, ტაბ. XI, 2.
129 ორივე მხარე გაცვეთილი, ნაპირები დაზიანებულია.
130 1939 წ. მცხეთაში, სამთავროს № 110 ქვევრსამარხშია აღმოჩენილი.
131 ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.
132 1939 წ. მცხეთაში — სამთავროს № 120 ქვევრსამარხშია აღმოჩენილი.
133 უკანა მხარე დაზიანებულია.
134 BMC, Parthia, გვ. 49, № 37.

№№ ნიმუშის	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
95	ძვ. ერ. ძ. 656	3.58 20	როგორც № 93.	როგორც № 93, მხოლოდ $\mathcal{I}\delta$ [135]; ზედწერილი ΒΑΣΙΛΕΩΣ | ΜΕΓΑΛΟΥ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΕΥΕΡΓΕΤΟΥ; მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΣ | ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ, მაგრამ შედარებით კარგი ხელით არის ამოკვეთილი. ტაბ. VII, 95.
			სპილენძის მონეტა	
96	ძვ. ერ. დ. 223	2.90 15	მეფის ისეთივე ბიუსტი, როგორც № 92; იგივე მუზარადი და ჩაცმულობა.	ცხენი თუ ირემი? მარჯვნივ მიმართული; ზედწერილიდან მხოლოდ ასოთა კონტურებია შერჩენილი[136].
			ფრაატ III[137] ?	
			ვერცხლი, დრაჰმა	
97	ძვ. ერ. ძ. 37	4.06 18	მეფის ბიუსტი მარცხნივ, მოგრძო წვერ-ულვაშით; თავზე მაღალი ტიარა თვლებით, მწოლიარე ჯიხვების ქანდაკებით, რქის ორნამენტითა და დიადემით, რომლის ორი ბოლო თავის უკან დაბლაა დაშვებული; ორწყება ყელსაბამით; თვლებით მოჭედილი ბეჭთარის საყელო ჩანს; წერტილების რკალი ნაწილობრივ არის შემონახული.	არშაკი ზის მაღალ ზურგიან ტახტზე[138]; გაწვდილ ხელში მშვილდი აქვს მომარჯვებული; შემოწერილია ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ; მარჯვნივ — ΜΕΓΑΛΟΥ; ქვემოთ — ΑΡΣΑΚΟΥ; მარცხნივ — ΘΕΟΠΑΤΟΡΟΣ | ΝΙΚΑΤΟΡΟΣ[139], ე. ი. მეფისა დიდისა არშაკისა, ღვთის მოყვარული. ტაბ. VII, 97.
98	ძვ. ერ. ძ. 36	4.11 18	როგორც № 97.	როგორც № 97. ტაბ. VII, 98.
99	ძვ. ერ. ძ. 38	4.05 20, 17	როგორც № 98.	როგორც № 98.
100	ძვ. ერ. ძ. 30	3.92 19, 21	როგორც № 97, მხოლოდ მეფე უფრო გრძელი წვერით.	როგორც № 98, მხოლოდ ოდნავ განსხვავებულია[140]. ტაბ. VII, 100.
101	ძვ. ერ. ძ. 31	3.95 19	როგორც № 98.	როგორც № 98. ტაბ. VII, 101.

[135] BMC, Parthia, გვ. 50, № 48, შესაძლებელია მონოგრამა შებრუნებული იყოს, ანდა შეიძლება სრულიად ახალი და ჯერ ლიტერატურაში უცნობი, მაგრამ დაზიანებულია და კარგად ვერ ირჩევა.

[136] ნაპირები დაკბილულია, ერთგან ამოკაწრული.

[137] ვ. როსს ფრაატ III კითხვის ნიშნის ქვეშ აქვს დაყენებული, BMC, Parthia, გვ. 51.

[138] ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ. № 476.

[139] BMC, Parthia, გვ. 51, № 55, ტაბ. XI, 8, მხოლოდ ჩვენ მონეტაზე ΘΕΟΠΑΤΟΡΟΣ არის.

[140] BMC, Parthia, გვ. 52, № 67, ტაბ. XI, 10; ასეთივეა ძვ. ერ. ძ ფ. № 9, ნაპირი ჩამოტეხილია.

№№ ტიპებს	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
102	ძვ. ერ. ძ. 32	3.81 18/20	როგორც № 97.	როგორც № 99. ტაბ. VII, 102.
103	ძვ. ერ. ძ. 415	3.86 19	როგორც № 100, მხოლოდ თავსაბურავზე ჯიხვის ქანდაკება ძლიერ სტილიზებულია; მონეტის არეზე ამონაკაწრებია.	როგორც № 97, მხოლოდ ქვემოთ მოკლე მომსხო ხაზია. ტაბ. VII, 103.
104	ძვ. ერ. ძ. 34[141]	3.41 18	როგორც № 98.	როგორც № 97. ტაბ. VIII, 104.
105	გ. 9964[142]	3.46 17/19	როგორც № 98[143].	როგორც № 94[144]. ტაბ. VIII, 105.
106	ძვ. ერ. დ. 33	3.75 18	საერთო იერით ისეთივეა, როგორც № 98, მაგრამ უფრო გრძელწვერიანია; ტიარაზე მოყოლებული ჯიხვების ქანდაკება უფრო მოზრდილებია; რქა კი მეტად მოხრილი.	როგორც № 98, მხოლოდ არშაკის გამოსახულება განსხვავებულია. ტაბ. VIII, 106.
107	ძვ. ერ. ძ. 592	3.76 18/19	როგორც № 97, მხოლოდ ჯიხვების ქანდაკებები ძლიერ სტილიზებულია.	როგორც № 98, მხოლოდ ქვემოთ განლაგებულ ზედწერილიდან ირჩევა ... ΣΑΚΟΥ. ტაბ. VIII, 107.
108	ძვ. ერ. ძ. 593	3.98 19/21	როგორც № 98, მხოლოდ ჯიხვის ქანდაკებებიდან სხივებივით გამოდის.	როგორც № 97, მხოლოდ ΘΕΟΠΑΤΡΟΣ. ტაბ. VIII, 108.
436	ძვ. ერ. ძ. 686[556]	3.30 16	როგორც № 435.	როგორც № 426. ტაბ. XXV, 436.
			სპილენძის მონეტები	
437	ძვ. ერ. ძ. 198	0.78 8/10	მეფის ბიუსტი მარცხნივ; გრძელი, კისრამდე დაფენილი ხვეული თმა; დიადემით; გაცვეთილი წერტილების რკალი სიქიდან მონეტის არეზე ნაწილობრივ არის მოხვედრილი[557].	ცხენის თავი მარჯვნივ; წინ — Α წერტილების რკალი სიქიდან მონეტის არეზე პატარა ნაწილი მოხვედრილა[558].
438	ძვ. ერ. ძ. 197	1.05 10	როგორც № 437.	როგორც № 437, მხოლოდ მონოგრამის ზედა ჯიდურებიღა ირჩევა[559].

[549] 1939 წ. მცხეთაში, სამთავროს № 159 კრამიტსამარხშია აღმოჩენილი.
[550] 1939 წ. მცხეთაში იმავე სამარხშია აღმოჩენილი.
[551] ორივე მხარე გაცვეთილი, ნაპირებდაკბილულია.
[552] BMC, Parthia, გვ. 187, № 72, ტაბ. XXIX, 7.
[553] ნაპირებდაკბილულია.
[554] ნაპირებდაკბილულია; ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ. № 90; 92; დ. ფ. № 180, 181.
[555] ორივე მხარე, ნაწილობრივ გაცვეთილი, ნაპირამოგლეჯილია.
[556] ორივე მხარე გაცვეთილი, იქნებ ყალბია.
[557] BMC, Parthia..., გვ. 184, № 51, ტაბ. XXIX, 4; A. Petrowicz, Arsaciden..., გვ. 129, № 12, ტაბ. XIX, 5.
[558] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.
[559] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.

№№ ოქრო	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
439	ძვ. ერ. ძ. 687	1.27 9	როგორც № 437.	ათინას (?) გამოსახულება მუხლებზევით პირდაპირ იყურება მარჯვნივ; მარჯვენა ხელში შუბი უნდა ეჭიროს, მარცხენაში კი ფარი; ორივე, სიქიდან მონეტის არეზე ნაწილობრივ არის მოხვედრილი[560]; ყველაფერი ეს ჩასმულია ოთკუთხა ჩარჩოში[561].
440	ძვ. ერ. ძ. 196	1.37 10	როგორც № 437.	ჰერკულესის კვერთხი[562] (კადუცეუსი) ფრთებით (?) ოვალურ ჩარჩოშია ჩასმული[563].

ვარდან II (55)

ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘ, ᲓᲠᲐᲯᲛᲐ

441	ძვ. ერ. ძ. 490	3.69 19/22	მეფის ბიუსტი პირდაპირ; სახეს უმშვენებს გრძელი ულვაში და მოკლე წვერი[564], შუბლზე მეშეჭი; სამწყება ყელსაბამით; დიადემიანი მუზარადი, რომელიც რქის მსგავსი ორნამენტით არის შემკული; სამოსის მხოლოდ სამხრეები ჩანს; თავის აქეთ-იქით თითო ექვსქიმიანი ვარსკვლავი; მსხვილი წერტილების რკალი სანახევროდ არის შერჩენილი[565].	არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ; გაწვდილ ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს; წინ, მშვილდის ქვემოთ — Ā შემოწერილია: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ | ΒΑΣΙΛΕΩΝ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΕΥΕΡΓΕΤΟΥ | ΔΙΚΑΙΟΥ; მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ, ე. ი. მეფეთა მეფისა არშაკისა ქველმოქმედისა თუ კეთილმოქმედისა, სამართლიანისა, დამხმარისა, ბერძენთა მოყვარულისა. ტაბ. XXVI, 441.
442	ძვ. ერ. ძ. 95	3.82 18/20	როგორც № 441.	როგორც № 441, მხოლოდ შტამპი ორჯერ არის დაკრული, თუ გადაჭედილია[566]. ტაბ. XXVI, 442.
443	ძვ. ერ. ძ. 96	3.69 19/20	როგორც № 441, მხოლოდ მუზარადს მონეტის რკალი ეხება[567].	როგორც № 441. ტაბ. XXVI, 443.

560 BMC, Parthia, გვ. 187, № 73, ტაბ. XXIX, 8.
561 ორივე მხარე გაცვეთილია.
562 BMC, Parthia, გვ. 189, № 92, ტაბ. XXIX, 14.
563 ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია, უფრო მეტად წინა პირი.
564 Gardner, ... Parthia coinage, გვ. 51, № 3, ტაბ. VI, 3; BMC, Parthia, გვ. 190, № 2, ტაბ. XXIX, 16; A. Petrowicz, Arsaciden..., გვ. 131, № 7, ტაბ. XIX, 10.
565 ნაპირებდაკბილულია.
566 ნაპირი ერთგან ამოგლეჯილია.
567 ერთგან გახვრეტილია.

№№ ნიმუშის	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
444	ძვ. ერ. ძ. 97	3.79 18/20	როგორც № 443, მხოლოდ მუზარადი ოდნავ უფრო მაღალია[568].	როგორც № 441. ტაბ. XXVI, 444.
445	ძვ. ერ. ძ. 552	3.41 19/22	როგორც № 441, მხოლოდ ვარსკვლავები მხრებთან არის ამოკვეთილი[569].	როგორც № 441. ტაბ. XXVI, 445.
446	ძვ. ერ. ძ. 563[570]	3.53 21/22	როგორც № 441.	როგორც № 441, მხოლოდ შტამპი ორჯერ უნდა ჰქონდეს დაკრული[571]. ტაბ. XXVI, 446.
			სპილენძის მონეტები	
447	ძვ. ერ. ძ. 204	1.30 10/11	მეფის ბიუსტი პირდაპირ დიადემიანი მუზარადით, რომლისაგანაც აქეთ-იქით ყურებთან საფარებია დაშვებული; ორწყება ყელსაბამით; თავის აქეთ-იქით თითო ვარსკვლავი; სამეფო სამოსის საყელო ირჩევა[572].	შიშველი ადამიანის (შეიძლება ზევსი იყოს) ქანდაკება მარჯვნივ, მარცხენა ხელში არწივი უჭირავს სამსხვერპლოს სვეტზე ხელდაყრდნობით; ყველაფერი ეს ჩასმულია ოთხკუთხა ჩარჩოში[573]. ტაბ. XXVI, 447.
448	ძვ. ერ. ძ 206	1.73 10/12	როგორც № 447.	როგორც № 447, მხოლოდ ოვალურ ჩარჩოში ჩასმული სანახევროდ არის შენახული[574]. ტაბ. XXVI, 448.
449	ძვ. ერ. ძ. 205[575]	0.82 9/10	როგორც № 448.	როგორც № 448.
450	ძვ. ერ. ძ. 207[576]	1.43 9/10	როგორც № 448.	როგორც № 448. ტაბ. XXVI, 450.
451	ძვ. ერ. ძ. 202[577]	1.85 11/13	როგორც № 447.	როგორც № 447.
452	ძვ. ერ. ძ. 203[578]	1.11 9/12	როგორც № 447.	როგორც № 447.
			ჰაკორ II (77/78—109/10?)	
			სპილენძის მონეტა	
453	ძვ. ერ. ძ. 208[579]	1.25 12	გაცვეთილი.	ტიქეს თავი მარჯვნივ; მაღალი ქონგურებიანი თავსაბურავით[580].

[568] წინა პირი ნაწილობრივ გაცვეთილია.
[569] ნაპირები დაკბილული და ამოგლეჯილი.
[570] ნაპირებდახეთქილი, დაკბილულია.
[571] ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ. № 98; დ. ფ. № 182, 183. (183 პერანგის მაჯების დასამაგრებლად არის გამოყენებული).
[572] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილი; ნაპირები უსწორმასწორო, დაკბილულია.
[573] BMC, Parthia..., გვ. 191, № 10, ტაბ. XXIX, 17; A. Petrowicz, Arsaciden..., გვ. 131—132, № 8, ტაბ. XIX, 11.
[574] გაცვეთილი, ნაპირები დაკბილულია.
[575] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია, უსწორმასწორო ნაპირებით.
[576] უსწორმასწორო ნაპირები.
[577] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილი; ნაპირები დაკბილული, უსწორმასწოროა.
[578] ნაწილობრივ გაცვეთილი, ნაპირებდაკბილულია; ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ № 199, 200, 204; დ. ფ. № 244.
[579] ორივე მხარე გაცვეთილია, უფრო მეტად შუბლი, ამის გამო მონეტის ფოტორეპროდუქციის დამზადება ვერ მოხერხდა.
[580] BMC, Parthia, გვ. 196, № 24, ტაბ. XXX, 6.

№№ ოქრო	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			ოსრო (106/07 ან 109/10—130?)	
			ვერცხლი, დრაჭმა[581]	
454	ძვ. ერ. ძ. 99	3.21 19	მეფის ბიუსტი მარცხნივ; სახეს უმშვენებს პარალელური ხაზებით შედგენილი გრძელი წვერი; თმა ზევით და მარჯვენა ყურთან ვარდულის მსგავსად არის დალაგებული; დიადემა, რომლის ორი ტოტი თავის უკან ჰაერში ფრიალებს, სამი კი დაბლაა დაშვებული, სამწყება ყელსაბამით; წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ ჩანს[582].	არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ; გაწვდილ ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს; მშვილდის ქვემოთ Ⱥ შემოწერილია: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ | ΒΑΣΙΛΕΩΝ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΕΥΕΡΓΕΤΟΥ | ΔΙΚΑΙΟΥ; მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ[583], ე. ი. მეფეთა მეფისა არშაკისა, კეთილმოქმედისა, სამართლიანისა, დამხმარისა, ბერძენთა მოყვარულისა. ტაბ. XXVI, 454.
			სპილენძის მონეტა	
455	ძვ. ერ. ძ. 209[584]	1.27 10/11	მეფის ბიუსტი მარცხნივ; გრძელი წვერით; თმა თავზე და მარჯვენა ყურთან ვარდულის მსგავსად არის დალაგებული; დიადემით; (?) მსხვილი წერტილების რკალის პატარა ნაწილია შერჩენილი[585].	ფრთოსანი გრიფონი მარჯვნივ, თითქოს გადასახტომად არის მომზადებული; წერტილების რკალის ზემოთა ნაწილი ირჩევა[586].
			ვოლოგეზ II (77/78—146/47)	
			ვერცხლი, დრაჭმა	
456	ძვ. ერ. ძ. 100	3.75 20	მეფის ბიუსტი მარცხნივ; სახეს უმშვენებს მოკლე პარალელური ხაზებით შედგენილი და ოდნავ სამკუთხად დალაგებული წვერი[587]; საყურითა და სამწყება ყელსაბამით; თავზე ადგია დიადემითა და პატარა თავმოხრილი (კაუჭა) ორნამენტით შემკული მუზარადი (ერთი ასეთი ორნამენტი მარჯვენა	არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ; გაწვდილ ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს, მშვილდის ქვემოთ — Ⱥ ზედწერილი: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΣ | ΒΑΣΒΑΣΙΛΕΩΝ; მარჯვნივ — ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΕΥΕΡΓΕΤΟΥ | ΔΙΚΑΙΟΥ; მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ΦΙΛΕΛ-

[581] ოსროს ტეტრადრაქმა ცნობილი არ არის.

[582] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილი, ერთგან გახვრეტილია.

[583] Gardner, დასახ. ნაშრომი, გვ. 54, № 21, ტაბ. VI, 21; BMC, Parthia, გვ. 205, № 3, ტაბ. XXXI, 8; A. Petrowicz, Arsaciden..., გვ 153, № 25, ტაბ. XXII, 4.

[584] ორივე მხარე გაცვეთილია, ნაპირები დაკბილული.

[585] ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 283.

[586] BMC, Parthia, გვ. 208, № 25, ტაბ. XXXII, 5; A. Petrowicz, Arsaciden..., გვ. 152, № 21, ტაბ. XXII, 1.

[587] BMC, Parthia, გვ. 213, № 32, ტაბ. XXXII, 11; ასეთივე მონეტას ა. პეტროვიჩი (დასახ.ნაშრ., გვ. 140, № 31, ტაბ. XX, 11); ბ. გარდნერი (დასახ. ნაშრ., გვ. 56, № 5, ტაბ. VII, 5) ვოლოგეზ III მიაკუთვნებენ.

№№ ზე რიგ	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			ყურთან არის გამოსული) წერტილების რკალის ზემო ნახევარია სიქიდან მონეტის არეზე მოხვედრილი.	ΑΠΝΟΣ, ე. ი. მეფეთა მეფისა, არშაკისა კეთილმოქმედისა, სამართლიანისა, დამხმარისა, ბერძენთა მოყვარულისა. ტაბ. XXVI, 456.
457	ძვ. ერ. ძ. 101[588]	3.60 20	როგორც № 455.	როგორც № 456. ტაბ. XXVI, 457.
458	ძვ. ერ. ძ. 419[589]	3.64 19/22	როგორც № 456.	როგორც № 456. ტაბ. XXVI, 458.
			სპილენძის მონეტები	
459	ძვ. ერ. ძ. 210	1.45 10	მეფის თავი მარცხნივ; წვერ-ულვაშით. თავზე დიადემიანი მუზარადი, რომელიც მონეტის არეზე სიქიდან ნაწილობრივ არის მოხვედრილი[590].	ფრთებგაშლილი არწივი დგას მარცხნივ; ნისკარტში გვირგვინი უნდა ეჭიროს; წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ არის შემონახული[591].
460	ძვ. ერ. ძ. 211[592]	1.37 10	როგორც № 459.	როგორც № 459, მხოლოდ არწივს ნისკარტი თავისუფალი აქვს[593].
			ვოლოგეს II ?	
			სპილენძის მონეტა	
461	ძვ. ერ. ძ. 453	3.73 15/16	მეფის ბიუსტი მარცხნივ, პარალელურ ხაზებად დალაგებული გრძელი წვერით; დიადემითა და ორნამენტით შემკული მუზარადით; საყურით[594].	ტიხეს ბიუსტი მარჯვნივ; თავზე მაღალი მუზარადი ადგია, სამოსელის საყელოს ზოლები მოჩანს; წერტილების რკალი სანახევროდ არის შერჩენილი[595]. ტაბ. XXVI, 461.
			მითრიდატე IV (130—147)	
			ვერცხლი, დრაჰმა. ბერძნულ-ფალაური ზედწერილით	
462	გ. 9126[596]	2.99 18/20	მეფის ბიუსტი მარცხნივ; სახე შემოსილია წერტილებით შედგენილი ულვაშითა და გრძელ პარალელურ ხაზებად დალაგებული წვერით[597]; მეტ-ნაკლებად ტალღოვანი და ბოლო სწო-	არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ[598]; გაწვდილ ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს; წინ, მშვილდის ქვემოთ — Ā დამახინჯებული ზედწერილი[599].

588 ნაპირებდაკბილული.
589 ნაპირებდაკბილული.
590 ორივე მხარე გაცვეთილი, ნაპირები დაკბილული და უსწორმასწოროა.
591 BMC, Parthia, გვ. 214, № 40, ტაბ. XXXII 13, 14.
592 ორივე მხარე გაცვეთილია.
593 ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ. № 497 მხოლოდ ზურგის გამოსახულება კარგად ვერ ირჩევა.
594 ორივე მხარე გაცვეთილი, ნაპირები დაკბილულია.
595 BMC, Parthia, გვ. 216, № 49, ტაბ. XXXIII, 3.
596 1936 წ. სოფ. ნიჩბისში აღმოჩენილ სამარხიდან არის.
597 წვერზე ხაზები წვრილი ღარებით დაუდის - თუ დასერილია.
598 ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილი, ნაპირებდაკბილულია.
599 BMC, Parthia, გვ. 217, № 1, ტაბ. XXXIII, 6.

№№ ნიგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			რად მოკვეთილი თმა, კისრამდეა დაფენილი; დიადემით, რომლიდანაც თავის უკან სამი ბოლო დაბლა ეშვება; თანაბარი სიდიდის ერთმანეთზე მჭიდროდ მიჯრილი წერტილების რკალი სანახევროდ არის შერჩენილი.	ოთხივე მხარეს არის შემოწერილი: ზევით — ფალაურათ მეფე მითრიდატე; მარჯვნივ ⊐ΛΠΛ⊢ΛΕ; ქვემოთ — ⊐ΛΠ⊢ΛΝ; მარცხნივ—ΛΠΛΝ⊐Γ უნდა იყვეს ΒΑΣΙΛΕΩΣ | ΒΑΣΙΛΕΩΝ; ΑΡΣΑΚΟΥ; ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ, ე. ი. მეფეთა მეფისა არშაკისა, კეთილმოქმედისა, სამართლიანისა, დამხმარისა, ბერძენთა მოყვარულისა. ტაბ. XXVI, 462.
463	ძვ. ერ. ძ. 550	3.62 21/23	როგორც № 462, მხოლოდ საყურით; წვერი ხუთი შვეული ხაზით არის შედგენილი; ორწყება ყელსაბამით; წერტილების რკალის ქვედა ნაწილი სიქიდან მონეტის არეზე მოხვედრილი არ არის[600].	როგორც № 462, მხოლოდ ΒΑΣΙΛΕΩ... | ΒΑΣΙΛΕΩΝ; ΑΡΙΑΝΟΥ; ΕΥΕΡΓΕΤΟΥ | ΔΙΚΑΙΟΥ; ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ...ΗΧΟ...[601]. ტაბ. XXVI, 463.
464	ძვ. ერ. ძ. 492	3.43 19/20	როგორც № 463.	როგორც № 463.
465	ძვ. ერ. ძ. 104	2.99 18	როგორც № 463.	როგორც № 463.
466	ძვ. ერ. ძ. 103	3.48 19	როგორც № 462.	ისეთივე, როგორც № 462, მხოლოდ, თითქოს უფრო მეტად სტილიზებულია[602]. ტაბ. XXVI, 466.
467	ძვ. ერ. ძ. 102	3.53 17	როგორც № 466.	როგორც № 466, მხოლოდ არშაკის სახის წინ ახალი მთვარის მსგავსი ნიშანი[603]. ტაბ. XXVII, 467.
			ფალაური წარწერით	
468	ძვ. ერ. ძ. 420[604]	3.52 17/19	როგორც № 463, მხოლოდ სამწყება ყელსაბამით.	არშაკის ისეთივე გამოსახულება, როგორც № 463, მხოლოდ მეფის სახელი ფალაურით, ეპიტეტი კი ძლიერ დამახინჯებული ბერძნულით[605]. ტაბ. XXVII, 468.

[600] BMC, Parthia, გვ. 218, № 8, ტაბ. XXXIII, 8.

[601] ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 184, 212.

[602] P. Gardner, Parthia coinage, გვ. 55, № 25, ტაბ. VI, 25; BMC, Parthia, გვ. 219, № 20, ტაბ. XXXIII, 10.

[603] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.

[604] ნაპირებდაკბილულია.

[605] Gardner, Parthia coinage, გვ. 55, № 22, ტაბ. VI, 22. BMC, Parthia, გვ. 219, № 25, ტაბ. XXXIII, 11; A. Petrowicz, Arsaciden..., გვ. 155, № 11, ტაბ. XXII, 9, 10.

№№ რიგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			სპილენძის მონეტები	
469	ძვ. ერ. ძ. 212	0.77 10/11	მეფის ბიუსტი მარცხნივ; გრძელ წვერულვაშიანი; თვლებით შემკული დიადემით; სამოსის საყელო ირჩევა; წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ არის შემორჩენილი[606].	რქოსანი ცხვარი (?) წევს მარჯვნივ; მარცხნივ ზემოთ Ⱥ წერტილოვანი რკალის პატარა ნაწილი ჩანს[607].
470	ძვ. ერ. ძ. 214	1.37 10/11	როგორც № 469.	მარჯვნივ მიმართული მწოლიარე რქოსანი ცხოველი — ცხვარი (?) წინ Ⱥ, უკან რაღაცა საგანი თუ ნიშანია. ტაბ. XXVII, 470.
			ვოლოგეზ III (147/48—191) ვერცხლი, დრაჰმა	
471	ძვ. ერ. ძ. 105[608]	3.74 20	მეფის ბიუსტი მარცხნივ; სახე შემკულია გრძელი წვერ-ულვაშით (ულვაში წერტილებით, ხოლო წვერი შვეულად დალაგებული ხაზებით არის წარმოდგენილი); თავზე ადგია თვლებითა და დიადემით შემკული მუზარადი; დიადემა უკან არის განასკული და სამი ბოლო დაბლა ეშვება; საყურით; სამწყება ყელსაბამით; რკალი მძივისებრ ასხმული წერტილებისა.	არშაკი ზის სამეფო ტახტზე მარჯვნივ[609]; გაწვდილ ხელში მშვილდ-ისარი უჭირავს[610]; არშაკის წინ, მშვილდის ქვემოთ Ⱥ ზედწერილი ფალაურითა და ძლიერ დამახინჯებული ბერძნულით; პირველი სტრიქონი ფალაურათ მეფე ვოლოგეზი; ბერძნულად უნდა იყოს: ზემოთ — ΒΑΣΙΛΕΩΝ[611]; მარჯვნივ ΑΡΣΑΚΟΥ; ქვემოთ — ΕΥ-ΕΡΓΕΤΟΥ | ΔΙΚΑΙΟΥ; მარცხნივ — ΕΠΙΦΑΝΟΥΣ | ΦΙΛΕΛΛΗΝΟΣ, ე. ი მეფისა არშაკისა, ქველმოქმედისა სამართლიანისა, გამოჩენილისა, ბერძენთა მოყვარულისა. ტაბ. XXVII, 471.
472	ძვ. ერ. ძ. 107	3.75 19	როგორც № 470, მხოლოდ წვერი მონეტის კიდით თითქოს გადაკვეთილია[612].	როგორც № 471, მხოლოდ ზედწერილი ძლიერ დამახინჯებულია. ტაბ. XXVII, 472.

606 ორივე მხარე გაცვეთილია; უსწორმასწორო ნაპირებით.
607 BMC, Parthia, გვ. 223, № 60, ტაბ. XXXIII, 22, 23.
608 ნაპირები დახეთქილი (3).
609 ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 188.
610 BMC, Parthia, გვ. 231, № 60, ტაბ. XXIV, 7.
611 ასოები წერტილებისა და ხაზებისაა, დამახინჯებულია.
612 ნაპირები დაკბილულია.

№	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
473	ძვ. ერ. ძ. 109	3.76 10/17	როგორც № 471, მხოლოდ მუზარადის სამკაულის თვლებში თითქოს ძაფია გაყრილი.	როგორც № 471, მხოლოდ ზედწერილი ძლიერ დამახინჯებულია[613]. ტაბ. XXVII, 473.
474	ძვ. ერ. ძ. 110	3.77 18	როგორც № 471.	როგორც № 473, მხოლოდ როგორც გამოსახულება, ისე ზედწერილი ძლიერ სტილიზებულია[614]. ტაბ. XXVII, 474.
475	ძვ. ერ. ძ. 106[615]	3.77 17	როგორც № 471.	როგორც № 472. ტაბ. XXVII, 475.
476	ძვ. ერ. ძ. 491[616]	3.64 19	როგორც № 471.	როგორც № 471. ტაბ. XXVII, 476.
477	ძვ. ერ. ძ. 619[617]	3.72 18/10	როგორც № 471.	როგორც № 471. ტაბ. XXVII, 477.
478	ძვ. ერ. ძ. 553[618]	3.82 20/23	როგორც № 478.	როგორც № 473. ტაბ. XXVII, 478.
479	ძვ. ერ. ძ. 573[619]	3.70 18/19	როგორც № 471.	როგორც № 471, მხოლოდ არშაკის სტილიზებული გამოსახულება განსხვავებულია[620]. ტაბ. XXVII, 479.
480	ძვ. ერ. ძ. 618[621]	3.80 19.20	როგორც № 472.	როგორც № 472. ტაბ. XXVII, 480.
481	ძვ. ერ. ძ. 421	3.60 19/20	როგორც № 471.	როგორც № 471. ტაბ. XXVII, 481.
482	ძვ. ერ. ძ. 108[622]	3.64 19	როგორც № 471.	როგორც № 471. ტაბ. XXVIII, 482.

სპილენძის მონეტა

483	ძვ. ერ. ძ. 213	4.12 15	მეფის ბიუსტი მარცხნივ, გრძელ წვერულვაშიანი; თავზე ფრთით შემ-	ქალაქის მფარველის (?) ბიუსტი მარჯვნივ; მაღალი დაფანჯრული (კოშ-

[613] გადაჭედილია თუ ორჯერ არის შტამპი დაკრული.
[614] ნაწილობრივ გაცვეთილია.
[615] ნაპირები დაკბილულია.
[616] ნაწილობრივ გაცვეთილი, ნაპირებდახეთქილია.
[617] ნაპირები დაკბილულია.
[618] ნაპირებდაკბილული, ორგან ამოგლეჯილია.
[619] გადაჭედილია თუ ორჯერ არის შტამპი დაკრული; ნაპირებდაზიანებული, კიდე გახეთქილია.
[620] ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 185, 186, 187, 189, 190, 191, 192, 194, 195, 196, 197, 198, 199.
[621] ნაპირებდაკბილული, ოთხგან ამოგლეჯილია.
[622] ნაპირებდახეთქილი; ბეჭედი ორჯერ არის დაკრული; ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 201.

№№ ნუმ.	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			კული მუზარადი ადგია; ყელსაბამით; სახის წინ თარიღი[623] ΕΟΥ-475 ე. ი. 167/168 წწ.; წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ არის შემონახული[624].	კის მსგავსი) მუზარადით; სახის წინ Λ ტაბ. XXVIII, 483.

ვოლოგეზ IV (191—207/08?)

ვერცხლი, ტეტრადრაქმა[625]

484	ძვ. ერ. ძ. 495	14.34 25	მეფის ბიუსტი მარცხნივ; გრძელ წვერულვაშიანი; თმა წერტილებით არის წარმოდგენილი, ყურთან ვარდულის მსგავსად დალაგებული; დიადემით, რომლის სამი ბოლო თმის ვარცხნილობის ქვეშ გამოდის და დაბლა ეშვება; ორწყება ყელსაბამით; მოოქვილი საყელოს ერთი ზოლი ირჩევა; წერტილების რკალის პატარა ნაწილია სიქიდან მონეტის არეზე მოხვედრილი[626].	მეფე ზის მარცხნივ, მის წინ მდგომი ქალაქის მფარველი (ტიხე) აწვდის დიადემას? მეფე მუზარადით განიერი შარვლითა და ტუნიკით; ხმალი უნდა ეპიროს, ქალაქის მფარველი (ტიხე) შემოსილია ქიტონითა და პეპლოსით; თავზე ადგია მუზარადი(?); მარჯვენა ხელში დიადემა უჭირავს, მარცხენაში — სკიპტრა; ზემოთ მათ შორის — Ι(?)Φ[627] — 510, ე. ი. 198/199 წწ. ზედწერილიდან ირჩევა ...ΔΠΤ(?)... ΠΚΑ... და ზოგი ასოს კიდურები. ტაბ. XXVIII, 484.
485	ძვ. ერ. ძ. 215[627ა]	13.32 24/29	როგორც № 484.	როგორც № 484.

ვოლოგეზ V (207/08—221/22)

ვერცხლი, დრაქმა

486	ძვ. ერ. ძ. 114[628]	3.72 18	მეფის ბიუსტი მარცხნივ; პარალელური ხაზებით შედგენილი, სამკუთხად დალაგებული გრძელი წვერ-ულვაში; დიადემითა და თვლებით შემკული მუზარადით; ორი წყება ყელსაბამით, თავის უკან ფალაურით: ვოლოგეზ; ყველაფერს შემოვლებული აქვს მსხვილი წერტილების რკალი, რომელიც ერთგან წვერის ბოლოთია გადაკვეთილი[629].	არშაკის სქემატური გამოსახულება, ზის ტახტზე მარჯვნივ[630]; გაწვდილ ხელში მშვილდ-ისარი აქვს მომარჯვებული, არშაკის წინ მშვილდის ქვემოთ Λ ფალაურათ მეფე ვოლოგეზ, ბერძნულად კი უნდა იყოს ΒΑΕΙΛΕΩΝ | ΑΡΣΑΚΟΥ. ტაბ. XXVIII, 486.

623 BMC, Parthia, გვ. 233, № 73, ტაბ. XXXIV, 10.
624 ნაწილობრივ გაცვეთილი, ნაპირები უსწორმასწოროა.
625 ყალბია.
626 ორივე მხარე გაცვეთილია; უსწორმასწორო ნაპირებით.
627 BMC, Parthia, გვ. 238, № 11.
627ა დავერცხლილი სპილენძი ყალბია?
628 ნაპირი ერთგან გახეთქილია.
629 ასეთივეა ძვ. ერ. ძ. ფ. № 574; დ. ფ. № 200, 202.
630 BMC, Parthia, გვ. 243, № 20, ტაბ. XXXVI, 3.

№№ რიგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
487	ძვ. ერ. ძ. 86[631]	3.69 20	როგორც № 486.	როგორც № 486. ტაბ. XXVIII, 487.
488	ძვ. ერ. ძ. 112	3.41 19/20	როგორც № 486, მხოლოდ სიქიდან მონეტის არეზე წერტილოვანი რკალის ქვედა ნაწილი არაა მოხვედრილი.	როგორც № 486, მხოლოდ შტამპი ორჯერ არის დაკრული[632]. ტაბ. XXVIII, 488.
489	ძვ. ერ. ძ. 111	3.28 18/20	როგორც № 488, მხოლოდ რკალის ნაწილი აკლია.	როგორც № 486, მხოლოდ ზედწერილის ზოგი ასოს კიდურებიღა ირჩევა[633]. ტაბ. XXVIII, 489.
490	ძვ. ერ. ძ. 113	3.81 18/19	როგორც № 486, მხოლოდ წვერი მონეტის კიდით არის გადაკვეთილი; ყელსაბამი სამწყებაა[634].	როგორც № 486. ტაბ. XXVIII, 490.
491	ძვ. ერ. ძ. 422	3.60 20/21	როგორც № 486, მხოლოდ ყელსაბამი სამხაზოვანია[635].	როგორც № 486. ტაბ. XXVIII, 491.
492	ძვ. ერ. ძ. 493[636]	3.35 18	როგორც № 486.	როგორც № 486. ტაბ. XXVIII, 492.
493	ძვ. ერ. ძ. 494[637]	3.75 18	როგორც № 489.	როგორც № 489. ტაბ. XXVIII, 493.
494	ძვ. ერ. ძ. 620[638]	3.59 18/19	როგორც № 486.	როგორც № 486. ტაბ. XXVIII, 494.
495	ძვ. ერ. ძ. 621[639]	3.65 20	როგორც № 486, მხოლოდ თავის უკან ამოკვეთილ ნიშნებში სხვაობა შეიმჩნევა.	როგორც № 493, მხოლოდ არშაკი რამდენიმე ხაზით არის გადმოცემული; დამახინჯებული ზედწერილი წერტილებით არის შესრულებული[640]. ტაბ. XXVIII, 495.
			სპილენძის მონეტა	
496	ძვ. ერ. ძ. 216	0.80 9	მეფის ბიუსტი მარცხნივ; გრძელი წვერით; დიადემიანი მუზარადით[641].	ფრთებგაშლილი არწივი მარცხნივ[642].

631 ნაპირებდაზიანებული, დახეთქილი, წერტილების რკალი შიგადაშიგ ნაკლოვანია.
632 ზურგი გაცვეთილია, ნაპირები უსწორმასწორო.
633 ნაწალობრივ გაცვეთილი, ნაპირებამოგლეჯილია.
634 კიდეები დაკბილულია.
635 კიდეებამოგლეჯილი, ზედწერილი დამახინჯებულია.
636 ყალბი უნდა იყოს(?).
637 კიდეებდაკბილულია.
638 კიდეებდახეთქილი; ზურგზე ჭობოსანის მსგავსი იარაღის კვალი ირჩევა.
639 კიდეებდაკბილულია.
640 BMC, Parthia, გვ. 244, № 32, ტაბ. XXXVI, 4.
641 გაცვეთილია.
642 BMC, Parthia, გვ. 245, № 39, ტაბ. XXXVI, 6.

№№ რიგზე	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			არტაბან V (213—227)	
			ვერცხლი, დრაჰმა	
497	ძვ. ერ. ძ. 116[643]	3.55 18	მეფის ბიუსტი მარცხნივ; გრძელი სამკუთხედად დალაგებული წვერი, პარალელური ხაზებით არის შესრულებული; თავზე დიადემითა და თვლებით შემკული მუზარადი ადგია; სპირალური ყელსაბამით; წვრილი წერტილების რკალი ნაწილობრივ გაცვეთილია[644].	ძლიერ სქემატურად, სულ ორი ხაზით წარმოდგენილი არშაკი ზის ტახტზე მარჯვნივ; გაწვდილ ხელში მშვილდისარი უჭირავს; არშაკის წინ, მშვილდის ქვევით A-ს ნაცვლად[645] Λ ძლიერ დამახინჯებული ზოგიერთი ასოს კიდური ირჩევა. ტაბ. XXIX, 497.
498	ძვ. ერ. ძ. 117[646]	3.75 19	როგორც № 497.	როგორც № 497. ტაბ. XXIX, 298.
499	ძვ. ერ. ძ. 118	3.69 19	როგორც № 497.	როგორც № 497, მხოლოდ შტამპი თითქოს ორჯერ არის დაკრული[647]. ტაბ. XXIX, 499.
500	ძვ. ერ. ძ. 119[648]	3.19 18	როგორც № 497.	როგორც № 497. ტაბ. XXIX, 500.
501	ძვ. ერ. ძ. 423[649]	3.82 18	როგორც № 497.	როგორც № 497. ტაბ. XXIX, 501.
502	ძვ. ერ. ძ. 576	3.51 18	როგორც № 497.	როგორც № 501, მხოლოდ ზედწერილის პირველ პწკარის ასოთა კონტურებიღა ჩანს[650]. ტაბ. XXIX, 502.
503	ძვ. ერ. ძ. 622	3.16 18/20	როგორც № 497.	როგორც № 497, მხოლოდ შტამპი ორჯერ არის დაკრული[651]. ტაბ. XXIX, 503.

643 ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილი, ნაპირები დაკბილულია.

644 BMC, Parthia, გვ. 247, № 1, ტაბ. XXXVI, 8; P. Gardner, Parthia coinage, გვ. 59, № 19, ტაბ. VII, 19.

645 ასეთივეა ძვ. ერ. დ. ფ. № 204, 205, 213.

646 ნაპირებდახეთქილია.

647 უსწორმასწორო ნაპირები, დახეთქილი; ერთგან გახვრეტილი; ზედწერილის ზოგი ასო თითქოს გაჭყლეტილია.

648 ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია, კიდეები დახეთქილი, ზურგზე ნაკაწრები, შტამპი ორჯერ უნდა იყოს დაკრული.

649 ნაპირებდახეთქილია.

650 კიდეებდაზიანებული, ზურგზე იარაღის კვალი ირჩევა.

651 ნაპირები დახეთქილი და დაკბილულია.

№№ ნიმუშის	ფონდი და ნომერი	წონა, ზომა	შუბლი	ზურგი
			სპილენძის მონეტები	
504	ძვ. ერ. ძ. 430	1. 46 9, 10	მეფის გამოსახულება მარცხნივ; წვერიანი; დიადემიანი მუზარადით[652].	მწოლიარე, რჩოსანი ცხოველი (შეიძლება ცხვარი იყოს) მარცხნივ; გარშემო წერტილოვანი რკალი ნაწილობრივ ირჩევა[653]. ტაბ. XXIX, 504.
505	ძვ. ერ. ძ. 245	1. 91 10	როგორც № 504, მხოლოდ უფრო გრძელი წვერით[654].	როგორც № 504, მხოლოდ ოვალურ ჩარჩოშია ჩასმული.

[652] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.
[653] BMC, Parthia, გვ. 249, № 21, ტაბ.: XXXVI, 11.
[654] ორივე მხარე ნაწილობრივ გაცვეთილია.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბართული მონეტების ტოპოგრაფია[1]

1. 1850-იან წლებში გორის მიდამოებში აღმოჩნდა ძვ. წ. III ს. II ნახევრისა და II ს. დასაწყისის ბართული მონეტების განძი. მპოვნელს განძი ვაჭრისათვის მიუყიდია, ხოლო ამ უკანასკნელთან 1853 წ. ი. ბართლომეის 30 ცალი უნახავს და თავისი კოლექციისათვის რამდენიმე მონეტა შეუძენია[2].

2. დაახლოებით 1925 წ. გარდაბნის[3] რ-ის სოფ. დიღომთან, დიდგორის მთის ძირას, სამარხში აღმოჩნდა ბართული მონეტა[4].

მითრიდატე I (171—138)

3. გორის მიდამოებში აღმოჩენილი (დრო და პირობები ცნობილი არაა) მითრიდატე I-ის დრაქმა დაცულია გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, № 8065/1.

მითრიდატე II (123—88)

4. გორის მიდამოებში აღმოჩენილი (დრო და გარემოება ცნობილი არ არის) მითრიდატე II-ის დრაქმა დაცულია გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, № 8052/10.

5. 1925 წ. ნოემბერში, ჭუთაისის მიდამოებში აღმოჩენილი მითრიდატე II-ის დრაქმა დაცულია აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ჭუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, № 4398.

6. 1951 წ. ზნაურის რ-ის სოფ. სხლითში აღმოჩენილი მითრიდატე II-ის დრაქმა დაცულია გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

7. 1967 წ. იანვარში, მცხეთაში, მიწის სამუშაოების შესრულებისას № 5 ქვევრსამარხში აღმოჩენილია მითრიდატე II-ის დრაქმა. დაცულია მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, № 9411.

არტაბან II (88—77)

8. 1938 წ. ნოემბერში, მცხეთაში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით), სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე (ხელმძღვანელი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ივაშჩენკო), № 5 თხრილიდან ამოყრილ მიწაში იპოვა არტაბან II-ის დრაქმა[5]. მონეტა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძებისა და ცალკეულ აღმოჩენათა ფონდში[6], № 9960.

---

[1] ქრონოლოგიას ვიცავთ მეფობისა და მონეტათა მოპოვების მიხედვით.

[2] I. Bartholomaei, Lettres numismatiques et archeologiq. SPB, 1859, გვ. 23. Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик краев и областей Кавказа, вып. II, Баку, 1938, № 328; შემდეგ ყველგან Пахомов; А. Н. Зограф, Распространение находок античных монет на Кавказе, ТОНГЭ, I, Ленинград, 1945, стр. 64/65. № 80.

[3] აქ და შემდეგში 1966 წლის 15 იანვრისათვის მიღებული საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვითაა მითითებული.

[4] Р. Р. Фасмер, Список монетных находок, Сообщение ГАИМК, I. Ленинград, 1926, стр. 288, № 6. Газета Рабочая Правда, Тбилиси, I—IV,1925, и Молот (Ростов Н/Д) 14. V. 1925 г.

[5] დ. კაპანაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1937—1951 წწ. ნუმიზმატიკური მონაპოვარი; მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბილისი, 1955; გვ. 85; ცხრ. III; Мисиве, Монетные находки Мцхетской экспедиции, ВДИ, № 1, 1955, стр. 165, таб. III; Пахомов, VII, 1742.

[6] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განძებისა და ცალკეულ აღმოჩენათა ფონდი — შემდეგში, ტექსტშიაც და სქოლიოშიაც აღნიშნული იქნება — სმგ.

9. 1940 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე, კულტურულ ფენაში აღმოჩენილია არტაბან II-ის დრაქმა[7].

10. 1951 წ. ივნისში, მცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად, აღმოსავლეთით გათხრილ აკლდამაში, სხვა ძვირფას ინვენტართან და ნუმიზმატიკურ მასალასთან (ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ქართული მინაბაძი, ერთი ოქროს ფირფიტა — ნამზადი?; რომაული აურეუსები და დენარები; ბოსფორის მონეტა და პართული დრაქმები) ერთად, აღმოჩენილი არტაბან II-ის ორი დრაქმა[8] დაცულია სმგ № 9219, 9266.

11. 1955 თუ 1956 წწ. ხაშურის რ-ის სოფ. ქემფერში, გოგოლასწყაროს შიდა მიდამოებში, მიწის გადაბრუნებისას, კოლმეურნე ალექსანდრე თევდორეს ძე ლომსაძემ 69/80 st სიღრმეზე აღმოაჩინა არტაბან II-ის დრაქმა, რომელიც გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადაეცა, საინვენტარო $№\frac{7552}{9}$.

12. 1958 წ. ხაშურის რ-ის სოფ. წრომში ნაპოვნი არტაბან II-ის დრაქმა გადაეცა გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, საინვენტარო $№\frac{7613}{5}$.

13. 1969 წ. ნოემბერში, გურჯაანის რ-ის სოფ. შრომაში (ვაჩნაძიანი) აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი კ. ფიცხელაური) № 15 სამარხში აღმოჩენილი არტაბან II-ის დრაქმა, დაცულია გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

სინათრუქი (77—70)

14. დაახლოებით 1924 წ. გარდაბნის რ-ის სოფ. დიღომში, მიკვლეულ სამარხში აღმოჩენილი სინათრუქის დრაქმა[9] დაცულია სმგ № 9348.

15. 1940 წ. სექტემბერში მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე № 209 ქვევრსამარხში, ინვენტართან ერთად, აღმოაჩინა სინათრუქის დრაქმა[10] დაცულია სმგ № 10030.

16. 1951 წ. ივნისში, მცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად, აკლდამაში, ინვენტართან და მონეტებთან ერთად (№ 10), აღმოჩნდა სინათრუქის დრაქმა[11], დაცულია სმგ № 9220.

17. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. პროფ. ო. ჯაფარიძე), 1951 წ. ზნაურის რ-ის სოფ. არკნეთში, ვასასწყაროს სამაროვანზე № 2 ორმოსამარხში, სხვა ინვენტართან და პართულ მონეტებთან ერთად აღმოჩენილი სინათრუქის 2 დრაქმა[12], ინახება სმგ. № 10075, 10076.

18. 1958 წ. ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. კანდიდატი ნ. ხოშტარია) მოპოვებული სინათრუქის დრაქმა დაცულია სმგ № 11126.

ფრაატ III (70—57)

19. 1934 წ. ქარელის რ-ის სოფ. აბისის მახლობლად მიწაში ნაპოვნი ფრაატ III-ის[13] დრაქმა დაცულია სმგ № 10586.

20. 1939 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანზე (ხელმძღვანელი ისტ. მეცნიერებათა დოქტორი ალ. კალანდაძე), № 7 კრამიტსამარხში სხვა

---

[7] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 85, ცხრ. III; П а х о м о в, VII, 1743.

[8] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, და ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ახალაღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 10, 1951, გვ. 646; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 83; П а х о м о в, VII, 1738. დასახელებულ ავტორებს არტაბან II-ის მხოლოდ ერთი დრაქმა აქვთ მოხსენებული. მონეტების დაწვრილებით შესწავლის შემდეგ გამოირკვა, რომ აკლდამაში არტაბან II-ის ორი დრაქმა ყოფილა.

[9] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, IV, 1928, გვ. 167.

[10] П а х о м о в, IV, 1940; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., ცხრ. I, 29.

[11] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, და ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 646; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 83; П а х о м о в, VII, 1738.

[12] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 63, 1956, გვ. 197; П а х о м о в, IX, 2082.

[13] ა. ზ ო გ რ ა ფ მ ა (დასახ. ნაშრ., გვ. 64/65, № 85) გაიმეორა პახომოვის განსაზღვრა (იხ. П а х о м о в, III, 761) და მონეტა მანაც მითრიდატე II-სად მიიჩნია.

ინვენტართან ერთად აღმოჩენილი ფრაატ III-ის დრაქმა[14], დაცულია სმგ № 9964.

21. 1939 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანზე № 10 ქვევრსამარხში, სხვა ინვენტართან ერთად, აღმოაჩინა ფრაატ III-ის დრაქმა[15], რომელიც ინახება სმგ № 9965.

22. 1939 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე № 110 ქვევრსამარხში, ინვენტართან ერთად აღმოაჩინა ფრაატ III-ის დრაქმა[16]. მონეტა დაცულია სმგ № 9978.

23. 1939 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანზე № 120 ორმოსამარხში, ინვენტართან ერთად აღმოაჩინა ფრაატ III-ის დრაქმა[17], რომელიც დაცულია სმგ № 9989.

24. 1951 წ. ივნისში, მცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად, აკლდამაში, ინვენტართან და მონეტებთან ერთად აღმოჩენილი (№ 10) ფრაატ III-ის დრაქმა[18] ინახება სმგ № 9221.

25. 1951 წ. სამხრეთ-ოსეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (№ 17) მიერ აღმოჩენილი ფრაატ III-ის დრაქმა[19] დაცულია სმგ № 10074.

მითრიდატე III (57—54)

26. 1951 წ. მცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად, აკლდამაში (№ 10), აღმოჩნდა მითრიდატე III-ის 3 დრაქმა, ინახება სმგ № 9229, 9232, 9247.

27. 1955 წ. ივლისში, ჯავის რ-ის სოფ. სტირფაზში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ერთობლივი დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოების დროს, № 6 სამარხში სხვა ინვენტართან და მონეტებთან (ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, ავგუსტის დენარი) ერთად, აღმოჩნდა მითრიდატე III-ის დრაქმა[20].

ოროდ I (57—37)

28. კასპის რ-ნის სოფ. კოდისწყაროში ნაპოვნია (პოვნის დრო და გარემოება ცნობილი არაა) ოროდ I-ის დრაქმა[21].

29. 1900-იან წლებში, გორის მიდამოებში, სამხედრო დანიშნულებისათვის მიწის თხრის დროს აღმოჩენილ განძში, სხვა ინვენტართან ერთად, ნაპოვნი იყო ოროდ I-ის დრაქმა[22].

30. 1935 წ. გარდაბნის რ-ის სოფ. კოჯრის მახლობლად, ჭოროღლის ციხის ნანგრევებში ნაპოვნი ოროდ I-ის დრაქმა[23], ი. თოფურიამ 1937 წ. შემოწირა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, დაცულია სმგ № 1864.

31. 1938 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანზე, № 6 ქვევრსამარხში, სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილი ოროდ I-ის ორი დრაქმა[24] დაცულია სმგ № 9941, 9942.

32. 1939 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამთავროს სამაროვნის ჩრდილო უბანზე, № 120 ორმოსამარხში, აღმოაჩინა ოროდ I-ის დრაქმა[25], რომელიც დაცულია სმგ № 9988.

33. 1939 წ. კასპის რ-ის სოფ. კავთისხევის მიდამოებში, თვალადის ხევთან, სახლის საძირკვლის ჩადგმის დროს წასწყდომიან სამარხს, რომელშიც აღმოჩენილა ოროდ I-ის ორი დრაქმა[26]. დაცულია სმგ № 10160, 10161.

---

[14] Пахомов, IV, 1040; დ. კაპანაძე, დასახ., ნაშრომი, ცხრ. I, № 9.

[15] Пахомов, IV, 1040; დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., ცხრ. I, № 10.

[16] Пахомов, IV, 1040; დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., ცხრ. I, № 17.

[17] Пахомов, IV, 1040; დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., ცხრ. I, № 20.

[18] გ. ლომთათიძე, ირ. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 646; Пахомов, VII, 1738; დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

[19] ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 197; Пахомов, IX, 2082.

[20] ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბილისი, 1968, გვ. 57, სქ. 194; Б. В. Техов, О монетах античной эпохи Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института, вып. X, 1960.

[21] ბუნდოვანი ცნობით, თითქოს, განძი უნდა ყოფილიყო.

[22] Р. Р. Фасмер, Список монетных находок, II, Сообщения, ГАИМК, II, Ленинград, 1929, стр. 284, № 28; Пахомов, I, 40.

[23] А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 66/67, № 98, ფრაატ IV-ის მონეტად თვლის; Пахомов, IV, 1020.

[24] Пахомов, IV, 1040; დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., ცხრ. I, № 2.

[25] Пахомов, IV, 1040; დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., ცხრ. I, № 20.

[26] Пахомов IV, 1022.

34. 1940 წ. ხაშურის რ-ის სოფ. ქვიშხეთში, ძველი კოშკის ნანგრევებთან მიწის ზედაპირზე ნ. სულაბერიძის მიერ ნაპოვნი ოროდ I-ის დრაქმა[27] ინახება სმგ № 4805.

35. 1948 წ. აპრილში, ახმეტის რ-ის სოფ. ახალდაბაში, შემთხვევით აღმოჩენილ ორმოსამარხში ნაპოვნი ოროდ I-ის დრაქმა დაცულია სმგ № 11483.

36. 1950-იან წლებში, გორში ადმინისტრაციული სახლის მშენებლობის დროს აღმოჩენილი ოროდ I-ის დრაქმა ინახება გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საინვ. № 2867.

37. 1950-იან წლებში, თბილისში, ს. კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ეზოში (მაგნიტოგორსკის ქუჩა), ორმოების თხრისას აღმოჩენილი ოროდ I-ის დრაქმა ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

38. 1951 წ. ივნისში, მცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად, აკლდამაში, ინვენტართან და მონეტებთან ერთად (№ 10) აღმოჩენილი ოროდ I-ის 43 დრაქმა[28] დაცულია სმგ № 9222—9228; 9230—9231; 9233—9246; 9248—9265; 9267—9268.

39. 1951 წ. სამხრეთ-ოსეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. არკნეთში ვასასწყაროს სამაროვანზე № 2 ორმოსამარხში, სხვა ინვენტართან და მონეტებთან ერთად (№ 17) აღმოაჩინა ოროდ I-ის 2 დრაქმა[29]. დაცულია სმგ № 10077, 10078.

40. 1953 წ. ივლისში, დმანისის რ-ის სოფ. ძველ დმანისში, ნასახლარების დათვალიერებისას მიწის ზედაპირზე ნაპოვნი ოროდ I-ის დრაქმა მპოვნელმა განსაზღვრისათვის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში მოიტანა. მონეტა მასთანვე დარჩა.

41. 1954 წ. ივლისში, ბოლნისის მახლობლად, ბაღში მუშაობის დროს მიწის ზედაპირზე ნაპოვნი ოროდ I-ის დრაქმა[30], მპოვნელმა ზ. ზამთარაძემ, ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის გიორგი ზამთარაძის მეშვეობით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებას შემოწირა, დაცულია სმგ № 9089.

42. 1954 წ. სექტემბერში, კასპის რ-ის სოფ. კავთისხევში, თვალადის უბანზე ბულდოზერით მიწის მოსწორების დროს ამოგდებულ ქვევრსამარხში, ადამიანის ჩონჩხთან და სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილი ოროდ I-ის დრაქმა, მწერალმა გიორგი შატბერაშვილმა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს გადასცა.

43. 1955 წ. მაისში, ვანის რ-ის სოფ. ფერეთაში, ჩიკვაიძის ეზოში, მასწავლებელ ლაჩყებიანის მიერ მიკვლეულ სამარხში, სხვა ინვენტართან (ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხები, მძივები, ვერცხლის ჯურჭლის ნატეხი, საკინძე) ერთად, აღმოჩენილია ოროდ I-ის დრაქმა. მპოვნელმა აღმოჩენილი მასალა მთლიანად ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა.

44. 1958 წ. ივნისში, თბილისში, სახლის ასაშენებლად საძირკვლის გათხრისას, ერთი თუ ორი მეტრის სიღრმეზე, სამარხში აღმოჩნდა ოროდ I-ის ორი დრაქმა. ამ აღმოჩენის შესახებ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს არქეოლოგმა იოსებ გძელიშვილმა აცნობა.

45. 1960 წ. ქარელის რ-ის სოფ. ურბნისში, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (საერთო ხელმძღვანელი აკად. ნ. ბერძენიშვილი; ადგილზე — ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ლომთათიძე და პროფ. პ. ზაქარაია) აღმოჩენილი ოროდ I-ის დრაქმა დაცულია სმგ № 11046.

46. 1963 წ. გორის რ-ის სოფ. უფლისციხეში (ადგილი ბამბებში), ქართული ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტორი დ. ხახუტაიშვილი) № 6 და № 8 ორმოსამარხში აღმოჩენილი ოროდ I-ის დრაქმა (№ 6 ორმოსამარხში — 1 ცალი, № 8-ში — 3 ცალი), დ. ხახუტაიშვილმა საქართველოს მუზეუმში გასაწმენდად და გასასაზღვ-

---

[27] П а х о м о в, IV, 1021.

[28] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, და ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 646; П а х о м о в, VII, 1738. აქ 45 ცალია; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 83, აქ ოროდ I 47 ცალია. მოხსენებული მონეტების დეტალური შესწავლით გამოირკვა, რომ ოროდ I მხოლოდ 43 ცალია.

[29] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 197; П а х о м о в, IX, 2082.

[30] П а х о м о в, VIII, 1925.

რად მოიტანა, შემოწმებისა და გაწმენდის შემდეგ მონეტები უკანვე წაიღო. დაცულია იქვე.

47. 1964 წ. სექტემბერში ქარელის რ-ის სოფ. ზღუდერში, ურბნისის (№ 45) ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის ზღუდრის რაზმის მიერ (რაზმის ხელმძღვანელი გ. ნემსაძე), კულტურული ფენიდან მიწის გადაყრის დროს, № 1 და № 10 (საველე ნუმერაცია) ორმოსამარხებს შორის გადანაყარში აღმოჩენილი ოროდ I-ის დრაქმა, დაცულია სმგ № 11786.

48. 1965 წ. ივლისში, მარნეულის რ-ნის დაბა შაუმიანიდან ჩრდილოეთით 9 კილომეტრზე მდებარე ენეოლითურ ნამოსახლარ გორაკ „აზნიკში“ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი — ისტ. მეცნ. დოქტორი ოთ. ჯაფარიძე, ხელმძღვანელის მოადგილე — ისტ. მეცნ. კანდ. ალ. ჯავახიშვილი) ყორღანში ჩაშვებულ № 2 წყვილად სამარხში აღმოჩენილი ოროდ I-ის დრაქმა, დაცულია სმგ № 11646.

49. 1967 წ. ნოემბერში, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქალაქის ძველ კარიბჭესთან, № 1 სამარხში, მიცვალებულის პირში აღმოჩენილი ოროდ I-ის ორი დრაქმა, დაცულია მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, № 3942[1], 3942[2](3).

50. 1968 წ. მარტში, მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ქალაქის ძველ კარიბჭესთან, № 2 კრამიტსამარხში, ნაშალში აღმოაჩინა ოროდ I-ის ორი დრაქმა. დაცულია მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, № 4307, 4308.

51. 1971 წ. იანვარში, ცხაკაიას რ-ის სოფ. ეკში, საკარმიდამო ნაკვეთის ბულდოზერით მოსწორებისას, რომაულ მონეტების განძთან ერთად აღმოჩნდა ოროდ I-ის დრაქმა[31].

52. 1971 წ. თელავის რ-ის სოფ. რუისპირში აღმოჩენილი ოროდ I-ის დრაქმა დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

ფრაატ IV (38/37—3/2)

53. 1902 წ. ორჯონიკიძის რ-ის სოფ. ბორში, მიწის გადაბრუნებისას, სხვადასხვა ინვენტართან და ნუმიზმატიკურ მასალასთან (კოლხური, ოლვიური, ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მინაბაძი, რომაული მონეტები და პართული დრაქმა) ერთად, აღმოჩნდა ფრაატ IV-ის დრაქმა[32].

54. 1928 წ. საჩხერის რ-ის სოფ. კორბოულის მიდამოებში ნაპოვნი ფრაატ IV-ის დრაქმა[33] დაცულია სმგ № 3063.

55. 1939 წ. მცხეთის რ-ის სოფ. ვაზიანთან, გორისაკენ გზის გაყვანისას, სამარხში სხვა ინვენტართან და მონეტებთან (ავგუსტის დენარი, გოტარზეს დრაქმა) ერთად, აღმოჩნდა ფრაატ IV-ის დრაქმა[34].

56. 1940-იან წლებში გორის რ-ის სოფ. ძევერას მიდამოებში აღმოჩენილი მონეტებიდან, ფრაატ IV-ის 1 დრაქმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის მაშინდელმა სტუდენტმა პეტრე ანდრიას ძე მამისაშვილმა უნივერსიტეტის არქეოლოგიურ კაბინეტს გადასცა, ფრაატ IV-ის დრაქმა ინახება იქვე.

57. 1951 წ. ივნისში, მცხეთის რკინიგზის სადგურის მახლობლად, აკლდამაში, სხვა ინვენტართან და მონეტებთან (№ 10) ერთად აღმოჩენილი ფრაატ IV-ის დრაქმა[35] დაცულია სმგ № 9269.

58. 1951 წ. იანვარში, გორში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მიკვლეულ სამარხში, სხვა ინვენტართან და მონეტებთან (კოლხური სტატერი და ავგუსტის დენარი) ერთად აღმოჩენილი ფრაატ IV-ის დრაქმა გადაეცა გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, საინვ. № $\frac{6431}{1-2}$.

---

[31] ცნობისათვის გ. დუნდუას მადლობას მოვახსენებთ,

[32] Е. Придик, Новые кавказские клады, Петербург, 1914, 4, სქოლიო C; Пахомов. II, 337; ა. აფაქიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები ბორიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი მოამბე, XII—B, 1945, გვ. 441—446; А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 66/67, № 101; К. В. Голенко, Денежное обращение Колхиды в Римское время, Ленинград, 1964, стр. 83. 87, 88, № 69. 85, 86.

[33] Пахомов, IV, 1023; К. В. Голенко. დასახ. ნაშრ., გვ. 87, № 83.

[34] Пахомов, IV, 1024. მისივე ცნობით ეს მონეტები საქართველოს მუზეუმშია შემოსული. მუზეუმში მონეტები არა ჩანს.

[35] გ. ლომთათიძე, და ი. ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 646; გაზ. «Заря Востока», № 183, 1, VIII, 1951, № 183; Пахомов, VII, 1738.

59. 1956 წ. ივნისში, კასპის რ-ის სოფ. ხოვლეში აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ცქიტიშვილი), ე. წ. „გაღმა ხევში“ (ადგილის სახელია) შემთხვევით მიკვლეულ ქვასამარხში აღმოჩენილ ფრაატ IV-ის დრაქმა ინახება იქვე ინსტიტუტში, ექსპედიციის საველე № 3.

60. 1958 წ. თებერვალში, თბილისში, კიროვის სახ. დაზგათმშენებელი ქარხნის ეზოში ორმოების თხრის დროს, სამარხში სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილი მონეტა მუშებმა დაამტვრიეს. აქედან ერთი ნატეხი აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგმა რ. რამიშვილმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში მოიტანა. შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ ეს იყო ფრაატ IV-ის დრაქმის ნატეხი, რომელიც ინახება იმავე ინსტიტუტში.

61. 1962 წ. იანვარში, თბილისში, კიროვის სახ. დაზგათმშენებელი ქარხნის ეზოში მიწის სამუშაოებისას მიკვლეულ სამარხში სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილი ფრაატ IV-ის დრაქმა დაცულია ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

62. კასპის რ-ის სოფ. კოდისწყაროში აღმოჩნდა (დრო და პირობები ფიქსირებული არაა) ფრაატ IV-ის დრაქმა.

არტაბან III (10/11—40)

63. კასპის რ-ის სოფ. კოდისწყაროში აღმოჩენილია (დრო და პირობები ცნობილი არაა) არტაბან III-ის დრაქმა.

გოტარზე (40/41—51)

64. 1870-იან წლებში, მცხეთაში ბაიერნის მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილა გოტარზეს ერთი დრაქმა[36].

65. 1900-იან წ. გორის მიდამოებში სამხედრო დანიშნულების მშენებლობის დროს (№ 29), აღმოჩნდა გოტარზეს 2 დრაქმა[37].

66. 1902 წ. ორჯონიკიძის რ-ის სოფ. ბორში, მიწის გადაბრუნებისას აღმოჩენილი ნივთებით დაინტერესებულმა მიწის მფლობელმა, 1903 წ., შემდეგ 1907-1908 წწ. გათხრები ჩაატარა და აღმოჩენილი ნივთების ნაწილი ერმიტაჟს მიჰყიდა: ოჯახში დარჩენილ სხვა ნივთებთან ერთად, 1943 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა გოტარზეს ორი დრაქმა[38] შეიძინა, დაცულია სმგ № 4878, 4879.

67. 1907 წ. ორჯონიკიძის რ-ის სოფ. ბორში, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ წარმოებული არქეოლოგიური თხრის დროს სხვა ინვენტართან და ავგუსტის დენართან ერთად, აღმოჩენილა გოტარზეს სამი დრაქმა[39], მათგან ერთი ცალი დაცულია სმგ № 3064.

68. 1912 წ. ართვინში ნაპოვნი გოტარზეს დრაქმა[40] დაცულია სმგ № 1660.

69. 1923 წ. ზემო ავჭალაში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისას, არხის გაყვანის დროს, არხის სათავეში მტკვრის მარცხენა ნაპირზე აგურის ფილების აკლდამაში (სამარხში) სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილი გოტარზეს დრაქმა[41] ინახება სმგ № 9356.

70. 1924 წ. ავჭალაში, ზაჰესის სადგურის მიდამოებში, აგურის ფილების სამარხში სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილი გოტარზეს დრაქმა[42] ინახება სმგ № 3056—3057.

---

[36] Bayern, Untersuchungen über die älteren graber. . . u Schatzfun de in Kaukasien стр. 30; Пахомов, I, 41. А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 66/67, № 95.

[37] Пахомов, I, 40; А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 66/67, № 95.

[38] ა. აფაქიძე, ახალი არქეოლოგიური მასალები ბორიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XII-B, 1945, გვ. 441—448.

[39] Пахомов, I, 33, Р. Р. Фасмер, დასახ. ნაშრ., გვ. 284, № 20; А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 66/67. 104. К. В. Голенко, დასახ. ნაშრ., გვ. 88, № 86.

[40] А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 66/67, № 105.

[41] ს. მაკალათია, 1920—1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, თბილისი, 1928, გვ. 173.

[42] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 173—174; А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ.68/69, № 109; Пахомов, IV, 1026.

71. 1924 წ. გარდაბნის რ-ის სოფ. დიღმის გაღმა, დიდგორის წინ „სქელჯაგების ჩახრამულში“ აღმოჩენილ სამარხში სხვა ინვენტართან და ავგუსტის დენართან ერთად ნაპოვნი გოტარზეს დრაქმა[43], დაცულია სმგ № 9350.

72. გორის მიდამოებში აღმოჩენილი მონეტებიდან (დრო და პირობები ცნობილი არ არის) 1925 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნუმიზმატიკის კაბინეტს გოტარზეს სპილენძის ერთი მონეტა შეუძენია. უნივერსიტეტმა ეს მონეტა სხვა ნუმიზმატიკურ მასალასთან ერთად, გადასცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, დაცულია იქვე — სმგ № 730.

73. წალკის მიდამოებში ნაპოვნია (დრო და გარემოება ფიქსირებული არ არის) გოტარზეს დრაქმა[44].

74. გარდაბნის რ-ის სოფ. დიდ ლილოში სამარხში აღმოჩენილი (დრო და გარემოება ფიქსირებული არაა) გოტარზეს დრაქმა დაცულია სმგ № 10124.

75. სადგურ ზაჰესის მიდამოებში ნაპოვნი (დრო ფიქსირებული არაა) გოტარზეს დრაქმა ინახება სმგ № 11797.

76. 1928 წ. მარტში, კასპის მახლობლად, პირველი მისასვლელი გზის გაყვანისას, აკლდამაში (ქვასამარხი), სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილა გოტარზეს დრაქმა[45], რომელიც მიცვალებულის თავის ქალას მახლობლად დებულა, ალბათ, პირში თუ ჰქონდა. მონეტა დაცულია სმგ. № 11791.

77. 1934 წ. მცხეთის მახლობლად ნავთსადენის ტერიტორიაზე ქვასამარხში სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილი გოტარზეს დრაქმა[46] დაცულია სმგ № 9344.

78. 1936 წ.[47] მცხეთის რ-ის სოფ. ნიჩბისში, მიწის გადაბრუნების დროს, კოლმეურნე ხუციშვილის მიერ ძველ სამარხში სხვა ინვენტართან და ავგუსტის დენართან ერთად აღმოჩენილი გოტარზეს 6 დრაქმა[48] ინახება სმგ № 9127—9132.

79. 1938 წ. ნოემბერში, მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე № 30 კრამიტსამარხში, სხვა ინვენტართან და ავგუსტის დენართან ერთად, აღმოაჩინა გოტარზეს 5 დრაქმა[49]. დაცულია სმგ № 9944—9948.

80. 1938 წ. ნოემბერში, მცხეთაში, არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე № 32 კრამიტსამარხში სხვა ინვენტართან და ავგუსტის დენართან ერთად აღმოჩენილი გოტარზეს 2 დრაქმა[50] დაცულია სმგ № 9954—9955.

81. 1938 წ. დეკემბერში მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე № 63 კრამიტსამარხში, სხვა ინვენტართან და ტიბერიოსის დენართან ერთად, აღმოაჩინა გოტარზეს 1 დრაქმა[51]. დაცულია სმგ № 9956.

82. 1938 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე, გადანაყარ მიწაში ნაპოვნია გოტარზეს დრაქმა.

83. 1938 წ. გორში, ჰავჰავაძის ქუჩაზე წყალსადენის გაყვანის დროს, სამარხში სხვა ინვენტართან ერთად აღმოჩენილი გოტარზეს დრაქმა[52] გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადაეცა

84. 1938 წ. ყვარლის რ-ის სოფ. გრემის მონასტრის მახლობლად ნაპოვნი გოტარზეს დრაქმა[53] დაცულია სმგ № 3559.

85. 1938 წ. ზესტაფონის რ-ის სოფ. ილემში, შემთხვევით მიკვლეულ სამარხში, სხვა ინვენტართან და ალექსანდრე მაკედონელის სტატერის მი-

---

[43] ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 167/168; А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 68/69, № 111. Пахомов, IV, 1038.

[44] А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 68/69, № 108; Пахомов, V, 1384.

[45] Пахомов, II, 334; А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., გვ. 68/69, № 115

[46] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, (შემდეგში მცხეთა I) გვ. 4.

[47] ე. პახომოვი, 1936 წ. ნაცვლად 1937 წ. მიუთითებს Пахомов, IV, 1032.

[48] ამ მონაპოვრის ნაწილი დაცულია რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[49] Пахомов, IV, 1040; დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., ცხრ. I, № 4.

[50] Пахомов, IV, 1940; დ. გ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., ცხრ. I, № 5.

[51] Пахомов, IV, 1040; დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., ცხრ. I, № 6.

[52] Пахомов, IV, 1028.

[53] იქვე, IV, 1029.

ნაბაძთან[54] ერთად აღმოჩენილი გოტარზეს დრაქმა[55] დაცულია სმგ № 2227 ა.

86. 1939 წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე, № 83 ქვასამარხში, სხვა ინვენტართან და ავგუსტის დენართან ერთად აღმოჩენილი გოტარზეს 3 დრაქმა[56] დაცულია სმგ № 9967—9969.

